ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 11 თებერვალი, 2013 №34 (6035) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი




# ვანო მერაბიშვილი და შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტოდ ემზადებიან

ვინ იქნება „ქართული ოცნების“ რჩეული



გვ.3



## რატი კვანტრიშვილი: „ძველი თბილისის გამგებელმა თავი გამიტეხა“

გვ.6



გვ.5

## სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“ დაუტკბა





გვ.3

## ნანა კაკაბაძე: „ნაციონალებს ნიღაბი ჩამოვხსენით“



## ლადო პაპავა: „ხელისუფლებაში მოსულ ბიზნესმენებს ქვეყანა ზოგჯერ ფირმა ჰგონიათ“

რა უნდა გაითვალისწინოს ივანიშვილმა

გვ.2



გვ.6

## რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალები დემაგოგიას უნდა შეეშვან“

## თემურ შაშიაშვილი: „საქართველო ხარბ სააკაშვილს არ უნდა შევწიროთ!“



გვ.5



გვ.4

## გია მაისაშვილი: „ქვეყანაში ახალი მონოპოლიები აღარ უნდა შეიქმნას!“

6 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ჩე გევარა
8 ლარი




4 ეკა ბესელია: „ყველა გახმაურებულ საქმეს გამოვიძიებთ“

2 ნაციონალური მოძრაობა სამართალდამცავებს ზეწოლაში ადანაშაულებს

6 მურმან დუმბაძეს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ

7 სერტიფიკატის მოქმედება 35 ექიმს შეუჩერდა

9 771987 938006

# ლადო პაპავა: „ხელისუფლებაში მოსულ ბიზნესმენებს ქვეყანა ზოგჯერ ფირმა ჰგონიათ“

## რა უნდა გაითვალისწინოს ივანიშვილმა

შორენა კოწოწაშვილი

**რა ხაფანგი არსებობს ბიძინა ივანიშვილის მთავრობაში, რატომ არის მცდარი მიდგომა, რომ მთავრობაში მენეჯერების ადგილია და რა უნდა გამიჯნოს „ქართუ ჯგუფმა“? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ლადო პაპავასთან.**



***— ბატონო ლადო, რა შეფასებას მისცემდით პრემიერ-მინისტრის მხრიდან წარმოდგენილ ხელისუფლების 100 დღის მუშაობის შემაჯამებელ პრეზენტაციას?***

— ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ 100 დღის კულტურა საქართველოში არ გვქონდა. ეს საერთაშორისო სტანდარტია, როდესაც პოლიტიკური ძალა მოდის ხელისუფლებაში, 100 დღის მერე მან თავის ამომრჩევლებს უნდა ჩააბაროს ანგარიში იმასთან დაკავშირებით, რა გააკეთა. 100 დღე დიდი დრო არ არის საიმისოდ, რომ მაქსიმალური შედეგი მიიღო, თუმცა 100 დღე სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ გარკვეულად გამოჩნდეს ის ტენდენციები, თუ საითკენ მიჰყავს ქვეყანა მთავრობას. არ მახსოვს, რომელიმე პრემიერ-მინისტრს 100 დღის ანგარიში ჩაებარებინოს. ის, რაც ბ-ნმა ბიძინამ გააკეთა, ძალიან კარგი პრეცედენტია. ამ 100 დღის მუშაობის ძირითადი კომპონენტი ეკონომიკური საკითხებია, რაც გაკეთდა და რაც არის ჩაფიქრებული, რომ უნდა გაკეთდეს. მთავრობის უკვე გადადგმულ ნაბიჯებს შორის, რა თქმა უნდა, ყველაზე შედეგიანი არის 2013 წლის ბიუჯეტი. ახალი ბიუჯეტი წინა ბიუჯეტისაგან განსხვავებით ბევრად უფრო გამჭვირვალეა. 100 დღის ანგარიშში გაწერილია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ნაბიჯები და საკითხები, რომლებიც სოფლის მეურნეობას უკავშირდება. ივანიშვილის პრეზენტაციის დროს ჟურნალისტებმა სავსებით ლოგიკური კითხვა დაუსვეს: რა კავშირია „სასოფლო-სამეურნეო ბარათსა“ და იმ ვაუჩერებს შორის, რომლებსაც არიგებდა ნაციონალური მოძრაობა. რა თქმა უნდა, მსგავსებაც არის, მაგრამ არის არანაკლებ მნიშვნელოვანი განსხვავება. რომ გავიაზროთ, რა მსგავსებაა და რა განსხვავებაა, უნდა გავიხსენოთ, რა მიმართულებით არიგებდა ნაციონალური მოძრაობა ვაუჩერებს. მას ჰქონდა ორი მიმართულება არჩეული: ენერგეტიკული და სასოფლო-სამეურნეო. ენერგეტიკული ვაუჩერის დროს მთავრობა ელექტროენერგიის მომხმარებლის თანადამფინანსებელი გამოდიოდა. ეს იყო ის ვაუჩერი, რომელსაც ადამიანის ცხოვრება უნდა შეემსუბუქებინა ელექტროენერგიის მოხმარების კუთხით, ხოლო მეორე ვაუჩერი, რომელიც იყო გამიზნული სოფლის მეურნეობაზე, გათვლილი იყო იმაზე, რომ გლეხებს ჰქონოდათ 30-ლარიანი დამატებითი შესაძლებლობა დიზელის შესაძენად. „სასოფლო-სამეურნეო ბარათი“, რა თქმა უნდა, ჰგავს სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერს, რომელსაც არიგებდა ნაციონალების მთავრობა, მაგრამ არანაირი მსგავსება არა აქვს ენერგეტიკულ ვაუჩერთან. ენერგეტიკული ვაუჩერი იყო მომხმარებელზე ორიენტირებული, სასოფლო-სამეურნეო კი — მწარმოებელზე. „სასოფლო-სამეურნეო ბარათსა“ და სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერს შორის მსგავსების გარდა, პრინციპული განსხვავებაც არის.

***— განსხვავება აშკარაა, ელემენტარულად გაცილებით მეტი თანხა აქვს გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის და მიწაზე მომუშავე გლეხობისთვის მთავრობას დახმარების კუთხით.***

— გეთანხმებით. წინა მთავრობას არანაირი ხედვა არ ჰქონდა სოფლის მეურნეობის განვითარების. გახსოვთ, მას ჰყავდა სოფლის მეურნეობის კარიკატურული მინისტრი ბაკურ კვეზერელი, რომელიც ლაპარაკობდა იმაზე, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა უნდა დაეფუძნოს ნიანგების მოშენება-გაყიდვას და ბაყაყების ექსპორტს. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრს ხარი მამალი ძროხა ეგონა. 2010 წლის გაზაფხულზე სააკაშვილი შეხვდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას და განიხილეს სოფლის მეურნეობის პრობლემები. თუ გახსოვთ, გაიჟღერა ასე: საქართველოს მთავრობა აგრარული მთავრობა უნდა გახდესო. ეს იყო ცარიელი პიარი და მეტი არაფერი. სააკაშვილმა თქვა: გვეგონა, სოფლის მეურნეობა დახმარების გარეშეც განვითარდებოდა და ასე არ ყოფილა და პოლიტიკა უნდა შევცვალოთო. რა შეცვალეს? დიდი არაფერი. მთელი მათი აგრარული პოლიტიკა დაყვანილ იქნა ჰიბრიდულ სიმინდზე, რომელიც აღმოჩნდა აბსოლუტურად წარუმატებელი. ასე რომ, წინა ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის განვითარების არანაირი ხედვა არ ჰქონია. ამ თვალსაზრისით, ერთჯერადად მიცემული 30-ლარიანი ვაუჩერი დიზელის საწვავზე არავითარი შედეგის მომტანი არ იყო. ახლა რა ხედვა აქვს ახალ ხელისუფლებას. მისი სასოფლო-სამეურნეო ბარათი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, მაგრამ არა ერთადერთი, როგორიც იყო ნაციონალების სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერი. იმიტომ, რომ გარდა ამ სასოფლო-სამეურნეო ბარათის დარიგებისა, მათ აქვთ გადაწყვეტილი, რომ სოფლად გაიცეს შეღავათიანი კრედიტები სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთებით იმისდა მიხედვით, თუ რასთან არის ეს დაკავშირებული. მაგალითად, მცირე ფერმერებმა მიიღონ უპროცენტო კრედიტი, მსხვილმა და საშუალო ფერმერებმა მიიღონ საპროცენტო განაკვეთით 7-8%. ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისათვის, ანუ სასათბურე მეორნეობები და თანამედროვე ფერმები — ამისთვის 3%. საერთო ჯამში, ლაპარაკია 700 მლნ-ის (და არა 1 მლრდ-ის, როგორც ეს იყო დაპირებული) დახარჯვაზე. ასეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ნაციონალების 30-ლარიან ვაუჩერს არ ჰქონია. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილი მართალია, როცა ამბობს, რომ სასოფლო-სამეურნეო ბარათი განსხვავდება სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერისგან. თუმცა იმის თქმა, რომ ეს აბსოლუტურად სხვა რამეა, არ იქნება მართალი იმიტომ, რომ ორივე მათგანის წარმომავლობა ერთი და იგივეა — მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მიცემული ფინანსური რესურსი. ვაუჩერებთან დაკავშირებით არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რაში ვაკრიტიკებდი წინა ხელისუფლებას: ვაუჩერის დარიგება შეიძლება, როცა ქვეყანაში კრიზისია, მაგრამ მუდმივად ვაუჩერს არიგებდე, ეს ნიშნავს, რომ შენ არც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა გაქვს შემუშავებული, არც სოციალური დაცვის და არც ენერგეტიკული პოლიტიკა. ხოლო ახალი მთავრობის ხედვა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით უკვე გამოიკვეთა. თუმცა, მე მაინც კრიტიკულად ვარ ამ პროექტის მიმართ განწყობილი.

***— რატომ?***

— არა იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობას დახმარება არ სჭირდება, სჭირდება. მაგრამ მექანიზმები — როგორ უნდა მოხდეს შეღავათიანი კრედიტების გაცემა, როგორ უნდა მოხდეს ბანკების ამაში ჩართვა, ეს არ არის ნათელი ამ ტექსტით, რომელიც ჟურნალისტებს დაურიგდათ. მე, როგორც ეკონომისტი, ამის საფუძველზე ვერანაირ დასკვნას ვერ ვაკეთებ. ეს უნდა შეფასდეს, როგორც ხარვეზი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობაში. თუმცა, ეს არა მარტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრობლემაა. ეს ყველა სახელმწიფო სტრუქტურას ეხება, რომლებმაც ვერ მოაწყვეს საზოგადოებასთან ნორმალური კომუნიკაცია. ყველაზე ნაკლებად ეს ეხება ეკონომიკური ჯგუფის სამინისტროებში ფინანსთა სამინისტროს, რომელიც არის საკმაოდ ღია, რომელიც იძლევა ინფორმაციას. ფინანსთა მინისტრთან შეიქნა სათათბირო, რომელშიც შედიან კვალიფიციური ეკონომისტები. სათათბიროს წევრები, მეც მათ შორის, ყოველდღიურად ვიღებთ ინფორმაციას, თუ რა მდგომარეობაა ქვეყნის ბიუჯეტში. ასეთი კომუნიკაცია, სამწუხაროდ, სხვა სამინისტროებს ჯერჯერობით არ აქვთ. ამიტომ მე სრულფასოვანი მსჯელობა თუნდაც ამ სასოფლო-სამეურნეო ფონდზე, მის პერსპექტივაზე, მექანიზმებზე არ შემიძლია.

***— რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. მხოლოდ ქაღალდზე ფიქსირდება წარმატებული ნაბიჯები?***

— ძალიან საინტერესო კითხვა დასვით. 100 დღის ანგარიშში საუბარია

საინვესტიციო ფონდზე, 2 მლრდ-ის მოზიდვაზე. მაგრამ ამ ინფორმაციით საინვესტიციო ფონდზე შთაბეჭდილება ვერ შეგექმნება. ჩვენ მივადექით უკვე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ამ ფონდების პრეზენტაცია, ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის, საექსპერტო წრეებისთვის, ეს სამინისტროს პრეროგატივაა. არის ერთი ასეთი მომენტიც, რაც მე გამართლებულად არ მიმაჩნია.

***— რას გულისხმობთ?***

— სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის ზარალის კომპენსაცია შეეხო 28 500 ოჯახს. აქ ლაპარაკია 95 მლნ ლარის ოდენობის დახმარებაზე. ეს დახმარება ხომ მთავრობის გაკეთებული არ არის. ეს არის ქართუ ჯგუფიდან წამოსული თანხა. ამის ადგილი 100 დღეში ნამდვილად არ არის. ჩვენ უნდა განვასხვავოთ, რას აკეთებს მთავრობა იმისგან, რას აკეთებს „ქართუ ჯგუფი“. „ქართუ ჯგუფი“ ივანიშვილის მთავრობაში მოსვლამდეც ძალიან დიდ ქველმოქმედებას ეწეოდა. გასაგებია, რომ არჩევნებში ივანიშვილი დაჰპირდა დაზარალებულებს დახმარებას, მაგრამ ამ შემთხვევაში, ამ 95 მლნ-ის პატრონი მთავრობა კი არ არის, „ქართუ ჯგუფია“. ამიტომ ვფიქრობ, „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობას სპეციალური პრეზენტაცია უნდა გაეკეთებინა. ეს თანხა იქ უნდა ყოფილიყო და არა ამ დოკუმენტში. ამის ადგილი აქ, უბრალოდ, არ არის, რადგან ეს მთავრობის საქმე არ არის, ის ფონდის საქმეა. ხოლო ის, როცა სათანადოდ ვერ ხდება მსგავსი პროექტების წარმოდგენა, ნახეთ, როგორი სიტუაცია გვაქვს: 28 500 ოჯახის დახმარებაზეა ლაპარაკი და ჩართავ ტელევიზორს და ნებისმიერ არხზე გვესმის, რომ კახეთის ამა თუ იმ რაიონში არის დიდი უკმაყოფილება. სააკაშვილს 100 000 რომ დაეხარჯა, ვარდისფერ ფერებში დახატავდა და დაგანახვებდა, თუ რა საამურია ცხოვრება. 95 მლრ იხარჯება და ამის სათანადო გაპიარება და ადამიანებამდე მიტანა ვერ ხდება.

***— პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა თქვენ არაერთხელ გახსენათ 100 დღის პრეზენტაციის დროს, იგივე ექსპერტებთან შეხვედრა გაიხსენა. რამდენად მნიშვნელოვან თემებზე აინტერესებდა პრემიერს ექსპერტებთან გასაუბრება?***

— ექსპერტებთან ეს პირველი შეხვედრა არ იყო, თუმცა ამ ფორმატში მე პირველად მიმიწვიეს. ასეთ შეხვედრებს პოზიტიურად მივიჩნევ, თუმცა ვფიქრობ, ეს შეხვედრები ხშირად საგნობრივი არ არის. და რატომ: აქ არის სხვადასხვა სფეროს ექსპერტი, ერთი, რომელიც პროკურატურაში არსებულ ხარვეზებზე ლაპარაკობდა, მეორე — კონფლიქტების დარეგულირებაზე, მესამე — საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, და ა.შ. მე როგორც ეკონომისტს, მერჩია ეკონომიკაზე გველაპარაკა. როცა ასეთი სხვადასხვა მიმართულების ექსპერტები სხდებიან, ხშირად კონცენტრირებული საუბარი კონკრეტულ თემაზე არ გამოდის. ამიტომ ჩემი წინადადება იყო და რჩება: პრემიერ-მინიტრს აუცილებლად ესაჭიროება ეკონომიკური საბჭო, სადაც იქნებიან ქვეყნის წამყვანი ეკონომისტები, სადაც ილაპარაკებენ ეკონომიკაზე, და არა, მაგალითად, ბიზნესზე. ეს ორი სხვადასხვა რამაა. ეს საფრთხე ყოველთვის ახასიათებს იმ ქვეყნებს, სადაც ბიზნესმენი მოდის სათავეში. იმწამსვე ბიზნესმენს უჩნდება ასეთი განცდა, რომ მას აქვს კარგი მენეჯერული თვისებები და ამიტომ ქვეყანას უყურებს, როგორც ფირმას. მაგალითად, ეს შეცდომა თავის დროზე პრემიერმა ლადო გურგენიძემ დაუშვა. ღმერთმა დამიფაროს გურგენიძეს ივანიშვილს შევადარო, მაგრამ ეს საფრთხე ამ მთავრობის წინაშეც დგას. როცა მთავრობა გვეუბნეა, რომ ჩვენ გვჭირდება მენეჯერები მინისტრების სახით, ეს უკვე პრინციპული შეცდომაა. მენეჯერების ადგილი მთავრობაში არ არის. მთავრობას ესაჭიროება მმართველები. მენეჯერი საჭიროა ბიზნესში. მაგალითს მოგიყვანთ, მკითხველისთვის იოლი გასაგები რომ იყოს: ბიზნესისთვის ინფლაცია თუ გადასახადების განაკვეთები არის მოცემულობა, მთვარობისთვის — ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები. ქვეყნის მმართველი უნდა ფიქრობდეს, როგორ შემცირდეს სიღარიბე, როგორ დაიძლიოს უმუშევრობა, ხოლო მენეჯერს აწუხებს მისაღები მოგება ან/და ფირმის ფასი. მენეჯერის ადგილი არ არის მთავრობაში! ამიტომ ვურჩევ ბატონ ბიძინას: იმისათვის, რომ მისი მთავრობა იყოს წარმატებული, მან უნდა შექმნას ეკონომიკური საბჭო, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, თუნდაც თვეში ერთხელ, შეიკრიბება და ეკონომიკაში შექმნილ ვითარებაზე საგნობრივად ილაპარაკებს. მე, მაგალითად, დიდი სიამოვნებით განვიხილავდი ამ საბჭოზე პრემიერთან თემებს სასოფლო-სამეურნეო ინიციატივებთან, თუ საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებით. რადგან კონსტიტუცია იცვლება, ახლა ასეთი საბჭო პრემიერთან უნდა იყოს და არა პრეზიდენტთან, რომელიც 2005 წლიდან დღემდე მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. საინტერესო ისტორიულ ფაქტს გეტყვით: ნოე ჟორდანიასა და მის მთავრობას ჰქონდა პირველი მცდელობა, შეექმნათ უმაღლესი ეკონომიკური საბჭო, მაგრამ რუსეთის მხრიდან ოკუპაციამ ხელი შეუშალათ. ეკონომიკური საბჭო არ არის ველოსიპედის გამოგონება, მაგრამ აუცილებელია იმ ხაფანგისთვის, რომელიც არსებობს, რომ მხოლოდ ბიზნესხედვის ტყვეობაში არ აღმოჩნდეს პრემიერი.

## ნაციონალური მოძრაობა სამართალდამცავებს ზეწოლაში ადანაშაულებს

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები სამართალდამცავებს ზეწოლაში ადანაშაულებს და მათ შეკითხვებზე პასუხის გადაცემად საკუთარ ოფისში ელოდება.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, დღეიდან პოლიციამ უმცირესობის წევრებისა და დაზარალებული მოქალაქეებისათვის მუქარის წერილების გაგზავნა დაიწყო.

„იმის ნაცვლად, რომ გამოიხატოს სურვილი სამართალდამცავების მხრიდან ამ საქმის ობიექტური გამოძიებისა და თანამშრომლობის, დღეიდან დაიწყო უმცირესობის წევრებისა და დაზარალებული მოქლაქეებისთვის მუქარის წერილების გაგზავნა პოლიციის მიერ. ერთ-ერთი ასეთი ნიმუში მე ხელთ მაქვს. წერილში პარლამენტის წევრებს ემუქრებიან, რომ მათი იძულებით მიყვანა მოხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებში თუ არ გამოცხადდებიან, ემუქრებიან ფულადი ჯარიმებით და ა.შ. რაც ბუნებრივია ჩვენს აღშფოთებას იწვევს. რვა თებერვლის ღონისძიების და ძალადობის დამკვეთების და შემსრულებლების გამოვლენა არის უშუალოდ ჩვენს ინტერესებში და მზად ვართ ნებისმიერ დროს მივცეთ კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა 8 თებერვალს, ვინ ახორციელებდა ძალადობას. მზად ვართ მოვუსმინოთ სამართალდამცავების კონკრეტულ კითხვებს და გავცეთ კონკრეტული პასუხები. ვიტოვებ უფლებას, მოვთხოვოთ მათ უფრო მეტი თანამშრომლობა, უფრო მეტი კონსტრუქციულობა და შერჩევითი სამართალი არ უნდა ხორციელდებოდეს. ამ ფაქტთან მიმართებაშიც შერჩევითი სამართლის ფაქტები სახეზეა. მე გუშინდელ და გუშინწინდელ გადაწყვეტილებებს შევახსენებ საზოგადოებას. სამართალდამცავ ორგანოებს ველოდებით ჩვენს ოფისში“-აღნიშნა ბეჟაშვილმა და სამართალდამცავებს მოუწოდა შეწყვიტონ პარლამენტარებზე ზეწოლა და მუქარის წერილების გაგზავნა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვანო მერაბიშვილი და შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტოდ ემზადებიან

### ვინ იქნება „ქართული ოცნების“ რჩეული





შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე თვეც და საქართველოში დიდი საარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყება. ოქტომბრის თვეში საქართველო ახალ პრეზიდენტს აირჩევს. წესით და რიგით, ქვეყნის პირველი პირი უკვე იანვარში უნდა აგვერჩია. მაგრამ სააკაშვილს ნაცმოძმა კონსტიტუცია ტანზე მოარგო და უფლებამოსილება 10 თვით გადაუვადა.

მართალია მეოცნებენი სააკაშვილს ვადაგასულად მიიჩნევენ, მაგრამ მის გაიმპიჩმენტებას არ აპირებენ. ხალხსაც ეუბნებიან, აქამდე გაგვიძლია და 8 თვეც გავუძლოთო. ამ ეტაპზე მათაც აწყობთ დროის გაყვანა. მეოცნებეებს საპრეზიდენტო კანდიდატი ჯერ შერჩეული არ ჰყავთ.

სანამ მმართველი გუნდი ფიქრობს და ოცნებობს, სხვა პარტიები მოქმედებაზე გადავიდნენ. უკვე ცნობილია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს შალვა ნათელაშვილი. ამის შესახებ განცხადება თავად ნათელაშვილმა განაცხადა.

არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას არც ნაციონალური მოძრაობა აპირებს. არადა წინასწარ იციან, რომ ამ არჩევნებს წააგებენ. ამის მიუხედავად ბედს მაინც სცდიან, ვინ იცის რა ხდება.

„ქართული ოცნების“ მსგავსად აქაც რამდენიმე კანდიდატი განიხილება. საპარლამენტო არჩევნებამდე ამ პოსტზე ერთი პერიოდი გიგი უგულავა მოიაზრებოდა. დედაქალაქის მერი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ის იქნებოდა ქვეყნის პრეზიდენტი. ალბათ გახსოვთ მისი ცნობილი განცხადება: ქართველებს გაუმჯობესებული მიშა ესაჭიროებაო. გაუმჯობესებულ მიშაში ბუნებრივია საკუთარ თავს გულისხმობდა.

მერე არჩევანი დავით ბაქრაძეზე შეაჩერეს ნაციონალებმა. ეს არ გახლდათ ურიგო კანდიდატი. ბევრი ნაციონალისგან განსხვავებით ბაქრაძე ხალხს ნაკლებად აღიზიანებდა. დღესაც ასეა, ყოფილი სპიკერი ოპონენტების შეურაცხყოფას ყოველთვის ერიდება.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სხვა რეალობა დადგა. ნაციონალებს საპრეზიდენტო არჩევნებს სასწაულიც კი ვერ მოაგებინებს. ამდენად დიდი მნიშვნელობა არ ექნება თუ ვინ იყრის მათგან კენჭს. ამის მიუხედავად ნაციონალებში კასტინგი უკვე გამოცხადებულია. პირველ სავარაუდო კანდიდატად ერთ დროს ქვეყნის ხერხემალი ვანო მერაბიშვილია დასახელებული.

ეს ინფორმაცია მერაბიშვილმა „იმედის“ ეთერში გამოსვლისას დაადასტურა. ნახერხემლარი არ გამორიცხავს, რომ საოქტომბროდ პარტიამ სხვა კანდიდატი დაასახელოს.

— მე გაძლევთ გარანტიას, რომ გადაწყვეტილება თუ ვინ იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი, იქნება მიღებული გამჭვირვალე და დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე. ეს გადაწყვეტილება იქნება საჯარო. მე მივიღებ ყველა არჩევნებში მონაწილეობას, არ აქვს სტატუსს მნიშვნელობა. ჩემი კანდიდატურა ერთ-ერთ კანდიდატურად განიხილება, ისევე როგორც სხვა ბევრი ადამიანის. მე ვიქნები ბედნიერი, თუ ჩვენ პარტიაში იქნება ძალიან ბევრი ჩემზე უფრო კარგი კანდიდატურა, რომელსაც ექნება უფრო მეტი შანსი და მე მას, ამ ადამიანს წინასწარ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ, — განაცხადა მერაბიშვილმა.

საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად ნაციონალები ალბათ პრაიმერს ჩაატარებენ. სხვა პარტიებისაგან განსხვავებით ისინი კანდიდატურების დასახელებას სერიოზულობით ეკიდებიან. ახლა გაცილებით მეტი დაფიქრება მართებთ, მათთვის კარგი დრო წარსულს ჩაბარდა.

პრეზიდენტობის სურვილი ალბათ სხვა პარტიებსაც შეუღიტინებს. თუმცა მთავარი ბრძოლა ოცნებასა და ნაციონალებს შორის წარიმართება. ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამ არჩევნებს ოცნება მოიგებს. ამას ნაციონალური მოძრაობაც ადასტურებს.

ამ ეტაპზე ცნობილი არაა თუ ვინ იქნება მეოცნებეთა კანდიდატი. არც ისაა ცნობილი შეინარჩუნებს თუ არა კოალიცია არჩევნებამდე ერთიანობას. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ალასანია და მისი პარტია მაინც ცალკე გავლენ. მათმა ამბიციებმა უკვე შეიწირა ალასანიას ვიცე-პრემიერობა. კოალიციაში ამბობენ, რომ ყველაფერი მოგვარდა და მათ საერთო კანდიდატი ეყოლებათ. ივანიშვილმა ერთხელ უკვე თქვა, რომ ის პრეზიდენტად ვახტანგ ხმალაძეს ისურვებდა.

# ნანა კაკაბაძე: „ნაციონალებს ნიღაბი ჩამოვხსენით“

ნონა ცაბაძე

**თუ რა მოხდა 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთან და როგორ დასრულდა მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლა, ეს საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ნაციონალებმა ბრალი ახალ ხელისუფლებას და იქ მყოფ საზოგადოებას ერთად დასდეს პროვოკაციის მოწყობაში. თუმცა სულ სხვას ყვება უფლებათადამცველი ნანა კაკაბაძე, რომელიც იმ დღის გმირად იქცა.**



***— ქალბატონო ნანა, თქვენ, რომ იტყვიან, მოვლენების ეპიცენტრში იყავით, გაიხსენეთ, რა მოხდა, როგორია თქვენი შეფასებები?***

— 8 თებერვალი მართლაც მნიშვნელოვანი დღე იყო იმით, რომ მე ვფიქრობ, ნაციონალურმა მოძრაობამ მართლაც ჩამოიხსნა ნიღაბი, მაგრამ მან მიიღო ადეკვატური პასუხი. ის პროვოკაცია, რაც მას უნდოდა, რომ დაეგეგმა, იმ დოზით და იმ ფორმით ვერ აღასრულა, რა დოზითაც მას ეს უნდოდა. ახლა მე მინდა გითხრათ, თუ რა იყო ეს დღე. ამ დღეს ჰქონდა ორი ეტაპი, პირველი ის, რომ პოლიტპატიმრებმა იცოდნენ, რომ სააკაშვილი ჩადიოდა ქუთაისში და აპირებდნენ საპროტესტო აქციის მოწყობას იმის გამო, რომ ხელისუფლებისთვის ეთქვათ, არ მოუსმინო ჯალათს, ჯერ ჩვენს საქმეებზე გაგვცეს პასუხი და მერე მოუსმინეთო. მას მერე, რაც გაიგეს, რომ ის არ ჩადიოდა ქუთაისში და ის მიდიოდა საჯარო ბიბლიოთეკაში, შეიცვალა მოთხოვნა და მოთხოვნა იყო ის, რომ ჩვენც შეგვიშვან დარბაზში, რათა დავუსვათ კითხვები პრეზიდენტს. თქვენ იცით, რომ ესენი არიან ის გამწარებული ხალხი, რომლებიც 9 წლის განმავლობაში აბსოლუტურად უდანაშაულოდ სასჯელებს იხდიდნენ ციხეში და სასჯელებს რომ თავი დავანებოთ, იცით, იქ როგორი მოპყრობა იყო. პრეზიდენტი ამთავრებს თავის ვადას, იყო მისი ბოლო გამოსვლა და იყო შანსი, რომ ამ ხალხს დაესვა კითხვები. აი, ამისთვის იყო ეს ხალხი მისული. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც ჩვენ დავინახეთ, ბიბლიოთეკის შესასვლელში, ფოიეში არეგისტრირებდნენ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს, იმისათვის, რომ შესულიყვნენ და დასწრებოდნენ სააკაშვილის გამოსვლას. თუ იმ ხალხის დასწრება იყო შესაძლებელი, კაცო, ეს ადამიანი ხომ ორივე მხარის პრეზიდენტია, რატომ არ უნდა დასწრებოდნენ საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანები? ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს 9 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ უნდა მისცემოდათ საშუალება, კითხვა დაესვათ და ერთხელ მაინც არ უნდა გაეცა პასუხი ოპოზიციური აზრისთვის?! აი, მხოლოდ ამას ითხოვდნენ. ამის მომსწრე არის ქალბატონი მანანა მანჯგალაძე, რომელიც სწორედ იმ დროს მოვიდა, როდესაც მე და სამი პოლიტპატიმარი ვიყავით შესული ფოიეში და სწორედ ამას ვითხოვდით, რომ ჩვენებიც დაარეგისტრირეთ და ჩვენი ხალხიც შეუშვით, თუმცა ისინი გვეუბნეოდნენ, რომ უფლებამოსილები არ იყვნენ, ეს საკითხი გადაეწყვიტათ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ქალბატონი მანანა და პირდაპირ მივმართე, ქალბატონო მანანა, თქვენ შედიხართ და ხომ შეიძლება ერთხელ მაინც ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს მიეცეთ საშუალება, რომ დაუსვან კითხვები პრესიდენტს-მეთქი.

***— რა გიპასუხათ მანანა მანჯგალაძემ?***

— მე ამას ვერ ვწყვეტო და მაინც რამდენი ადამიანის შემოშვება გინდათო? მე ვუთხარი, ასე, 10-15 კაცი, მან მითხრა, 15 ბევრიაო. მე ვუთხარი, კარგით იყოს ათი, ოღონდ ეს ათი კაცი აუცილებლად უნდა შეუშვათ-მეთქი. კარგითო, მითხრა. ვუთხარი, თქვენ მიბრძანდით, ჩვენ სიებს შევადგენთ და დაგაწევთ-მეთქი. კარგი იქნებაო, გვითხრა და შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ნათია ბანძელაძე, ჩვენ სია უკვე შედგენილი გვქონდა და მას ვუთხარით, რომ ქალბატონმა მანანამ იცის ამის შესახებ და იქნებ ეს სია მიაწოდოთ-მეთქი და ბანძელაძემ ალბათ აუტანა მანანა მანჯგალაძეს ეს სიები, რადგან ჩვენ მას გავატანეთ. ჩვენი მიზანი იყო ის, რომ იქ არა რამე დებოში და პროვოკაცია მოგვეწყო, არამედ შევსულიყავით დარბაზში და ცხოვრებაში პირველად ქვეყნის ფაქტობრივი პრეზიდენტისთვის დაგვესვა კითხვები.

***— შემდეგ რა მოხდა?***

— მათ ან კატეგორიული უარი უნდა ეთქვათ, რომ არა, არ შემოგიშვებთ დარბაზში, ან უნდა ჩაშლილიყო. მესამე ვარიანტი აქ არ არსებობდა, ან უნდა შეეშვათ ეს 9 კაცი, რომელთა შეშვებას იქ მყოფი ადამიანები მოითხოვდნენ, ან შეხვედრა უნდა ჩაეშალათ. სწორედ მათ მოიფიქრეს ის პროვოკაცია, რაც იქ განახორციელეს. საათი და ოცი წუთი ველოდებოდი მე მათგან პასუხს და რომ არ იცოდნენ, რა ექნათ, არც უარყოფითი პასუხის გაცემა უნდოდათ და საოცარი რაღაც გააკეთეს. 7-8 ადამიანი ვიდექით შიგნით, შესასვლელში და ვიძახი — უკვე საათი და ოცი წუთია მათ პასუხს ველით და არ გვცემენ პასუხს-მეთქი. ამ ლაპარაკში ვარ და ვხედავ, წინიდან შემოვიდა თუ გვერდიდან, უეცრად ეს ვერ გავიაზრე, ისე გადაიჭედა ის ფოიე, სადაც ჩვენ ვიდექით, ისე გადაიჭედა, რომ ვხედავ, უკვე ველარ ვსუნთქავ, მიკრული ვარ კუთხეში და სული მეხუთება, ვიგუდები. მე მგონია, რომ ესენი ჩვენი პოლიტპატიმრები არიან, ან ამ საპროტესტო მიტინგის მონაწილენი, რომლებიც შიგნით ძალით შემოვიდნენ, მე თავიდან ეს წარმოდგენა შემექმნა. ამ ხალხს ვეუბნები, ნუ მაწვებით, უკან დაიხიეთ, აქედან ხომ მაინც ვერ შევალთ, ხომ უნდა შემოვბრუნდეთ, თან იმასაც ვითვალისწინებ, რომ გვერდით მიშა სააკაშვილის ხალხი იდგა და არ მინდოდა მათ გაეგოთ ჩემი წუწუნი, რომ ჩვენი ხალხი ასე იქცეოდა. როდესაც ის სამი პოლიტპატიმარი გადამეღობა და ჩემს დაცვას ცდილობდნენ, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ეს ხალხი ჩვენი მომხრეები კი არა, მიშას ზონდერები იყვნენ და მათ წინააღმდეგ ვართ სამი კაცი, დანარჩენები გარეთ არიან. რამდენიმე წამში მოხდა ეს ყველაფერი, რასაც ახლა გიყვებით. მთელი ძალით გვაწვებოდნენ, პირდაპირ ხის ლაწა-ლუწი მესმოდა, იმ ადგილას, სადაც მიგვაჭყლიტეს და შუშების დასკდომის ხმა, ისეთი ძალით გვაწვებოდნენ. ვფიქრობ, რომ ყველაფერი ისე მთავრდება, რომ აი, აქ, ამ კუთხეში სული უნდა ამომხდეს. მოულოდნელად ვხედავ, რომ ქუჩიდან შემოსასვლელი კარიდან ვიღაცა კაცი მოიწევს, მამგრამ ვერ შემოდის, თან ყვირის — რას შვრებით, კლაავთ? რას შვრებით, დაიხრჩო ქალი! ამას რას აკეთებთ და თან ჩემკენ მოიწევს, ვკითხე, თქვენ ვინ ხართ-მეთქი და მე პოლიციელი ვაროო, ამ ადამიანმა მითხრა, მისი სახელიც გავიგე და გვარიც, მაგრამ შეგნებულად არ ვიტყვი, რამე არ დამართონ, სწორედ მან შეძლო ჩვენი გაყვანა. ის რომ არ ჩარეულიყო ამ ამბავში, ფაქტიურად შანსი არ იყო, იქიდან რომ ცოცხლებს გამოგვეღწია. პირდაპირ მიზანმიმართულად გვსრისავდნენ კედელზე.

***— რაც შეეხება შემოსასვლელ კორიდორს, ნაციონალები საუბრობენ, რომ თავისუფალი კორიდორი არ ყოფილაო...***

— ის კორიდორი იყო აბსოლუტურად თავისუფალი, თავისუფლად შემოვიდა მანჯგალაძეც, თავისუფლად შემოვიდა ბანძელაძეც, ყველანი თავისუფლად შევიდნენ, ასევე ელჩებიც, მაგრამ როგორც კი ჭყლეტა დაიწყეს ამათმა, სწორედ მაშინ ჩაიხერგა და ჩაიკეტა, კორიდორი ჩახერგეს სწორედ იმ მომენტში, როდესაც ამათმა ჩვენი ჭყლეტა დაიწყეს, თორემ მანამდე ის იყო ღია და თავისუფლად შემოვიდა ყველა. აბა, თუ თავისუფალი არ იყო ეს ხალხი, როგორ შემოვიდა?! თვითონვე ჩახერგეს ეს კორიდორი და გასაქანს არ გვაძლევდნენ. მალევე მივხვდი სურათს, რაც ხდებოდა, მეკითხებოდნენ ჩვენი პოლიტპატიმრები, ცუდად ხომ არ ხართ, დაბლა ჩავიდეთო, ვეუბნეოდი, რომ კარგად ვარ, რადგან არ მინდოდა, რაიმე შეხლა-შემოხლა და ჭიდაობა გამომეწვია. ვეუბნეოდი, არა, ვიდგეთ, არანაირი პრობლემა არ არის, თანაც ეს ხდებოდა იმ ფონზე, როდესაც იქიდან განაწყენებულმა მოსახლეობამ კვერცხები დაუშინა ნაციონალებს. ისვრიან კვერცხებს და მთელი ეს კვერცხები ჩვენც გვხვდება, იმიტომ, რომ სტრატეგიულად ისეთ ადგილას ვიდექით, ვერც ვინძრეოდით ფიზიკურად, სწორედ იქიდან შემოდიოდნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები. მეტი მე არაფერი დამინახავს.

***— თქვენ აცხადებთ, რომ პროვოკაცია ნაციონალების მოწყობილი იყო?***

— სწორედ რომ მათი, რადგან მათ სხვა ალტერნატივა არ რჩებოდათ, ან უნდა შეეშვათ ეს ხალხი, ან უნდა ეთქვათ, რომ არა, თქვენ არ შემოგიშვებთ, ეს ვერ გაბედეს, ჩვენ ჟურნალისტებსაც დავაბარეთ, ამას ვერც პირველი არხი უარყოფს და ვერც დანარჩენი ტელევიზიები, ვუთხარი, რომ ჩვენ არ გვიშვებენ და პრეზიდენტს აუცილებლად ჰკითხეთ, რატომ არ შემოუშვით ის ხალხი, რომლებმაც სია გამოუგზავნა მანანა მანჯგალაძესო. ცხადზე უცხადესი იყო, რომ პრეზიდენტს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოუწევდა, თუნდაც ჩვენ იქ არ ვყოფილიყავით, ვინც კი შედიოდა, ყველას ამ კითხვას ვაბარებდით. იმდენ ხანს გვალოდინეს პასუხზე, რომ მე ისიც ვიფიქრე, სააკაშვილი უკვე შიგნით ხომ არ არის-მეთქი. მათ არჩევანი აღარ ჰქონდათ, ან უნდა შეეშვათ ეს ხალხი, ან უნდა ეთქვათ, რომ აი, ეს დემოკრატი სააკაშვილი, რომლის ილუზიასაც ქმნიან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რეალურად თურმე კითხვაზე პასუხის გაცემას გაურბის ქვეყანაში. ეს ხომ სულ იჩქმალებოდა და იმალებოდა ამ ცხრა წლის განმავლობაში ისე, რომ ამას დასავლეთი არ ამჩნევდა, ან ვერ ამჩნევდა. ახლა კი ამის არ დანახვის საშუალება აღარ დაუტოვეს პოლიტპატიმრებმა, გარეთაც იდგნენ და ეუბნეოდნენ, შეუშვითო და შიგნითაც იდგნენ და ამბობდნენ, აი, ცხრაკაციანი სია და შეუშვითო. სწორედ ამისთვის გახდა საჭირო ეს პროვოკაცია. სწორედ ამიტომ, ის კი არა, რომ სააკაშვილი ოპოზიციას არ პასუხობს, თურმე ის არ მიუშვეს იქამდე ხულიგნებმა, ბანდიტებმა, თურმე იქ მდგარან კრიმინალები, რომლებმაც დაასისხლიანეს ნაცმოძრაობა და არ მოასმენინეს ქართველ ხალხს ბრძენი პრეზიდენტის გამოსვლა. თუმცა მერე ეს „სიბრძნე“ თავისი რეზიდენციიდან გადმოაფრქვია, ის თურმე რასაც აპირებდა, რომ ეთქვა ბიბლიოთეკის შენობაში. აქ მთავარი ის არის, რომ აი, ეს სურათი შექმნეს, ვითომდა სააკაშვილს არ მისცეს გამოსვლის საშუალება, რომ მას ძალიან უნდოდა ხალხისთვის მიემართა, ესენი არიან კრიმინალები და ასე შემდეგ... კიდევ ხელმეორედ ღირსების შემლახავად მოექცნენ ამ პოლიტპატიმრებს და მოახერხეს იმის გადაფარვა, თითქოსდა ესენი მისულები იყვნენ იმისთვის, რომ სააკაშვილის გამოსვლა ჩაეშალათ და არა იმისთვის, რომ დასწრებოდნენ ამ შეხვედრას. იცით, რა მწყინს? სააკაშვილის ხელისუფლება რომ ასეთი პიარშჩიკია, ეს გასაგებია, მაგრამ მე ვერ გავიგე დღევანდელი ხელისუფლების პოზიცია, რომელმაც იგივენაირი ნაბიჯი გადადგა, ანუ ამ პიარს გამოეხმაურა და ნაციონალების ნაცვლად მელორ ვაჩნაძე და მიშა მესხი დააკავეს. ეს ხალხი დააკავეს და არა ისინი, ვინც ეს ყველაფერი დადგა. მე ეს მიკვირს, თორემ ამ ადამიანებს არც პატიმრობა უკვირთ, არც უსამართლობა და არც არაფერი. რომ იძახი, სიტუაცია შეიცვალა,ო ეს ხომ უნდა ჩანდეს არა?!

***— ნაციონალები აცხადებდნენ, ბიძინა ივანიშვილმა გადაუხადა ამ ხალხს ფული პროვოკაციის მოწყობაშიო...***

— ამაზე პასუხის გაცემაც კი არ ღირს, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით, რომ ამათ ენას ძვალი არ აქვს და ამიტომ ამ სისულელეზე პასუხი არ ღირს. მე გიყვებით იმ პრობლემას, რა პრობლემის წინაშეც ჩვენ იქ აღმოვჩნდით. ჩვენ გვინდოდა იქ დაგვედო ის განაჩენები, ის საქმეები და გვეთქვა სააკაშვილისთვის — აი, ამაზე გვიპასუხე! აი, ამაზე გაგვეცი პასუხი, როგორც პრეზიდენტმა! ჟურნალისტებს გავატანთ ამას და გვითხრას ეს რა არის, ეს არის ცინიზმი, განაჩენებიც არ არის. ცინიზმია, ხალხო, ამაში დანაშაულზე აღარ არის ლაპარაკი. აი, ამაზე გაგვცეს პასუხი, რა ხდება ამ საქმეებში.

***— ნანა კაკაბაძეს მხედრიონის დროის დაბრუნება უნდაო, ეს განცხადება როგორ გაიგეთ, ქალბატონო ნანა?***

— აბა რა გითხრათ, არ ვიცი, როგორ გავიგე. რომელი მხედრიონის დაბრუნება მინდა? რურუები ხელისუფლებაში ჰყავთ, სილქნეტის დირექტორი მხედრიონელია, კინოსტუდიას მხედრიონელი მართავდა, მეტი ცოცხალი მხედრიონელი არ დარჩა, ვინც არის, ყველა ხელისუფლებაში ჰყავდათ და ვიღა უნდა დავაბრუნო, თორემ დავაბრუნებდი.

# გია მაისაშვილი: „ქვეყანაში ახალი მონოპოლიები აღარ უნდა შეიქმნას!“

## რატომ ეცემა ფასები

გულიკო ბალაძე

საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი გია მაისაშვილი 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში საბრძოლო მოქმედებების დაწყებისა და შედეგად ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვის გამო მიხეილ სააკაშვილის გასამართლებას მოითხოვს. მისი თქმით, ახალმა ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა განაგრძოს სამართლიანობის აღდგენა.

გია მაისაშვილს ახლო მეგობრობა აკავშირებს ამერიკის ახლანდელ სახელმწიფო მდივარ ჯონ კერისთან და მზად არის, ამერიკასა და დასავლეთის ქვეყნებში სპეციალური დავალება შეასრულოს, თუკი, რასაკვირველია, პრემიერ-მინისტრს ასეთი დავალება ექნება მისთვის. გამოიყენებენ თუ არა გია მაისაშვილის პოტენციალს ამ მხრივ, არ ვიცი, მაგრამ მის ფეისბუქის გვერდზე არის მილოცვა ამერიკის ახლანდელი სახელმწიფო მდივნის ჯონ კერისადმი:

– ჩვენი ახლობელი და თანამოაზრე, რომლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც 2004 წელს ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გადავიხადეთ, მაგრამ დავმარცხდით, ახლა სენატმა დაამტკიცა ამერიკის ახალ სახელმწიფო მდივნად. ჩემი გულითადი მილოცვა მას და საკუთარ თავსაც.

აქვეა ჯონ კერისთან ერთად გადაღებული სურათი, რომელსაც აქვს მინაწერი:

– შეიძლება, არ უნდა ვამბობდე ამას, რადგან ბევრ ქართველ პოლიტიკოსს შურით, ბოლმით ისედაც დამხრჩვალს, სულ მთლად განვარისხებ, მაგრამ მაინც ვიტყვი, ცივი წყალი დალიონ, თუ ეწყინებათ. ეს სურათი გადაღებულია 2003 წლის ბოლოს. ჯონ კერის ერთ-ერთი მასპინძელი ვარ ჰიუსტონში. მახსოვს, სიტუაცია დაძაბულია, ჯონ კერის ეკონომიკის აღორძინებაზე ეკითხებიან. გამოიხედა და კითხულობს, გია სად არისო? ვინ გიაო? – ეკითხება ერთი გაკვირვებული უცნაური სახელის გაგონებაზე. ოო, სანამ მაგას გეტყვით, ის მინდა ვთქვა, რომ დღეს ამ დარბაზში ორი მომავალი პრეზიდენტიაო. ერთი ვიცით, შენ ხარ და მეორეო? – ხალხი ეკითხება ღიმილით და ცნობისმოყვარეობით აღსავსე. მეორე, აი, ის კაცია, რომელიც სახელმწიფო მშენებლობის ყველაზე გონიერი სტრატეგია, ოღონდ, სამწუხაროდ, არა ამერიკის, არამედ საქართველოს მომავალი პრეზიდენტიაო. მისი არც ერთი ეს წინასწარმეტყველება თუ სურვილი არ ასრულდა, მაგრამ, ჯონ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის. საქართველოს გამარჯვებისა იყოს და ყველა იმისი, ვინც ამ ქვეყნის ნამდვილი შვილია და მისი მსახურება უდევს გულში.

ინტერვიუ ბიბლიოთეკასთან მომხდარ ინციდენტამდეა ჩაწერილი. როგორ აფასებს დასავლელი გია მაისაშვილი ძველი და ახალი ხელისუფლების ქმედებებს ამ პერიოდში, ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.

***– ბატონო გია, როგორ აფასებთ ახალი ხელისუფლების ქმედებებს 100-დღიან პერიოდში და როგორ იქცეოდა სააკაშვილი და მისი ჯგუფი ამ პერიოდში?***

– ბიძინა ივანიშვილს არ ჰქონია ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილება. მას ჰქონდა ბიზნესის გამოცდილება და მოულოდნელად ახალ გარემოში მოხვდა. მოსახლეობის ეიფორია ხელისუფლების ეიფორიაში იყო გაერთიანებული. ერთი წელი მზადება არჩევნებისთვის არ იყო ისეთი პროდუქტიული და კომპეტენტური იმ დღისთვის, როცა ჩაიბარებდნენ ხელისუფლებას, მოხდა ყოველდღიურ რუტინაში გადასვლა და უფრო მეტად სტრატეგიულ ორგანიზებულობაზე გაკეთდა აქცენტი. პირველ დღეებში ძველი ხელისუფლება იყო პარალიზებული, შეშინებული, ის ხალხი გარბოდა აქედან, რომელსაც დიდი დანაშაული მიუძღვის მთელი ქვეყნის წინაშე. ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა სამართლიანობის აღდგენა, რაც ზუსტი და სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ, ბედად, ძველი ხელისუფლება გონს მოეგო, პირველი შოკი გადაიტანა, მოახდინა შიდა რესურსების სრული ორგანიზება, რაშიც უფრო კომპეტენტურები აღმოჩნდნენ, ვიდრე ახალი ხელისუფლება. ისინი სასამართლო ხელისუფლებისა და ქალაქის (მერიის) ხელისუფლების საშუალებით ცდილობენ ახალი ხელისუფლების ყოველი ნაბიჯის იმედგაცრუებას. ეს ახალ ხელისუფლებას გარდამავალ 100 დღეში, ფაქტობრივად, უფუჭებდა საქმეს, მათ პროდუქტიულობას ამცირებდა. თან არსებულ პრეზიდენტს მიკუთვნებული აქვს კიდევ ერთი წელი. ახალი პარლამენტი ხალხის ნებას გამოხატავს და ლეგიტიმური ხელისუფლებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, არალეგიტიმურად კონსტიტუციური ძალაუფლება კვლავ აქვს შენარჩუნებული ე.წ. პრეზიდენტს, აწ უკვე ვადაგასულს, მაგრამ კონსტიტუციურად ხელისუფლებაში მყოფს. ეს იწვევს ქართული სახელმწიფოებრიობის გახლეჩასა და არაეფექტურობას. ჩემი აზრით, ძველი პრეზიდენტი აფერხებს ქართული სახელმწიფოებრიობის



ფუნქციონირებას. მიუხედავად ამისა, ახალმა ხელისუფლებამ მაინც მიაღწია წარმატებას გარდამავალ ეტაპზე, როდესაც 200-ზე მეტი პოლიტპატიმარი გამოიყვანა ციხიდან.

***– ფასების მცირე კლებაც შეიმჩნევა.***

– დიახ. ხდება მონოპოლიებთან ბრძოლა. ახალი ხელისუფლება აქტიურად ცდილობს, ფასები შეამცირებინოს, მაგრამ ეს ასე ცალმხრივადაც არ არის განსახილველი. მთლიანად ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა ქვეყანაში. ამა თუ იმ პროდუქტზე მოთხოვნა მცირდება. შესაბამისად, ფასებს ესეც აგდებს. ამას გაზზე და დენზე ტარიფის დაწევაც უწყობს ხელს. მეორე მხრივ, როდესაც გაზზე და დენზე ტარიფი მცირდება, შესაბამისად, ამ სფეროში ინვესტიციაც მცირდება. მომავლისთვის ეს ინფრასტრუქტურულად, ქვეყნისთვის მთლად სასარგებლო შეიძლება არ იყოს. ეკონომიკაში ერთი ქმედება ცალსახა შედეგს არასოდეს იძლევა. უნდა არეგულირო სარგებელი ზიანთან. გაურკვევლობა გრძელდება. კერძო სექტორის ინვესტიცია იწვევს ეკონომიკის ზრდას. როდესაც გაურკვევლობაა, ინვესტიციის განხორციელება კერძო სექტორს უჭირს. მთლიანად ფარმაცევტულ ინდუსტრიაში ასეთი დიდი ფასდაკლება, მგონი, მაინც ძველი, მახინჯი მონოპოლიების ნგრევამ გამოიწვია. ეს, აშკარად ახალი ხელისუფლების დამსახურებაა. თუმცა, მონოპოლიები ბოლომდე ვერ დაინგრა, ისევ ნაციონალები ფლობენ მონოპოლიურ ბიზნესს. ახალ ბიზნესს უჭირს ამ გარემოში მათთან კონკურენცია. მათ ინტერესშია, მონოპოლიები არ დაინგრეს, ახალი მიმწოდებელი არ გამოჩნდეს. ახალ მთავრობას აქტიურობა და უფრო მეტი კომპეტენტურობა მართებს ეკონომიკის სფეროში.

***– ვადის გასვლის შემდეგ სააკაშვილის პრეზიდენტად დატოვების მიზეზად უცხოეთის უარყოფითი რეაქცია მოჰყავთ. უცხოეთში როგორი ესმით ასეთი საკითხები?***

– დიდი პროპაგანდის გამო, სააკაშვილი უფრო უკეთეს მდგომარეობაში იყო პრემიერ– მინისტრთან შედარებით, მხარდაჭერის თვალსაზრისით. ზედაპირულად, მტკივნეულად განიცდიდნენ პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნას, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. უფრო მეტად აქტიური საგარეო პოლიტიკა უნდა გავატაროთ. არ უნდა შეგვეშინდეს ჩვენი დასავლელი პარტნიორების გაბრაზების. კარგად უნდა ავხსნათ და გამოვკვეთოთ, რა მეთოდებით შეინარჩუნა სააკაშვილმა პრეზიდენტობა. ჩვენი საგარეო უწყება და პრემიერის უწყება უფრო აქტიური უნდა იყოს ამ მხრივ. პრემიერს ახლა თანამედროვე ადამიანები სჭირდება, რომ კარგად წარმოადგინოს ჩვენი კურსი დასავლეთის თვალში, ხოლო შემდეგ გადადგას ის ნაბიჯი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესშია.

***– ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში ვადაგასული პრეზიდენტის ხელისუფლებაში დარჩენას დაუშვებდნენ?***

– ასეთი რამ წარმოუდგენელია.

***– მაშინ ჩვენ რატომ გვავალდებულებენ, რომ ვადაგასული სააკაშვილის დარჩენას შევეგუოთ? ამას ახსნა-განმარტებები რად უნდა?***

– იმიტომ, რომ არ გვექცევიან, ისე, როგორც ზრდასრულს. როცა დავიმსახურებთ, ისე მოგვექცევიან. როდესაც ჩვენ თვითონ კარგად განვსაზღვრავთ ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მაშინ სხვანაირად მოგვექცევიან. საჭიროა ჯანსაღი, დინამიკური, პოლიტიკური პროცესი, ერთი პარტია რომ არ განაგებდეს ყველაფერს ქვეყანაში, იყოს აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, აქტიური, დამოუკიდებელი, კომპეტენტური, პასუხისმგებლობის მქონე მედია, აქტიური, დინამიკური ეკონომიკა, აქტიური საგარეო პოლიტიკა, კარგი განათლების სისტემა, რომ ეს ქვეყანა ქმნიდეს ისეთ მატერიალურ სიმდიდრეს, რომელსაც სხვა ქვეყნები მოიხმარენ. სანამ ამას ვერ შევძლებთ, ამ მდგომარეობაში ვიქნებით.

***– თქვენ როგორ ისმენთ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების ბრალდებებს, რომ მათი პოლიტიკური დევნა ხდება?***

– მე მათ საერთოდ არ ვუსმენ. ეს მათი მხრიდან ცინიზმია. უფრო აქტიურად უნდა მოვთხოვოთ პასუხი ქვეყნის წინაშე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მათი მხრიდან თავხედობა და მათი აგრესიული ქცევა მიუღებელია მას შემდეგ, რაც ასე თვალსაჩინო გახდა მათი დანაშაული. მინდა ახალ ხელისუფლებას მოვთხოვო, დაანახვოს საზოგადოებას მათ მიერ ჩადენილი დანაშაული. ეს ძალიან ადვილია, რადგან უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი. უნდა გამოაშკარავდეს ეს დანაშაულები და საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ მათ საუბრის საშუალება არ ჰქონდეთ. ისინი არიან ბრალმდებლის როლში, გამოდიან, ადანაშაულებენ ამ მთავრობას. მთავრობა კი ვერაფერს პასუხობს, თავდაცვის მდგომარეობაშია. აქტიურად გამოკვეთე მთავარი კურსი შენი ქვეყნისა, მთავარი ამოცანა ეკონომიკაში და სტრატეგია, რომ მათ სალაპარაკო არ მისცე.

***–კურსი გამოკვეთილი არ არის?***

– არ ჩანს ისეთი მკაფიო ეკონომიკური ნიშნულები, ამოცანები და სტრატეგია, საით მივდივართ, რა უნდა გაკეთდეს. მინდა, ეს გამოსწორდეს და ნაციონალებსაც არ მიეცეთ ხელახლა აღზევების საშუალება. ამის მეშინია. თუმცა, ამის ძალიან ცოტა შანსია, მაგრამ მინდა, ჩემს ქვეყანაში დროზე დავინახო პროგრესი, რომელშიც აქტიური, კომპეტენტური ადამიანები არიან ჩართული. ვიწრო წრე უნდა გაფართოვდეს. კომპეტენტური ადამიანი ბევრი გვყავს, რომლებიც, სამწუხაროდ, არ არიან ჩართული ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებაში. ყველა სფეროში კომპეტენტური ხალხია საჭირო. ამას ყოფილი სპორტსმენებით, მხატვრებითა და მსახიობებით ვერ გააკეთებ. ახლა ნახევარზომების დრო აღარ არის, კრიტიკული დროა. ახლა გვჭირდება ხელისუფლებისაგან კონკრეტული შედეგის მიღწევა. საზოგადოებას უნდა დავანახვოთ, რომ სწორი გზით მივდივართ. დღეს უკეთესია, ვიდრე გუშინ იყო, ხვალ უკეთესი იქნება, ვიდრე – დღეს, რომ ხელისუფლებისა და ქვეყნისადმი ის განწყობა შევინარჩუნოთ. თუ ამას ვერ დავანახვებთ, ინიციატივა სხვა ძალებზე გადავა. არ მინდა, ასეთი ძალა იყოს ნაციონალური მოძრაობა. უპრიანია, ნამდვილად ჯანსაღი მეორე (ოპოზიციური) ძალის გამოჩენა და პოლიტიკური ასპარეზიდან ნაციონალური მოძრაობის ჩამოცილება.

# ეკა ბესელია: „ყველა გახმაურებულ საქმეს გამოვიძიებთ“

გულიკო ბალაძე

სანაპიროზე, იუსტიციის სახლთან, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალი გახსნა. სწორედ ამ ადგილზე დაღვარა ახალგაზრდა ბიჭების სისხლი პატრულმა. ეს ბიჭები ზურა ვაზაგაშვილი და საშა ხუბულოვი აღმოჩნდნენ. ისინი იყვნენ სააკაშვილის უსამართლო რეჟიმის მსხვერპლნი.

თუმცა, თბილისის სხვა ქუჩებსა და ციხეებსაც არ დაჰკლებიათ სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის მსხვერპლთა სისხლი. როგორც შვილმოკლულმა მამამ იური ვაზაგაშვილმა განაცხადა, აღნიშნული მემორიალის გახსნა თეა წულუკიანის დამსახურებაა.

წინა წლებში ამ ადგილზე იური ვაზაგაშვილმა არაერთხელ გააკეთებინა წარწერა, რომ აქ სააკაშვილის რეჟიმმა დახვრიტა ზურა ვაზაგაშვილი და საშა ხუბულოვი, მაგრამ ხელისუფლებას ეს, ცხადია, გულზე არ ეხატებოდა და მას იღებდა ხოლმე. ბოლოს პატარა მემორიალი აქაურობას იუსტიციის სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მოაშორეს. სააკაშვილმა, ალბათ, იფიქრა, რომ ამ გზით შეძლებდა ხალხისთვის ამის დავიწყებას. ამიტომ მოიფიქრა აქ იუსტიციის სახლის აშენება.

მართალია, სააკაშვილს უნდოდა, საზოგადოებისთვის დაევიწყებინა პოლიციელთა მხრიდან ბიჭების ჩახოცვის ფაქტი, მაგრამ არ გაუმართლა. არჩევნებში ნაციონალები დამარცხდნენ, სამართლიანობისთვის ბრძოლამ კი გაიმარჯვა.

თუმცა, სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა



მრავალი ოჯახი გაანადგურა, ოჯახებს დედისერთა ბიჭები დაუხოცა. შაბათს ზურა ვაზაგაშვილის დაბადების დღე იყო, მაგრამ მისი მშობლები მის დაბადების დღეზე მემორიალთან იდგნენ და ცრემლმორეულნი იუსტიციის მინისტრს უსმენდნენ. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, აქ იმიტომ შეიკრიბნენ, რომ ერთმანეთისთვის ჩვენი უახლოესი წარსული მიესამძიმრებინათ.

– დღეს ჩვენთვის, ყველასთვის ძალიან დიდი დღეა, რადგან ბევრი წლის შემდეგ პირველად შევიკრიბეთ ვაზაგაშვილის საფლავთან, რომელიც პირველი ოქტომბრის დიდი მოლოდინის შედეგად მემორიალად იქცა. შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ერთმანეთს მშვიდ გარემოში მივუსამძიმროთ ის წარსული, რომელიც არის ჩვენი წარსული და უკვე წინა ხელისუფლება ჰქვია, მივესალმოთ იმ მომავალს. რომელიც ერთად უნდა ვაშენოთ, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რომლის თაოსნობითაც იუსტიციის სახლთან აღნიშნული მემორიალი დაიდგა.

თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლებამ იუსტიციის სახლი გააკეთა კორტების ადგილზე, გაჩეხა ბაღი.

სხვათა შორის, როდესაც გახმოვანდა, რომ კორტები უნდა დანგრეულიყო და მის ადგილზე იუსტიციის სახლი აშენებულიყო, ხალხი პროტესტს გამოთქვამდა, მაგრამ სააკაშვილმა მათი პროტესტი ყურად არ იყო – კორტებიც გაანადგურა და ის სიმწვანეც, რაც აქ იყო.

– ეს მემორიალი არის იმ იუსტიციის სახლთან, რომელიც აშენდა პროტესტის ფონზე. აქ გაიჩეხა უამრავი სიმწვანე. იმ ადგილზე, სადაც ჩვენ ამ წუთში ვდგავართ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მანქანაში ჩაცხრილეს ახალგაზრდები ზურა ვაზაგაშვილი და საშა ხუბულოვი.

როგორც თეა წულუკიანმა განაცხადა, აღნიშნული მემორიალი მიეძღვნა არა მხოლოდ ზურა ვაზაგაშვილისა და საშა ხუბულოვის დაღუპვას, არამედ, საერთოდ, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ქუჩებში დახვრეტილი ახალგაზრდების ხსოვნას.

– აღნიშნული მემორიალი არ ეძღვნება მხოლოდ აქ დახვრეტილი ახალგაზრდების ზურა ვაზაგაშვილისა და საშა ხუბულოვის ხსოვნას. ბატონი იურის ოჯახის სურვილი იყო, რომ ეს მემორიალი მიძღვნოდა ყველა იმ ადამიანის ხსოვნას, რომლებიც 2004-2012 წლებში წინა ხელისუფლების უკანონო ქმედებებს შეეწირნენ. დღეს ჩვენ აქ არ შევიკრიბეთ პროტესტისთვის. სწორედ ეს არის სასიხარულო. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ პატივი მივაგოთ დაღუპულთა, მოკლულთა ხსოვნას (იყო ეს ციხეში მომხდარი თუ გარეთ) და ზავი დავდოთ ყველამ ერთად საკუთარ წარსულთან. ამ წარსულს ჩვენი წინა ხელისუფლება ჰქვია.

მომავალი ერთად უნდა ავაშენოთ. ჩვენი მთავრობა, რომლის წარმომადგენელი დღეს მე გახლავართ, იმედოვნებს, რომ ეს მემორიალი იქნება არა მხოლოდ ხსოვნის, არამედ იქნება გადებული ხიდი წარსულსა და ძალიან კარგ მომავალს შორის.

ბატონი იური ყოველ ჯერზე, როდესაც ჩვენი წინა ხელისუფლება ვანდალურად გამოაგზავნიდა ხოლმე თავის წარმომადგენელს და მიცვალებულის დაფას ჩამოგლეჯდა, არ კარგავდა იმედს, რომ ეს დაფა მართლაც მემორიალად იქცეოდა. მეამაყება, რომ სწორედ იუსტიციის სამინისტრომ და მე ფრთა შევასხით და დაიდგა მემორიალი. აღნიშნული მემორიალი შეახსენებს ამჟამინდელ და ყველა მომავალ ხელისუფლებას, რომ სიცოცხლე ადამიანის ღვთით ბოძებული უფლებაა. მას დაცვა და მოფრთხილება სჭირდება, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

იური ვაზაგაშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლების პირობებში ნებისმიერი ადამიანს და მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იყო. ჩვენი თვითგადარჩენის პრობლემა იდგა.

– მინდა, მადლობა ვუთხრა ბატონ ბიძინას. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ქალბატონ თეას, რომელიც დღედაღამ თავდაუზოგავად იბრძვის, რათა ადამიანის უფლებები იყოს დაცული და ერთხელ და სამუდამოდ ბოლომდე მოვიცილოთ ეს სისხლიანი რეჟიმი. მოსაცილებელი ჯერ კიდევ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# თემურ შაშიაშვილი: „საქართველო ხარბ სააკაშვილს არ უნდა შევწიროთ!“

შორენა მარსაგიშვილი



საჯაროსთან გამართული ცემა-ტყეპის შემდეგ ოცნება და ნაცმოძი ერთმანეთს დაუტკბნენ. მიხეილ სააკაშვილი მეოცნებეებს დიალოგისკენ მოუწოდებს. სააკაშვილის შეთავაზება პარტია „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილს სახიფათოდ მიაჩნია. მისი თქმით, მზაკვარი სააკაშვილი პროვოკაციაზე ჯერ კიდევ მაშინ წავიდა, როცა პარლამენტში გამოსასვლელად 8 თებერვალი შეარჩია.

— მთავარი პროვოკაცია მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება იყო კონსტიტუციით განსაზღვრულ დღეს 6 თებერვალს პარლამენტში გამოსვლაზე უარის თქმის და წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის დღეს, 8 თებერვალს გამოსვლის მოთხოვნის თაობაზე.. ეს ერთდროულად პროვოკაციაც იყო, ავანტიურაც და თავხედობაც. ეს დღე მეფეს ეკუთვნის..., — აცხადებს შაშიაშვილი.

მისი განცხადებით, დღეს საქართველოში დიდი პოლიტიკური კონფლიქტია. და ამ ფონზე ქვეყანა შესაძლოა ცუდ დღეში აღმოჩნდეს.

— ქვეყანაში სერიოზული კონფლიქტია ერთის მხრივ, სოციალურ დემაგოგ და მეორეს მხრივ, რეალურ პოლიტიკოსებს შორის... ძნელია სააკაშვილის მასშტაბის სოციალური დემაგოგი იპოვო ქვეყნის გარეთაც კი, მაშინ, როცა ქვეყანაში ძნელია კონკრეტულ საქმეზე ორიენტირებული მეორე პოლიტიკოსი იპოვო, რომელიც ახლოს იქნება ამ მიმართულებით ბიძინა ივანიშვილთან. კიდევ ერთი, ეს არის კონფლიქტი ემოციურ მმართველსა და იმ მმართველს შორის, რომელიც გონებაზეა ორიენტირებული.სააკაშვილს გონებით მართვა არ შეუძლია, ივანიშვილს-ემოციით.... საქართველოს მომავალი გონებასთანაა დაკავშირებული. რაც მთავარია, საქართველოში უნდა დამთავრდეს პოლიტიკოსთა პარპაში. მომავალი აქვს არა პარტიულ მმართველობას, არამედ იმ ხელისუფლებას, რომელიც იქნება ერთობა ხალხის, ზნეობრივი ავტორიტეტების, პროფესიონალების და პოლიტიკოსების ერთობა. ამის გაკეთება არც დიდ და არც პატარა ერთმმართველს,თუ დიქტატორს არ შეუძლია, მხოლოდ დემოკრატ ხელისუფალს შეუძლია. და ბოლოს, თუ არ დამთავრდა სააკაშვილის პრეზიდენტობა, საქართველოს წინ დიდი არეულობა ელოდება. ნუ შევწირავთ საქართველოს მომავალს ძალაუფლების მოყვარულ ხარბ და თვითმარქვია კაცს, — აცხადებს შაშიაშვილი.

## დღეს საქართველოს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ ნალბანდიანი 11-13 თებერვალს საქართველოს ეწვევა.

სომხეთის საგარეო უწყების ცნობით, საქართველოში ნალბანდიანი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას.

ვიზიტის ფარგლებში მოლაპარაკებები საქართველოსა და სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელებს შორისაც შედგება.

მედიანიუსი

## გურამ დონაძემ საპატიმრო 25.000–ლარიანი გირაოს სანაცვლოდ დატოვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილმა უფროსმა გურამ დონაძემ 25 000 ლარის გირაოს გადახდის შემდეგ გლდანის მე-8 საპყრობილე დატოვა. როგორც მან საპატიმროს დატოვების შემდეგ განაცხადა, ის იმ მასალას მოიძიებს, რომელიც შინაგან საქმეთა უწყებამ ამირან (ბუტა) რობაქიძის მკვლელობის ღამეს გაავრცელა.

დონაძემ მადლობა გადაუხადა აჭარის პროკურატურასა და პოლიციის ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ ის კანონის სრული დაცვით დააკავეს, რასაც იგი არ ელოდა. ამასთან, გურამ დონაძე მის მიმართ წაყენებული ბრალდების დეტალურად გაცნობას, გამოძიებასთან თანამშრომლობასა და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას აპირებს და თავს დამნაშავედ არ ცნობს. „უცხოეთში ჯანმრთელობის მდგომარეობისა და იმის გამო ვიყავი წასული, რომ დავუფლებოდი უცხო ენას“, –– განაცხადა გურამ დონაძემ.

მისმა ადვოკატმა, კახა შონიამ განაცხადა, რომ ჯერ უცნობია, თუ როდის დაკითხავენ გურამ დონაძეს.

მისივე ცნობით, გირაოს სანაცვლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ის მაღალჩინოსნებიც გათავისუფლდნენ, რომლებიც დონაძესთან ერთად ბუტა რობაქიძის საქმეში ფიგურირებენ.

ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულ პირებს თბილისის საქალაქო სასამართლომ გირაო გუშინწინ შეუფარდა.

მედიანიუსი

## მოსკოვის მაღაზიებში საქართველოში წარმოებული ,,კოკა-კოლა“ აღმოაჩინეს

მოსკოვის რამდენიმე მაღაზიაში საქართველოში წარმოებული ,,კოკა-კოლა“ აღმოაჩინეს.

,,ინტერფაქსის“ ცნობით, მაღაზიების გამყიდველებმა ჟურნალისტებს ვერ დაუკონკრეტეს თუ საიდან და როდიდან მოხვდა მათ დახლებზე საქართველოში წარმოებული ,,კოკა-კოლა“.

,,კოკა-კოლას“ რუსეთის წარმომადგენლობაში აცხადებენ, რომ მათ არანაირი კავშირი არ აქვთ საქართველოდან აღნიშნული სასმელის იმპორტთან.

რუსეთის წარმომადგენლობაში ასევე აღნიშნავენ, რომ ისინი მზად არიან ქართველ კოლეგებთან ერთად გაარკვიონ, თუ როგორ მოხვდა მოსკოვის მაღაზიებში საქართველოში წარმოებული სასმელი.

მედიანიუსი

# სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“ დაუტკბა

შორენა მარსაგიშვილი



**8 თებერვალს დატრიალებულმა ამბებმა ცხადყო, რომ კასპი კი არა, საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიააა ტატამი. იქ განვითარებული პროცესები კიდევ კარგა ხანს იქნება სალაპარაკო თემა. ნაციონალებს რატომღაც გასული საუკუნის 90-იანი წლები გაახსენდათ. გიგი უგულავა ზედმეტად ხშირად ახსენებს მხედრიონს და ამ დროს ავიწყდება, რომ მათი კულტურის მინისტრი მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ისევე, როგორც ზონდერბრიგადირი გია უდესიანი.**

**სხვა განაციონალებული მხედრიონელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და ისევ 8 თებერვლის ამბებს დავუბრუნდები. რიგითი ნაციონალებისგან განსხვავებით, მოვლენებს მოკრძალებული შეფასება მისცა სააკაშვილმა. მან ახალ მთავრობას თანამშრომლობა შესთავაზა, იმ მთავრობას გაუწოდა ხელი, რომელსაც ევროსაბჭოს ტრიბუნიდან ლამის დედა აგინა.**

სააკაშვილის დათაფლვა პრემიერის განცხადებას მოჰყვა. საჯაროსთან გამართულ მუშტი-კრივს ბიძინა ივანიშვილი საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა.

— პირველ რიგში, მინდა უპირობოდ და ცალსახად დავგმო ძალადობის ის ფაქტები, რომლებსაც გუშინ ადგილი ჰქონდა საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამოქალაქო პროტესტის გამოხატვა, რაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, უნდა იყოს მხოლოდ არა ძალადობრივი და მხოლოდ კანონის ფარგლებში. შინაგან საქმეთა მინისტრი ჩემი დავალებით ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოძალადეთა და ძალადობის ინსპირატორთა გამოსავლენად და დასასჯელად. მიმდინარეობს პოლიციის მოქმედებების ანალიზიც, იმისათვის, რომ დაიხვეწოს მსგავს სიტუაციებში მისაღები ზომები.

უკეთესი იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტს გაეთვალისწინებინა უმრავლესობის წინადადება და ყოველწლიური მიმართვა გაეკეთებინა პარლამენტის შენობაში ორიოდე კვირის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის გამოსვლაში რამოდენიმე საყურადღებო მომენტი შევნიშნე. ეს განცხადებები ადრე რომ გაკეთებულიყო, ზოგ გართულებას თავიდან ავიცილებდით. კერძოდ, პრეზიდენტმა ქართველ ხალხს ბოდიში მოუხადა იმ შეცდომებისთვის, რაც წლების განმავლობაში დაუშვა მან და მისმა მთავრობამ. პრეზიდენტმა აღიარა ისიც, რომ გასულ საპარლამენტო არჩევნებში ხალხმა სამართლიანად ჩამოართვა მათ ძალაუფლება და ხალხის ნდობის დასაბრუნებლად, პირველ რიგში, საჭიროა წარსულის პრობლემების გაანალიზება და სწორი დასკვნების გაკეთება.

ახლა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, რათა გაჩნდეს ნდობა მისი ამ და სხვა სიტყვებისადმიც. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი მზადაა, მხარი დაუჭიროს იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც პარლამენტის მონაწილეობის გარეშე ახალი მთავრობის შექმნა შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, ველით ამ განცხადების დადასტურებას საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან, რის შემდეგაც პარლამენტი უმოკლეს ხანში კენჭს უყრიდა ამ კანონპროექტს.

პრეზიდენტმა ისაუბრა სხვა კონსტიტუციურ საკითხებზეც, რომლებიც განსახილველი კანონპროექტის საგანი არ არის და რომლებზეც მას ჩვენგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს. ჩვენ მზად ვართ, ზემოთ ნახსენები კანონპროექტის მიღების შემდეგ მისი მოსაზრებები ყურადღებით მოვისმინოთ და სათანადო კანონპროექტების განხილვის პროცესში საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით შევაჯეროთ პოზიციები.

საკონსტიტუციო დონეზე ყველა საკითხის გადაწყვეტამდე კარგი იქნება, თუ პარლამენტში მალე დასრულდება ინტერფრაქციული შეთანხმების გაფორმება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების თაობაზე. საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებულ დოკუმენტზე ფართო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა ხელს შეუწყობდა მთავრობის მცდელობებს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარების, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შეუქცევადობისა და რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის აღდგენის დაწყების მიმართულებით, — ნათქვამია პრემიერის საგანგებო განცხადებაში.

ივანიშვილის განცხადებას სააკაშვილი გუშინ გამოეხმაურა და მეოცნებეებს ჭეშმარიტი კოჰაბიტაციისკენ მოუწოდა.

— მივესალმები იმ ფაქტს, რომ პრემიერ-მინისტრმა შეცვალა თავისი ჩვეული მოწოდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განადგურების თაობაზე და ჩემს გუნდსა და საპარლამენტო ოპოზიციას დიალოგი შესთავაზა.

ის, რაც 8 თებერვალს მოხდა, ჩვენს ქვეყანაში არასდროს აღარ უნდა განმეორდეს. პოლიტიკური ძალადობა უნდა შეწყდეს, ისევე როგორც თავდასხმები ოპოზიციაზე, ზეწოლა პარლამენტის წევრებზე, შეჭრა ადგილობრივ თვითმმართველობებში ან შერჩევითი დევნა. ჩვენ გვჭირდება კოჰაბიტაციის რეალური პროცესის დაწყება, როგორც ამას ითვალისწინებს ჩვენი კონსტიტუცია და როგორც ეს სურს ჩვენს ხალხს.

ჩემი გამოსვლის კვალდაკვალ და იმისთვის, რომ არ გაგრძელდეს მხოლოდ მონოლოგები და დეკლარაციები ტელეეკრანებიდან და გადავიდეთ კონკრეტულად საქმის განხილვაზე, ვიწვევ პრემიერ-მინისტრსა და მის გუნდს დიალოგის გასამართად ჩემთან და ჩემი გუნდის წარმომადგენლებთან. შეგვიძლია უკვე ორშაბათს დავსხდეთ და ერთად განვიხილოთ მთელი რიგი საკანონმდებლო საკითხები, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებები და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც მოითხოვს კონსენსუსს სხვადასხვა ინსტიტუტების მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფის გზაზე. ეს კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული დემოკრატიისთვის.

ეს მოლაპარაკება მაშინვე დაიწყება, როგორც კი პრემიერ-მინისტრი მიიღებს ჩემს შეთავაზებას. ცხადია, პარალელურად, ასევე თანახმა ვარ, მივიდე პარლამენტში და იქიდან მივმართო საზოგადოებას სიტყვით, რაც თავიდანვე არ უნდა გაეუქმებინათ.

ჩვენი, როგორც არჩეული ლიდერების, ისტორიული პასუხისმგებლობაა, ყველაფერი გავაკეთოთ ძალადობის პრევენციისთვის, რათა 90-იანების სამოქალაქო დაპირისპირება აღარასდროს განმეორდეს ამ ქვეყანაში.

ვიმედოვნებ, რომ 8 თებერვლის სამარცხვინო მოვლენა გაკვეთილი იქნება და ბოლოს მოუღებს ძალადობისა და სიძულვილის მთელ სერიას, რომელსაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი ჩვენს ქვეყანაში, — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

საინტერესოა, თავად რატომ არ ამბობდა უარს ძალადობაზე და სიძულვილზე. 26 მაისის და 7 ნოემბრის დარბევა ხომ მისი ბრძანებით მოხდა. ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ რომ საუბრობდა, ეს არ იყო ძალადობა და სიძულვილი?

კოჰაბიტაციის გუნებაზე მყოფ სააკაშვილს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გამოეხმაურა.

— მე კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ მზად ვარ, პრეზიდენტთან და მის პოლიტიკურ გუნდთან ურთიერთობისთვის კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელი დაცვით. ძალადობრივი დანაშაულის პატიების უფლება ჩემთვის არავის მოუცია. ყველა სხვა საკითხზე მზად ვარ გონივრული კომპრომისისთვის. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ირწმუნება, რომ პარლამენტში ინიცირებულ საკონსტიტუციო პროექტზე შეთანხმება ბევრი სხვა საკითხის გადაჭრისა და პრობლემის მოგვარებისკენ გახსნის გზას, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პარლამენტის თავმჯდომარემ.

სპიკერი ამბობს, რომ მას არც შეუწყვეტია მოლაპარაკებები უმცირესობასთან. ასეთი ტიპის დიალოგი მას ნაციონალებთან 9 თებერვალს საღამოსაც ჰქონდა.

— რაც შეეხება პარლამენტში პრეზიდენტის მისვლის საკითხს, პარლამენტს არ უთქვამს, რომ ის პრეზიდენტს არ მოუსმენს. ჩვენ გადაწყვეტილება იმ ფონის გათვალისწინებით მივიღეთ, რაც შექმნილია ქვეყანაში და ჩავთვალეთ, რომ ცალკეულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში გაცილებით უპრიანი და პროდუქტიული იქნებოდა პრეზიდენტთან დებატები პარლამენტში. უკეთესი იქნებოდა, თუკი პრეზიდენტი გაიაზრებდა ჩვენს ამ მოსაზრებას, მაგრამ მან სხვა გზა არჩია. პრემიერ-მინისტრი თავად გააკეთებს განცხადებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისევე, როგორც მან გუშინ მიმართა ქართველ საზოგადოებას და ხელისუფლებას. რაც შეეხება მოლაპარაკებებსა და დიალოგს, მე არც არასდროს შემიწყვეტია ეს ურთიერთობა და გუშინ საღამოსაც მქონდა შეხვედრა უმცირესობის წარმომადგენლებთან. ასე რომ, ეს მიმდინარე პროცესია. სხვა საკითხია, რომ ჩვენ გვჭირდება არა გაუთავებელი დიალოგები და მოლაპარაკებები, არამედ გადაწყვეტილებები, შეთანხმება, რომელიც გახსნის გზას ყველა სხვა თემისკენ. ჩვენი მხრიდან აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირება სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. მარტივი და ყველასთვის გასაგები საკითხია ის, რომ პრეზიდენტს მთავრობის ერთპიროვნულად შეცვლის კონსტიტუციური უფლება არ უნდა ჰქონდეს. აღნიშნულ თემაზე შეთანხმება გზას გახსნის ბევრი სხვა პრობლემის მოგვარებისკენ. პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ინიცირებული საკონსტიტუციო პროექტის დამტკიცება საჭიროა იმისთვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ დროში გაჩნდეს განცდა იმისა, რომ ქვეყანას არ ემუქრება პოლიტიკური კრიზისები და არავის თავში რაიმე უბედურება არ იგეგმება, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულ პროცესებს საქართველოს პატრიარქიც გამოეხმაურა. ილია II მომხდარით შეწუხებულია და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

— უსიამოვნება, რომელიც ამ დღეებში პრეზიდენტის გამოსვლის წინ მოხდა, მეტად სამწუხაროა. ამის მიუხედავად, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ბოროტება იკურნება მხოლოდ სიყვარულით, ადამიანის ცხოვრება კი გამოცდაა — სიკეთე და ბოროტება, მწუხარება და სიხარული. როგორც ბასილი დიდი ამბობს, ბოროტება ვერ იკურნება ბოროტებით. ბოროტება იკურნება სიყვარულით. ქართველ ადამიანსაც რამდენი რამ უთქვამს ამაზე — „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ქართველი ადამიანი არასოდეს ტოვებს ნანგრევებს. აშენებს ახალ შენობას, ახალ იდეებს, სიახლეს, სიკეთეს. ამიტომ არ შეგეშინდეთ ამ მოვლენებისა. ეს ყველაფერი გაივლის და საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობოზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ეშმაკს შურს ჩვენი. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ხშირად ადამიანი სხვებში ეძებს მტერს, როდესაც სინამდვილეში მტერი საკუთარ თავშია.

არავინ გაუკეთებს ადამიანს ისეთ მტრობას, როგორც იგი საკუთარ თავს. მოლდოვაში იყო ერთი მქადაგებელი, რომელიც ამბობდა, „ვინც რას აკეთებს, თავის თავს უკეთებს“. იყო ასეთი შემთხვევა — ერთ ქალს გამოუცხვია პურები და მასში საწამლავი ჩაუდია და მისცა საჭმელად ამ მოხუც მქადაგებელს. მან ვერ მოასწრო ჭამა, როდესაც დაინახა ჯარისკაცი, რომელმაც საჭმელი სთხოვა. მისცა ამ ჯარისკაცს ეს პურები, უჭამია ჯარისკაცს და მოიწამლა. იგი აღმოჩნდა იმ ქალის შვილი, ვინც ეს პურები გამოაცხო. სხვისთვის უნდოდა და თავის თავს გაუკეთა. ასე რომ, ვიყოთ იმედით, ვაკეთოთ სიკეთე და ეს სიკეთე და სიყვარული ათმაგად და ასმაგად დაგვიბრუნდება. არ შეგეშინდეთ, რადგან ჩვენთან არს ღმერთი, — განაცხადა საკვირაო ქადაგებისას პატრიარქმა.

# რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალები დემაგოგიას უნდა შეეშვან“

ნათია ხურცილავა



**ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენები, პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით, პატიმრობაგამოვლილი ადამიანების პასუხი იყო პრეზიდენტისა და ყოფილი ხელისუფლების მიმართ, რაც მათ მალე უნდა გააცნობიერონ.**

***— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებს? პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადაიდო.***

— საპარლამენტო გამოსვლის ჩანაცვლება არ უნდა გაეკეთებინა. პრეზიდენტს არც უნდა დაენიშნა გამოსვლა მას შემდეგ, რაც პარლამენტში მას უმრავლესობამ უარი უთხრა, რომ სიტყვით გამოსულიყო. ხალხში გაცილებით დიდ აგრესიას იწვევს, ვიდრე თვითონ ჰგონიათ. თავად შეიძლება ეს შეაფასონ, როგორც პრემიერის მიერ ორგანიზებული, მაგრამ ხალხის რაოდენობა და იქ არსებული მუხტი, რომელიც იმ ადამიანებს ჰქონდათ, სავსებით ნათელ სურათს ქმნის, იყო თუ არა ვინმეს მიერ ორგანიზებული ის, რაც მოხდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. ჩვენ გვინახავს ორგანიზებული თავყრილობები. ორგანიზებული თავყრილობები სხვა მუხტისა და სხვა რაოდენობის იყო. რაც უფრო მალე გააცნობიერებენ, რომ ციხეში, თანაც იმ პირობებში, რაც იყო ჩვენს ციხეებში, ნამყოფი ადამიანები ძალიან არიან გამწარებულები, უკეთესი იქნება. გამწარებულები არიან არა მხოლოდ ყოფილი პოლიტპატიმრები, არამედ მათი ახლობლები, მათი ოჯახის წევრები, მათი ბედ-იღბლის შემხედვარე კი — დანარჩენი საზოგადოება. ეს ადამიანები მხოლოდ პოლიტიკურ არჩევანს კი არ აკეთებენ და მხოლოდ პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ კი არ არიან აგრესიულად განწყობილი — გამწარებულები არიან. ეს კი რაც შეიძლება მალე უნდა გააცნობიერონ. უკეთესი იქნება მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც, რომ რაც შეიძლება მალე გააცნობიერონ, თავს არ მისცენ უფლება, ხალხი გააღიზიანონ. ეს კი გულისხმობს ამ სახეების მოშორებას, რომლებიც, სამწუხაროა, მაგრამ დამსახურებულად გაილახნენ. ასევე ვგულისხმობ თვითონ პრეზიდენტის მოშორებასაც ხალხის თვალსაწიერიდან.

***— შეიძლებოდა, უფრო დრამატულად განვითარებულიყო მოვლენები? პროცესების ესკალირება მომხდარიყო...***

— რასაკვირველია, შეიძლებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მისვლა ეპიცენტრთან სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ სიტუაცია განმუხტულიყო და უფრო მძაფრი განვითარება არ მოჰყოლოდა.

***— შეიძლებოდა, სიტუაცია უმართავი გამხდარიყო?***

— არა, როგორც ჩანს, პოლიციის მხრიდან კარგად იყო ორგანიზებული, რომ უფრო უარესი შედეგი არ მიგვეღო, პროტესტანტები დანაწევრებული ჰყავდათ, კორდონები იყო გაკეთებული. ხალხის მასის გაერთიანება და რაღაც სტიქიურ პროცესად მათი ქმედების გარდაქმნა შეუძლებელი იყო.

***— ბატონო რამაზ, პარლამენტის უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას როგორ შეაფასებთ, რომ არ მოესმინა პრეზიდენტისთვის?***

— მე, მაგალითად, დებატები მაინტერესებდა. როგორი იქნებოდა ეს დებატები? ვის რა არგუმენტები ექნებოდა? შეძლებდა სააკაშვილი კრიტიკის მოსმენას? და ა.შ. ეს ჩემი ადამიანური ემოციაა და არა პროცესების შეფასება, რომელიც ანალიზზეა დაყრდნობილი. პოლიტიკური თვალსაზრისით ის, რაც მოხდა, დაიმსახურეს პირველ რიგში პარლამენტარების, შემდეგ კი — ხალხის მხრიდან.

***— საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან არგუმენტად მიტაცებული კონსტიტუციური ნორმების დაბრუნება დასახელდა, ამაზე რას იტყვით?***

— უმცირესობა კონსტიტუციაში ითხოვს ჩაიწეროს ქვეყნის კურსი და ორიენტაცია. ეს ხომ დემაგოგიაა. ეს ხომ რეალური ინტერესების ბრძოლა არ არის. ის კომპრომისი, რომელსაც უმცირესობა ითხოვს, ხომ უპრეცედენტო სირცხვილია. მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირეთის მაგალითი არსებობს, ვერ ვიტყვი, რომ 90-იანი წლების ბალტიისპირელები სახელმწიფოებრიობის ეტალონები იყვნენ. ეს ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ დემაგოგიის პროცესში ჩართვა უნდოდა ყველას. უმრავლესობამ გადაწყვიტა, არსებული პოლიტიკური საშუალებები გამოეყენებინა, გამოიყენა კიდეც და გადადო პრეზიდენტის გამოსვლა იქამდე, სანამ უმცირესობა დემაგოგიას არ მოეშვება და არ დაიწყებს რეალურ დიალოგს, რომ საკითხი რეალურად გადაწყდეს, რომ არ იყოს ის საფრთხე, რომელიც შეიძლება მართლაც ამოქმედდეს.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტს გაუჭირდება, ოქტომბრამდე შეასრულოს პრეზიდენტის მოვალეობა?***

— რა გითხრათ, წესით, აქამდეც უნდა გასჭირვებოდა. იმის მცირედი ნაწილიც კი არ მომხდარა საფრანგეთში, რაც საქართველოში მოხდა, მაგრამ დე გოლი გადადგა. თუმცა, ერთი პატარა განსხვავებაა — მას თავმოყვარეობა ჰქონდა.

***— მიანიშნებთ, რომ სააკაშვილი არ გადადგება?***

— დიახ, არა მგონია, ასე განვითარდეს მოვლენები და ის გადადგეს. ის მექანიზმები, რომლებიც ასეთი ნაბიჯს ადგმევინებს ადამიანს, ამათ არ აქვთ.

# ეკა ბესელია: „ყველა გახმაურებულ საქმეს გამოვიძიებთ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბევრი გვყავს. ძალიან ბევრია კიდევ მოკალათებული იქ, სადაც არ უნდა იყოს. ძალიან დიდი ვალი გვაქვს საზოგადოებას, მივაწოდოთ სრული ინფორმაციები, რომ პირველ პირებს გაუადვილდეთ ბრძოლა. ძალიან ძნელია ამხელა სისტემის უცბად შეცვლა. ეს ჩვენი საზოგადოების ვალიც არის, — განაცხადა იური ვაზაგაშვილმა.

მემორიალის გახსნას დაესწრო პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, რომელმაც აღნიშნა:

— მახსოვს, ბოლო რამდენიმე წელი ამ დღეს ვიკრიბებოდით ხოლმე უფლებადამცველები და საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებიც ვერ ივიწყებდნენ, რომ იმ დროს, როდესაც ვანო მერაბიშვილი იყო პოლიციის სათავეში, პოლიციამ ჩაცხრილა ზურა ვაზაგაშვილი და საშა ხუბულოვი, ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული. დღეს არის ვითარება, როცა ჩვენ უკვე შეგვიძლია, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და გამოძიებულ იქნეს აღნიშნული ფაქტები. ძალიან კარგია, რომ გამოძიება დაიწყო და მათ შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე უკვე გაიხსნა. მემორიალის გახსნას მორალური დატვირთვა უფრო აქვს, ვიდრე — პოლიტიკური. უფრო სიმბოლური დატვირთვისაა. ეს იქნება სიმბოლო იმისა, რომ ადამიანის სიცოცხლე ყველაზე მთავარი ღირებულებაა და ნებისმიერი სახელმწიფო და ნებისმიერი ხელისუფლება განსაკუთრებით უნდა უფრთხილდებოდეს ადამიანის სიცოცხლეს. ასეთი რამ არასოდეს არ უნდა გამეორდეს. ჩვენთვის ადამიანი ყველაზე მთავარი ღირებულებაა!

ეკა ბესელიას თქმით, დღეს არის შესაძლებლობა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, გამოძიება სრულყოფილად ჩატარდეს. დღეს არის საშუალება ყველა გამოუძიებელი საქმის გამოძიება ჩატარდეს. ერთ-ერთი პირველი — ეს არის ის უმძიმესი დანაშაული, რომელიც თავის დროზე ჩაიდინეს წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა, როდესაც ქუჩაში ჩაცხრილეს უდანაშაულო ადამიანები. ჩვენი ხელისუფლების ღირსების საქმეა, ეს დანაშაული ბოლომდე იქნას გამოძიებული. შეიძლება, ის ტკივილი ვერასოდეს განელდეს, რაც ბატონ იურისა და მის ოჯახს, ბუტა რობაქიძის ოჯახს და სხვებს მიაყენეს, მაგრამ სამართლიანობა უნდა აღდგეს. ალბათ, ეს არის ბოლო ასეთი შეკრება, როდესაც აღარ დაგვრჩება კითხვები, რატომ არ ჩატარდა გამოძიება, რატომ არ არის დასმული ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

# მურმან დუმბაძეს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ბათუმის ორგანიზაციის დამფუძნებელთა ნაწილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიმართავს. როგორც მიმართვაშია ნათქვამი, პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნდობა თამაზ თურმანიძის კანდიდატურას გამოუცხადეს, მაგრამ მურმან დუმბაძისა და მისი თანაგუნდელების მხრიდან ნეპოტიზმის მორიგი მცდელობა გამოვლინდა. კერძოდ, მიმართვაში ნათქვამია, რომ პოლიტსაბჭოს კანდიდატი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნათესავის, ლაშა სირაბიძის კანდიდატურით უნდა შეცვალონ, რადგან ის იოლად სამართავი პიროვნებაა. როგორც პრემიერ-მინისტრისადმი მიმართვაშია ნათქვამი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და დეპუტატების ნაწილი პოლიტსაბჭოს კანდიდატურაზე ზეწოლას ცდილობდნენ. პრემიერისადმი გაგზავნილ მიმართვაზე ხელმომწერთა თქმით, თამაზ თურმანიძეს პოლიტსაბჭო და თანამოქალაქეები ყოველმხრივ დადებით პიროვნებად ახასიათებენ.

„მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მიუხედავად არაერთი მცდელობისა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების ვიწრო ჯგუფის მხრიდან, განეხორციელებინათ მასზე ზეწოლა (სახელდობრ, მურმან დუმბაძის თაოსნობით ავთანდილ ბერიძის, მედეა ვასაძისა და ალეკო ჩიტიშვილის მიერ) თამაზ თურმანიძემ შეინარჩუნა პრინციპული პოზიცია. ჩვენთვის, პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ბათუმელი დამფუძნებლებისთვის და თქვენი მრავალათასიანი ბათუმელი მხარდამჭერისთვის, კატეგორიულად მიუღებელია აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ამ ნაწილისგან ალმაშფოთებელი ნეპოტიზმის მორიგი მცდელობა, რათა მოხერხდეს პოლიტსაბჭოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატის ჩანაცვლება მათთვის სასურველი და იოლად მართვადი პიროვნებით. კერძოდ, ლაშა სირაბიძის პერსონით, რითაც თავის მხრივ აყენებენ უხერხულ სიტუაციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს არჩილ ხაბაძეს, ვინაიდან, ლაშა სირაბიძე გახლავთ მისი მეუღლის მკვიდრი ბიძაშვილი“, — აღნიშნულია მიმართვაში.

**მედიანიუსი**



# რატი კვანტრიშვილი: „ძველი თბილისის გამგებელმა თავი გამიტეხა“

შორენა კოწოწაშვილი

ეროვნულ ბიბლიოთეკასთან 8 თებერვალს მომხდარ დაპირისპირებას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გუნდის წევრებსა და ყოფილ პოლიტპატიმრებს შორის, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით ექნება გაგრძელება. უმცირესობაში გადასული სააკაშვილის მომხრეები, რომელთაც ქართველი საზოგადოების უმრავლესობა კრიმინალურ დაჯგუფებად მოიხსენიებს და მათ საბრალდებო სკამზე დასმას ითხოვს, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დემოკრატიულ სამყაროს ბიძინა ივანიშვილი არადემოკრატად, მისი მთავრობა უსუსურად წარმოაჩინოს.

მართალია, დემოკრატიული პროცესებისთვის მიუღებელია ყოველგვარი ძალადობა და პოლიტიკურ ოპონენტებთან ფიზიკური ანგარიშსწორება, მაგრამ ქართული რეალობა ასეთია: ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიერ გამწარებული ხალხი სამართალს ითხოვს და სისხლიანი რეჟიმის ავტორის — მიხეილ სააკაშვილის, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის რანგში, მოსმენაზე უარს აცხადებს.

სწორედ ეს უარი იყო ის ყველაფერი, რაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ვიხილეთ და რისი გამოყენებაც პიარულად ნაციონალებს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ უნდათ, მისი პიროვნების დისკრედიტების მიზნით.

საპარლამენტო უმცირესობა აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის ნანა კაკაბაძის დაპატიმრებას ითხოვს, აქციაზე დაზარალებულები კი ჩვენებებს ნაციონალური მოძრაობის ცნობილი სახეების წინააღმდეგ ჩვენებებს იძლევიან.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი კონტროლის ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი რატი კვანტრიშვილი ფიზიკური დაზიანებების მიყენებაში ძველი თბილისის რაიონის გამგებელ ნიკა მელიას ადანაშაულებს.

როგორც კვანტრიშვილმა გუშინ მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ინციდენტი 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა და ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ იგი დამატებით დაკითხეს.

— გამოვცხადდი დღეს დაკითხვაზე დამატებით ჩვენების მისაცემად. მოგეხსენებათ, 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების დროს მე მივიღე ფიზიკური დაზიანება. თავიდან ვვარაუდობდი, რომ ეს ჩაიდინა გიგი უგულავას დაცვის წვერმა, რადგან პიროვნება, რომელმაც შუბლის არეში რაღაც დამარტყა, იმ გაწევ-გამოწევის დროს, უგულავას დაცვის წევრი მეგონა. თუმცა, მე და ჩემმა ადვოკატმა განყოფილებაში კადრების ერთობლივად ნახვის შედეგად ამოვიცანით, რომ ეს არის ძველი თბილისის რაიონის გამგებელი ნიკანორ მელია, — აღნიშნა რატი კვანტრიშვილმა. მისი თქმით, ამ თემაზე დაკითხვისთვის სავარაუდოდ უახლოეს ხანში თავად ნიკა მელიასაც დაიბარებენ. კვანტრიშვილი არ გამორიცხავს, რომ ნიკა მელიას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელიც შეიტანოს. კვანტრიშვილი ფიქრობს, რომ საქმე სათანადოდ უნდა იქნეს გამოძიებული და დამნაშავემ კანონის შესაბამისად პასუხი უნდა აგოს.

როგორც რატი კვანტრიშვილი აცხადებს, ის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მეუღლესთან და ყოფილ პოლიტპატიმარ ზურა გელაშვილთან ერთად მივიდა. როცა დედაქალაქის მერი გიგი უგულავა და მისი თანმხლები პირები მოვიდნენ, არეულობა დაიწყო, რადგან იყო ცინიზმი და პროვოცირება ნაციონალების მხრიდან.

— ამ არეულობის დროს შუბლში რაღაც ბლაგვი საგნის დარტყმა ვიგრძენი ადამიანისგან, რომელიც პირდაპირ სახეში მიყურებდა. მაშინ მეგონა, რომ ეს გიგი უგულავას დაცვის წევრმა გააკეთა. სასწრაფო დახმარების ექიმებმა პირველადი დახმარება ადგილზე გამიწიეს, შემდეგ კი მეორე მანქანით ინგოროყვას კლინიკაში გადამიყვანეს, სადაც შუბლზე 54 ნაკერი დამადეს, — აღნიშნა რატი კვანტრიშვილმა. მისი თქმით, ნაციონალები აშკარად პროვოკაციაზე მიდიოდნენ და ისედაც მათ მიერ გამწარებულ ადამიანებს, უფრო აღიზიანებდნენ.

რაც შეეხება თავად ყოფილ პოლიტპატიმარ ზურა გელაშვილს, ის ფიქრობს, რომ სააკაშვილის რეჟიმისაგან გამწარებულ ადამიანებს, რომლებიც უკანონოდ ჩაყარეს ციხეებში და რომლებსაც ყველაფერი დააკარგვინეს, ოჯახები დაუნგრიეს და ზოგს შვილიც მოუკლეს, ვერ აიძულებ მშვიდად უსმინოს მიხეილ სააკაშვილს, რომელიც კვლავ პრეზიდენტის რანგში გამოდის და მისი მხრიდან რაღაც დემოკრატიული ფასეულობების დაცვაზე და ქვეყნის აღმშენებლობაზე გვესაუბრება, ახალ ხელისუფლებას კი უსუსურად წარმოაჩენს.

ზურა გელაშვილის თქმით, თავად ნაციონალები იყვნენ ყველაფერის მაპროვოცირებლები და ეს უგულავამაც კარგად იცის, სააკაშვილმაც და საზოგადოებამაც. გელაშვილის თქმით, ხალხმა ტელევიზიით მოისმინა თეა თუთბერიძის მოწოდება, რომელიც მომხრეებს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეკრებას მოუწოდებდა. სანამ ბიბლიოთეკის წინ ჩხუბი ატყდებოდა, მანამ, გელაშვილის თქმით, ნაციონალების ქალები ქაშუეთის მხრიდან აქციაზე მისულებთან პროვოცირებას ახდენდნენ და უნდოდათ რაიმე ექსცესი გამოეწვიათ.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების გამო სამართალდამცავებმა დაკითხვაზე დაიბარეს დედაქალაქის მერი გიგი უგულავა. დედაქალაქის მერის პრესსამსახურის ინფორმაციით, გიგი უგულავა ჩვენების მისაცემად წასვლას არ აპირებს და ისიც თანაგუნდელების მსგავსად დაკითხვაზე უარს არ ამბობს, თუმცა ითხოვს, რომ გამომძიებლები მას დასაკითხად თბილისის მერიაში ეახლონ.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა გუშინ განცხადება გააკეთეს, რომ თუ სამართალდამცავებს, გამომძიებლებს კითხვები აქვთ მათთან, ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში მივიდნენ.

— არ ვაპირებთ ნაციონალური მოძრაობის ოფისში მისვლას. მოვუწოდებთ ყველას, პატივი სცენ და დაემორჩილონ კანონის მოთხოვნებს, — განაცხადა შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა, თუმცა არ დააკონკრეტა ამ ეტაპზე, რა ღონისძიებები გატარდება თბილისის მერის გიგი უგულავას და ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ, რომლებიც დაკითხვაზე არ გამოცხადდნენ.

# სერტიფიკატის მოქმედება 35 ექიმს შეუჩერდა

მერი ნამორაძე

პრესითა თუ ტელევიზიით ამა თუ იმ სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმის მიმართ პრეტენზიის გაჟღერებას ტალღასავით მოჰყვება ხოლმე პაციენტთა საჩივრების მატება სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში. სააგენტო სწორედ ის ორგანოა, რომელმაც სამედიცინო დახმარების ხარისხი უნდა გააკონტროლოს. როგორც სააგენტოს უფროსის მოადგილე თემურ პირველაშვილი ამბობს, მოქალაქეთა საჩივრების გარდა, ინფორმაცია, რომელიც გახმოვანდება პრესასა თუ ტელევიზიაში, ხდება იმის საფუძველი, რომ ესა თუ ის საქმე შეისწავლონ. გარდა ამისა, სააგენტო ამოწმებს სანებართვო და სალიცენზიო პირობების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ გაცემული საექსპერტო დასკვნების მართლზომიერების საკითხებს და ასე შემდეგ. „ახალი თაობა" პაციენტთა პრეტენზიებთან და მედიკოსთა სერტიფიკატების შეჩერება-გაუქმების საკითხებთან დაკავშირებით და თემურ პირველაშვილს ესაუბრა:

***— ბატონო თემურ, რა სახის პრეტენზიები ჭარბობს მოსახლეობის მხრიდან?***

— ძირითადად შეიძლება, ორ ნაწილად გავყოთ პრეტენზიები. ერთია, რა დარღვევებია და რა სფეროში ხდება პრეტენზიებით მომართვა და მეორე — რას ითხოვენ ეს მოქალაქეები. ძირითადად საჩივრები შემოდის სამეანო-გინეკოლოგიური საქმიანობის სფეროში, ასევე — სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სფეროში და ქირურგიული პროფილის საქმიანობაში. პრეტენზიების უმრავლესობა ამ სფეროებს განეკუთვნება. რაც შეეხება მოთხოვნებს, პაციენტთა ნაწილი ითხოვს თანხობრივ ანაზღა-



ურებას, რომელიც დაკავშირებულია იმ დაწესებულებაში თანხის გადასახადთან, სადაც იმკურნალა. ამასთან, თუ კიდევ სხვა დაწესებულებაში განმეორებით დასჭირდა მკურნალობის ჩატარება, იმ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებასაც ითხოვენ ხოლმე. პაციენტთა ნაწილს არანაირი ანაზღაურება არ უნდა. საჩივრის მოტივი ის არის, რომ არაკვალიფიციური მკურნალობის ჩამტარებელმა ექიმმა სხვასაც არ მიაყენოს იგივე ზიანი. ძირითადად ამ მიზეზებით მოგვმართავენ.

მოგეხსენებათ, კანონი მეწარმეთა შესახებ დაწესებულებაში შესასვლელად სასამართლოს შუამდგომლობას მოითხოვს. სამედიცინო დაწესებულებაში რომ შევიდეთ, მივმართავთ სასამართლოს, თუ რატომ გვინდა ამა თუ იმ საკითხის შესწავლა, რა საეჭვო გარემოებებია და სასამართლოს ნებართვის შემდეგ აქვს უფლება ჩვენს ჯგუფს, ამოიღოს სამედიცინო დოკუმენტაცია. მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება საკითხის შესწავლა. რასაკვირველია, ახსნა-განმარტებებსაც ვეყრდნობით და ვითვალისწინებთ, მაგრამ, ძირითადად, ეს არის მაინც დოკუმენტაცია — პაციენტის სტაციონარული ბარათი და ის, თუ როგორ არის დაცული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები ამ ბარათის შევსებისას. ამას ჩვენი სააგენტო სწავლობს. რაც შეეხება მკურნალობის ხარისხს, ადეკვატურობას, ამაში ვრთავთ დარგის ექსპერტებს, ასოციაციებს და ამ კუთხით ისინი განიხილავენ საქმეს, გვაწვდიან დასკვნებს, რეკომენდაციებს, რამდენად არის დაცული გაიდლაინები და პროტოკოლები. დასკვნა გამყარებული უნდა იყოს გაიდლაინებით ან არსებული ლიტერატურით. ამ მხრივ საკითხის შესწავლის დასრულების შემდეგ საკითხი გადაეგზავნება პროფესიული განვითარების საბჭოს განსახილველად, სადაც, მინისტრის თავმჯდომარეობით, სოლიდური საბჭოს შემადგენლობა განიხილავს თითოეულ საკითხს ექსპერტთა მონაწილეობით. სურვილის არსებობის შემთხვევაში, მოპასუხე და მომჩივან მხარეს საბჭოზე დასწრების უფლება აქვს. საბოლოო გადაწყვეტილებას საბჭო იღებს. პასუხისმგებლობის საკითხი სხვადასხვა შეიძლება იყოს. თუ სახეზეა მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა და პაციენტს მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ზიანი არ ადგება, ეძლევა წერილობითი გაფრთხილება ექიმს. შეიძლება, სახელმწიფო სერტიფიკატის ერთიდან ექვს თვემდე შეჩერების ან სერტიფიკატის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღოს საბჭომ, რომლის აღდგენის მექანიზმი არ არსებობს. შეიძლება, სხვადასხვა სპეციალობაში ჰქონდეს ექიმს სერტიფიკატი, რომელშიც გაუუქმდება, იმაში ვეღარ გააგრძელებს მუშაობას, სხვა სპეციალობაში შეიძლება გააგრძელოს. მთლად ექიმობის ფუნქცია არ ერთმევა, ერთმევა მხოლოდ ამ სპეციალობაში მუშაობის უფლება. ჩვენი გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივროს ერთმა ან მეორე მხარემ. არის ამის პრეცედენტები. ასე რომ, დემოკრატიული პრინციპით ვიღებთ გადაწყვეტილებას.

***— საჩივრების მატების დინამიკა თვალშისაცემია?***

— სხვადასხვა წლებში დინამიკა სხვადასხვაა. ვერ ვიტყვი, რომ ტენდენციურად იზრდება. მასმედიის საშუალებების გამოხმაურების შესაბამისად იზრდება ხოლმე საჩივრების ტალღა.

***— შარშან რამდენმა პაციენტმა მოგმართათ?***

— საჩივრების საფუძველზე სულ 191 სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარდა შემოწმება პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის თაობაზე. ერთ საჩივართან დაკავშირებით შეიძლება შემოწმდეს რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება — სასწრაფომ მიიყვანა ერთ დაწესებულებაში, სადაც ჩაიტარა მკურნალობა, შემდეგ განაგრძო მკურნალობა მესამე დაწესებულებაში, სამივეა ჩართული და სამივე ცალ-ცალკე იურიდიული პირია.

***— ექიმთა პასუხისმგებლობის საკითხზე რას გვეტყვით, რა მასშტაბები ჰქონდა ამას 2012 წელს?***

გასულ წელს ექიმთა მიმართ სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის საკითხი დადგა. ამაში შედის შემოწმების შედეგებიც, რაც წეღან ჩამოვთვალეთ. დადგა 228 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. აქედან 193-ს მიეცა წერილობითი გაფრთხილება. 35 ექიმს სხვადასხვა ვადით შეუჩერდა სერტიფიკატის მოქმედება, ერთი თვით შეუჩერდა თორმეტს, ორი თვით — 7-ს, სამი თვით — ოთხს, ექვსი თვით 12 ექიმს შეუჩერდა სერტიფიკატის მოქმედება.

***— რა შემთხვევაში შეუძლიათ მათ სერტიფიკატის აღდგენა?***

— აღდგენის მექანიზმი კანონით არის გათვალისწინებული. ამ ვადის გასვლისთანავე ექიმი წერს განცხადებას სერტიფიკატის აღდგენის თაობაზე და საბჭო პირველსავე სხდომაზე საკითხს განიხილავს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული ის მოთხოვნები, რომლებიც საბჭომ დაავალა ამ ექიმს სერტიფიკატის შეჩერების პერიოდში. თუ იკვეთებოდა, რომ ხარვეზები იყო მკურნალობაში, შესაძლებელი იყო, უფრო უკეთესად ჩატარებულიყო ესა თუ ის გამოკვლევა. საბჭო ინტერესდება, რამდენად იზრუნა ამ ექიმმა თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თვითმიზანი არ არის ექიმის დასჯა. ექიმის გარკვეული პრევენცია და შეფხიზლებაა, რომ აიმაღლოს კვალიფიკაცია და შემდეგში მკურნალობის თუ გამოკვლევის პროცესში ასეთი ხარვეზები აღარ დაუშვას.

***— გასულ წელს მუდმივად რამდენ ექიმს გაუუქმდა სერტიფიკატი?***

— შარშან არც ერთი ექიმისთვის არ გაგვიუქმებია სერტიფიკატის მოქმედება. ისეთი მძიმე ხარვეზი არ ყოფილა, სერტიფიკატის გაუქმების რაც საფუძველი გახდებოდა. 2011 წელს კი ორი ექიმს გაუუქმდა სერტიფიკატი.

***— ლეტალური შედეგის დადგომისას ხდება ძირითადად გაუქმების გადაწყვეტილების მიღება?***

— არა, ლეტალური შედეგი შეიძლება ისე დადგეს, ექიმი არაფერ შუაში იყოს. გააჩნია ხარვეზის ხარისხს. საბჭოს ექსპერტები, დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან წევრები და ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, თუმცა, მიზეზშედეგობრივ კავშირს ჩვენ არ ვადგენთ. ეს სამართალდამცავი ორგანოს პრეროგატივაა — თუ ექიმის ქმედებამ გამოიწვია სიკვდილი. ვინტერესდებით ექიმის ამ საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხით და ამის მიხედვით შეიძლება გამოიტანოს საბჭომ გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაუქმების თაობაზე.

***— თუ იგეგმება ცვლილებები სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით?***

— მიგვაჩნია, რომ ის ტესტ-კითხვარები, რომლითაც აბარებენ ექიმები (მოგეხსენებათ, ეს არის ერთეტაპიანი ტესტური გამოცდა), უკვე საკმაოდ მოძველებულია. დგას საკითხი მათი განახლებისა. არ გამოვრიცხავ, რომ საგაზაფხულო სესიაზე გამოცდები სპეციალობებში ჩატარდეს განახლებული, ადაპტირებული ტესტებით.

***— ხომ არ აპირებს სახელმწიფო, დააფინანსოს მედიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლება, თუ ექიმებმა თავად უნდა იზრუნონ ამაზე?***

— დიპლომისშემდგომი მზადება ამა თუ იმ სპეციალობაში ხორციელდება სარეზიდენტო პროგრამებით. სარეზიდენტო პროგრამები ხორციელდება იმ დაწესებულებებში, რომელსაც სახელმწიფოს მიერ აქვს მიცემული ეს უფლება, ანუ იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და აკადემიური რესურსების შეფასების შედეგად ვაძლევთ უფლებას, მოამზადონ ესა თუ ის სპეციალისტი გარკვეული რაოდენობით. მომზადების გადასახადს იხდის მაძიებელი. თუმცა, დგას საკითხი, პრიორიტეტულ დარგებში სახელმწიფომ დააფინანსოს გარკვეული რაოდენობის რეზიდენტების მომზადება.

# ნაკლები კოჰაბიტაცია თუ მეტი პროვოკაცია?!

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

8 თებერვალი ძალიან დაძაბული იყო თბილისისათვის. ქუთაისში პრეზიდენტის საპარლამენტო მოსმენის არმსურველმა უმრავლესობამ თავიდან აიცილა სამი უსიამოვნება: აუცილებლად მოეწყობოდა სირცხვილის კორიდორი პოლიტიკური ძალების მიერ („თეთრები" და სხვა პოლიტიკური ძალები), დამუქრებული იყო პარლამენტისწინა შენობების მოსახლეობა( და არა მარტო ისინი) მასობრივი გამოსვლით, რადგან ამ ადამიანებს კარგად ახსოვს რა მოჰყვა იმ მემორიალის აფეთქებას და მესამე—„ქართული ოცნების" რადიკალური წევრები დიდად არასასიამოვნო შეკითხვებით პრეზიდენტს ძალიან გააღიზიანებდნენ. სამივე შემთხვევაში ხელისუფლებას პასუხისმგებლობის აღება მოუწევდა ექსცესების თავიდან ასაცილებლადაც და ამომრჩევლის წინაშეც, რადგან „ქართული ოცნების" ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის" სიძულვილის გამო შემოხაზა ბიულეტენზე №41.

ამის შემდეგ ადვილად დასასკვნელია, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობამ პასუხისმგებლობა აიცილა.

ამ ქმედების გამო მოხდა ის ეროვნული ბიბლიოთეკის წინ, რაც მოხდა.



ალტერნატიული შესასვლელით არ ისარგებლა უმცირესობის წევრების დიდმა ნაწილმა. უსაფრთხო შესასვლელის შესახებ ცნობილი იყო პრეზიდენტის მომხრეებისათვის, ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ პრეზიდენტის პრესსპიკერი მანჯგალაძე და უმცირესობის წევრი გიორგი ბარამიძე დაუბრკოლებლად მივიდნენ ბიბლიოთეკაში.

თავად პრეზიდენტის წუწუნის შემცველი გამოსვლებიდან შეგახსენებთ, რომ ქუთაისიდან და ეროვნული ბიბლიოთეკიდანაც მას არ მიეცა საშუალება ხალხისთვის მიემართა. თუ არ ვცდები, პრეზიდენტს დავით აღმაშენებლის საპატივცემულო საეკლესიო ღონისძიებაშიც უნდა მიეღო მონაწილეობა ( თუ არ ვცდები, ასე თქვა მ. სააკაშვილმა: წირვის ჩატარების საშუალება არ მომცესო), საქილიკო საგანი იყო ლენჩისა და ლინჩის ხსენება, ასევე მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსის შეცდომით წარმოთქმა.

თუ პრეზიდენტს ლოგიკურად ჰქონდა გათვლილი საზოგადოების განწყობა, მაშინ მას საერთოდ უნდა ეთქვა უარი გამოსვლაზე. „ვადაგასულად" 20 იანვრიდან წოდებული პრეზიდენტი ბევრად უფრო ადრე იქცა ნაკლებადფუნქციურ ხელისუფლად. როგორც კი მოვიდა „ქართული ოცნება" საპარლამენტო უმრავლესობაში და დაკომპლექტდა მთავრობა, ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის ძალაუფლება იმდენად დასუსტდა, რომ მას პანტაპუნტით აჰყარეს შესაძლებობები. საპარლამენტო რესპუბლიკებში საპრეზიდენტო ინსტიტუცია ბუტაფორიულ-სიმბოლურია. იტალიაში შესაძლოა ბევრმა გითხრათ, რომ პრეზიდენტის კვირინალეს სასახლე რომშია, მაგრამ ვერ გაიხსენონ თავად იტალიის პრეზიდენტის სახელი. ანუ სიმბოლური ხელისუფალი პრეზიდენტი არ უკვირს ბევრ ქვეყანაში, მაგრამ მ. სააკაშვილისათვის ასე უცებ ლამის აბსოლუტური ძალაუფლების ჩამორთმევა მოწ-



მენდილ ცაზე მეხის გატყორცნის ტოლფასი იყო.

რადგან მ. სააკაშვილს ახლა სამართავი სადავეები აღარ უჭირავს ხელთ, ამიტომ ორი მიმართულებით მუშაობს: „ნაციონალური მოძრაობის" რასტავრაცია-რებრენდიგისათვისა და საზღვარგარეთში ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციაზე. ივანიშვილის ხელისუფლების დისკრედიტაცია რომ წარმატებით გამოსდის, ეს არაერთხელ დადასტურდა. 8 თებერვლის ინციდენტი, სავარაუდოდ, ამ მიმართულებით იყო დაგეგმილი. ვცადოთ ამის დადასტურება. „ნაციონალური მოძრაობის" წევრების ორი წარმომადგენელი შედის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ალტერნატიული შესასვლელით, ამით დასტურდება, რომ ამ შესასვლელებთან არ არსებობდა პროვოკაციის არანაირი საფუძველი (იმედია, არავის შეეჭვება, რომ ამის შესახებ მანჯგალაძე ან ბარამიძე აცნობებდა „ზემოთ"). სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის გამოჩენამ დაადასტურა, რომელი შესასვლელიც იყო ყველაზე სახიფათო.

ხიფათიან ადგილას ადვილია სიტუაციის პროვოცირება. ამის გამო ვაჩნაძე-მესხის ტანდემი კიდეც აღმოჩნდა მსხვერპლი (მართალია, ადვილად „გამოძვრნენ", ანუ 100 ლარად, მაგრამ მათი ენერგიის ხარჯვა რომ მახსენდება, ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ლარებით გამოხატული ზარალი).

თვითმხილველთა თქმით, პროვოცირების კულმინაცია იყო არა გიგი უგულავას გამოჩენა, არამედ ჩიორა თაქთაქიშვილის გამოჩენა, რომელსაც თან ახლდა პროტესტანტების სიტყვიერი შეურაცხყოფა. შეკრებილი ადამიანების უმეტესობა „ვადაგასულობის" გასაპროტესტებლად იყო მისული, ანუ მათი სამიზნე იყო პრეზიდენტი და არა მერი ან თაქთაქიშვილი. ერთ-ერთი პიროვნება, გიორგი(გელა) მამალაძე, (მისმა ახლო ნათესავმა განაცხადა „ახალ თაობასთან" საუბარში— „ჩიორა მოდიოდა ლანძღვით, სულ მოღალატეების და მკვლელების ძახილით და ძიძგილაობდაო გზადაგზა და გელას რომ მიეფეთა, რაღაც მიაძახა და იმანაც იმ ეიფორიაში ვერ მოითმინა) „ვადაგასულობის" გასაპროტესტებლად იყო აქციაზე, მაგრამ წამოეგო ჩიორას პროვოკაციულ გამოხდომას და სახეში გაარტყა. ვისაც ოდნავი სამედიცინო ცოდნა აქვს, იცის, რომ თავის არეში სისხლის დენა საკმაოდ სწრაფად იწყება და დაღვრილ-დაბნეული ყველაფერი ბევრი ჩანს. როგორც ნორვეგიის სამეფოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერტმა განაცხადა, სერიოზული ტრამვა ცხვირის არეში იწვევს თვალის ჩალურჯებას, ხოლო ქალბატონი ჩიორა ექსცესიდან 3 საათში საკმაოდ მხნედ და დაზიანებების გარეშე წარსდგა საზოგადოების წინაშე. სწორედ ნორვეგიის ჯანდაცვის ექსპერტმა, რომელიც ქართველია წარმოშობით და ემიგრაციაშია ამჟამად, მან შენიშნა ეს ფაქტი და თქვა ირონიით, რომ ქართული მედიცინა პროგრესირებულაო.

ბატონმა სააკაშვილმა ამ ფაქტზე აღნიშნა, რომ ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირის გატეხვით იწყება დამნაშავის თავისუფლების აღკვეთაო. თუ ვინმე დააკვირდა, ამ განცხადებას მოჰყვა არაერთი ადამიანის ღიმილი, მათ შორის—დაზარალებული დეპუტატისაც. ამ ფაქტის განზოგადება და შეფასება ფსიქოლოგების საქმეა, მაგრამ ერთი რამ გავიხსენოთ: არცერთი შედეგი მიზეზის გარეშე არ არსებობს. ჩიორა თაქთაქიშვილზე ფიზიკური ძალადობა (ისევე როგორც სხვა დანარჩენებზე) დასაგმობია, მაგრამ ამას დამნაშავე-მოძალადე მამალაძე მაშინ აღელვების გამო ვერ აცნობიერებდა. თან, როგორც ჩემთვის ცნობილია, მამალაძე ყოფილი ძალოვანი და სამი შვილის მამაა.

ძალიან ბევრი ადამიანი აღაშფოთა იმ ფაქტმაც, როცა ერთ-ერთი ქალბატონი გამოვიდა სიტყვით: მე აქ ჩემი პრეზიდენტის დასაცავად მოვედი! არანაკლებ გამაღიზიანებელი იყო ქეთა გაბიანის „მაესტროს" ეთერში ნათქვამი: პროტესტანტების ნაწილი საბჭოთა კავშირის ჰიმნს უსმენდაო. ნამდვილად შემიძლია ეჭვი შევიტანო ქალბატონი გაბიანის ამ ნათქვამში, რადგან გაღიზიანებული ადამიანები, რომლებიც პრეზიდენტის დასახვედრად იყვნენ მისულები, მუსიკის მოსასმენად ნამდვილად ვერ მოიცლიდნენ. სავარაუდოდ, ეს იყო „ბიძინისტების" პრორუსობის იარლიყის მისაწებებლად გამიზნული.

ღარიბაშვილის ჩარევამ განმუხტა სიტუაცია, მაგრამ საკმაოდ დაგვიანებული იყო იმ ადამიანებისათვის, ვინც დაზარალდა. ბუნებრივია, რომ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ვერც იმით „მოვიფხანთ" გულს, რომ 7 ნოემბერსა და 26 მაისს უამრავი სისხლი დაღვარეს ნაციონალური ხელისუფლების ბრძანებით სპეცდანიშნულების თანამშრომლებმა (ჩიორას ტრამვა და სისხლი იმ ფაქტებთან შედარებაც არ შეიძლება). სისხლი სისხლით არ იბანება, თან პროვოკაციების მოწყობით საერთოქართული და სახელმწიფოებრივი საქმე იმდენად სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს, რომ გამოსწორება შეიძლება ზედმიწევნით გართულდეს.

ფიქრობენ, რომ სააკაშვილისა და ივანიშვილის კოჰაბიტაციის მცდელობა კიდევ იქნება, მაგრამ გატეხილ ცხვირსა და დაჭერილ ადამიანს ეს ნაკლებად მოუხდება. თან ნაკლებად სავარაუდოა, რომ „ნაციონალური მოძრაობას" კოჰაბიტაციის სურვილი დიდხანს გაჰყვეს.

# რეზო ჭოხონელიძე 75 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ანსამბლ „ერისიონის“ ქორეოგრაფი და არაერთი ცეკვის დამდგმელი რევაზ ჭოხონელიძე იუბილარია. მას 11 თებერვალს 75 წელი უსრულდება. როგორც მისი კოლეგები აღნიშნავენ, რევაზ ჭოხონელიძემ „ერისიონში“ მოღვაწეობისას ერთმანეთზე უკეთესი ცეკვები დადგა და ანსამბლს სახელი კიდევ უფრო გაუთქვა.

**ჯემალ ჭკუასელი, „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:**

– რასაც გეტყვით, იგავი ნამდვილად არ არის. რეზო არის დღეს შეუცვლელი ქორეოგრაფი და ჩემზე ადრე სხვები ამბობდნენ ამას. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ერთად ვმუშაობთ. მივედი თუ არა „ერისიონში“, იმ წუთში მოვძებნე რეზო, მოვიყვანე ჩემთან და ვართ ერთად. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ და, როცა მეგობრობაც ამართლებს და საქმეც, ეს უკვე ტუზზე ტუზია. ყველაზე დიდი ბედნიერება სწორედ ეს არის. მაპატიებენ ჩვენი ქართველი ქორეოგრაფები, ვინც ქართულ ხალხურ ცეკვას ემსახურება და ამ საქმითაა დაკავებული, თუ ვიტყვი, რომ ცეკვაში უმთავრესი არის მუსიკა. ეს ზოგჯერ არ ესმით ქორეოგრაფებსაც კი, მაგრამ რეზომ იცის, რომ მთავარი ცეკვაში მუსიკაა. ის ამბობს, რომ ჯერ არის მუსიკა და შემდეგ – ყველა მოძრაობა. აი, გამარჯვებაც აქ არის. ამიტომაც არის, რომ ეროვნულ ცეკვებს დგამს. მასზე თქვეს კიდეც, ის არის XXI საუკუნის მეტრი ქორეოგრაფიაშიო და ყველანაირად ვეთანხმები. ის არის უდიდესი ქორეოგრაფი და უდიდესი მოღვაწე, რომელიც თვლის, რომ ქართული ხალხური ცეკვის მუსიკა არ შეიძლება შეიცვალოს სხვა რომელიმე მუსიკით. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ როცა გვიჭირს, მაშინ ვლაპარაკობთ ასე. ზოგჯერ ისეთ მუსიკას არგებენ ცეკვებს, საოცრება ხდება, ამ დროს კი გამოჩნდა კაცი, რომელიც პირიქით აკეთებს, ის არგებს ცეკვას მუსიკას. ჩვენ თანამოაზრენი ვართ, ერთმანეთს რომც არ დაველაპარაკოთ, ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ და ეს არის პირველ რიგში პირველწყაროს ერთგულება და არავითარ შემთხვევაში – მუსიკის შეცვლა. შეიძლება, მავანმა თქვას, თქვენ ელექტროგიტარა გაქვთო, ჩვენ სოლოგიტარა არ გვაქვს, ჩვენ ბასგიტარა გვაქვს და ესეც გაჭირვების გამოა. ორკესტრის გარეშე შოუ არ არსებობს და, თუკი ორკესტრს არ აქვს დაბალი ხმები, ის ორკესტრი არ არის. ჩვენ არასდროს გვქონია ორკესტრის ფუფუნება, ამიტომ ასეთი გამოსავალი ვიპოვეთ. ქართული ხალხური საკრავები ხანდახან წყობაში ვერ მოდის, მაგრამ ჩვენ ჩვენი სპეციალისტი გვყავს და ამ ინსტრუმენტებსაც ვიყენებთ და ვახერხებთ, სიმღერა და ცეკვა ერთმანეთთან შეხმატკბილებული და ჟღერადი იყოს. აი, ასე ვართ ამ სიამტკბილობაში მე და ბატონი რეზო. სულითა და გულით ვულოცავ 75-ე წლისთავს, საკმაოდ ახალგაზრდული შემართებითაა და ეჭვი არ მეპარება, რომ ძალიან დიდხანს გაახარებს ჩვენს მაყურებელს და მსმენელსაც კი. ჯერ მუსიკაა, ხომ იცით. „პირველად იყო სიმღერა, გალობა ათასხმიანი და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი“. გალაკტიონი ამბობდა, „სულ მოგიძღვნიდი თურმე ქვეყნად ყველაფერს, მაგრამ რა არის სიმღერისთანა“. შეიძლება, ის ხალხურ სიმღერას და ზოგადად სიმღერას არ გულისხმობდა, მაგრამ გულისხმობდა იმ გალობასა და სიმღერას, რომელიც მის ლექსებს ახლდა თან. ქვა მღერისო, ამბობენ, როცა არქიტექტურული ძეგლის შეფასება უნდათ, ქვა ცეკვავსო, არასოდეს უთქვამთ. მე და რეზოს არასდროს გვქონია აზრთა სხვადასხვაობა, ზოგჯერ ჩემი ნათქვამი შეიძლება მას არც მოეწონოს, მაგრამ არ მეუბნება, რადგან დარწმუნებულია, მეორე დღესვე ვაღიარებ, ის არ ვარგოდა-მეთქი. ასე ვარ მეც. ჩემი, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელის ვალდებულებაც არის, რომ ვუთხრა, რა მომწონს და რა არ მომწონს. მუსიკა ჩემი პრეროგატივაა, მაგრამ არასდროს გვქონია შემთხვევა, წინააღმდეგობა გაეწიოს. მოაზროვნეა ჩვენი რეზო და მოაზროვნე ადამიანს არასოდეს ეშინია ამოცანის ამოხსნის. მივულოცავ კიდევ ერთხელ იუბილეს, ოჯახთან, ცოლშვილთან ერთად დიდხანს ჯანმრთელად იყოს და ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, საამაყოდ და სასიხარულოდ შემძლებელ ყოფილიყოს იმ ყველაფრის, რა ამოცანაც მის წინაში იქნება.

**თენგიზ უთმელიძე, მოცეკვავე:**

– ქართული ქორეოგრაფია უნიკალური საგანძურია, რომელმაც აღაფროვანა მთელი მსოფლიო. ასეთი აღიარება ბევრმა რამამ განაპირობა, მათ შორის ცნობილმა ქორეოგრაფებმა და მოცეკვავეებმა, რომლებიც ყოველთვის მრავლად გვყავდა. ამ კოჰორტაში გამოირჩევა თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და მრავალწლიანი მოღვაწეობით ჩვენი იუბილარი რევაზ ჭოხონელიძე, რომელსაც წელს 75 წელი უსრულდება. მან ძალიან დიდი გზა განვლო თავისი მოღვაწეობის მანძილზე. რამდენიმე მომენტს სიამოვნებით გავიხსენებ. ის გამორჩეულია ინდივიდუალური ხელწერით, რომელიც შექმნა თავის დადგმულ ცეკვებში. ტიტული ბევრი აქვს: სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, არაერთი ფესტივალის ლაურეატი, მრავალი ჯილდო აქვს მინიჭებული და ეს ყველაფერი დამსახურებულად მოიპოვა. საბედნიეროდ, მოწმე ვარ მისი შემოქმედებითი გზისა. ის ჩემი მეგობარია და დიდი ხანია ვიცნობ. მან მთელი თავისი ცხოვრება, ნიჭი და ენერგია ქართულ ცეკვას დაუკავშირა და დღესაც ჩვეული შემართებით აგრძელებს მოღვაწეობას. მან ჯერ კიდევ სკოლის ასაკში დაიწყო ცეკვა, მერე ცეკვავდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზორკესტრში, შემდეგ გამოდიოდა სხვადასხვა ანსამბლში, მათ შორის იყო ანსამბლი ცნობილი ქორეოგრაფის ბუხუტი დარახველიძის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლში მოღვაწეობისას ჩვენმა იუბილარმა არაერთ აღიარებას მიაღწია. ამ ანსამბლმა ძალიან ბევრი ცნობილი მოცეკვავე აღზარდა. შემდეგ ის მუშაობდა ანსამბლში „სალხინო“, თავიდან, როგორც მოცეკვავე, შემდეგ კი – როგორც ქორეოგრაფი. ამ ანსამბლის ხელმძღვანელი ბუხუტი დარახველიძე იყო. ამ ანსამბლს მოგვიანებით ეწოდა „რუსთავი“, რომელსაც შეუერთდა მომღერალთა გუნდი ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით და დაარსდა დიდი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც ძალიან ბევრი იმოგზაურა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. შემდეგ კი ჩვენი წარმატებული ქორეოგრაფი მივიდა „ერისიონში“ და სათავეში ჩაუდგა მას, როგორ მთავარი ქორეოგრაფი. სწორედ აქ გამოჩნდა მისი საუკეთესო თვისებები და სრულად გამოავლინა ის ნიჭიერება, რომელიც სჭირდება ქართველ ქორეოგრაფს. დღეს ასეთი წარმატებული ქორეოგრაფები თითზე ჩამოსათვლელია საქართველოში და მათგან ერთ-ერთი რეზო ჭოხონელიძეა. ეს ყველაფერი კი ანსამბლის ცეკვებშია ასახული. ყველამ კარგად იცის, რომ „ერისიონი“ მუშაობდა ცნობილ პროგრამაზე, რომელიც ფრანგ პროდიუსერებთან ერთად გაკეთდა და დაერქვა „ქართული ლეგენდა“. მან მთელი ევროპა შემოიარა, მერე ამერიკაში წაიღეს, დიდი გამოხმაურება ჰქონდა და აქაც გამოჩნდა რეზო ჭოხონელიძის ნიჭიერება. მისი დადგმული ცეკვები გამოირჩევა იმით, რომ ის არის იმპროვიზატორი ქორეოგრაფი. მას აქვს გამორჩეული ქართული სულიერებით აღსავსე ცეკვები, გამორჩეულია ქორეოგრაფიული ნახაზებით, სირთულით, მრავალფეროვნებითა და სხვა ნიუანსებით. რაც ყველაზე საგულისხმოა, მის მიერ დადგმული ქორეოგრაფიული კომპოზიციები გაჟღენთილია ქართული სულით და არ სცილდება ეროვნულ ფესვებს. ბოლოდროინდელი მისი დადგმული ცეკვები „ერისიონში“ ძალიან მომწონს. მათგან გამორჩეულად მიყვარს „გურული ფერხული“, „აჭარული“, „ქართული სიუიტა“, „ზეიმი მთაში“ და ყველასთვის პოპულარული „შატილის ასული“. ეს ყველაფერი სიმღერასთან ერთად სრულდება და უფრო შთამბეჭდავია. „ერისიონის“ წარმატებებში, ქორეოგრაფის ძალისხმევასთან და სიმღერასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მერაბ ბერძენიშვილის მიერ ამ ანსამბლისთვის სპეციალურად შექმნილი ორიგინალური და ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობილი ქართული კოსტიუმები. წარმატებას მარტო ცეკვა და სიმღერა არ განაპირობებს, საჭიროა ვიზუალური მხარე და ეს კოსტიუმებიც ნამდვილად გამორჩეულია. მქონდა ბედნიერება, ამ ანსამბლთან ერთად ვყოფილიყავი საზღვარგარეთ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როცა კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა ქართული კულტურის დღეები ქალაქ სანდიეგოში და საოცრებებით ხდებოდა. ანსამბლი მთლიანად იყო მიწვეული, ერთიანი გასტროლები იყო. მაშინ 9 აპრილი ახალი მომხდარი იყო და საოცარი შემართებით აჰყვებოდა ქართულ კულტურას მთელი „ერისიონი“. ამას ემოციების გარეშე ვერ უყურებდით, საოცრება იყო. ფეხზე ამდგარი მაყურებელი უკრავდა ტაშს და ამ წარმატებებში რეზო ჭოხონელიძის უდიდესი ღვაწლი და დამსახურებაა.




მინდა, მივულოცო ჩემს მეგობარს, გამოჩენილ ხელოვანსა და არაჩვეულებრივ პიროვნებას, მართლაც ქართული ცეკვის დიდ მოჭირნახულეს საიუბილეო თარიღი და მჯერა, რომ ის თავისი ჩვეული შემართებით გააგრძელებს მოღვაწეობას და ძალიან გაგვახარებს.

**ფრიდონ სულაბერიძე, მოცეკვავე:**

– რეზო ჭოხონელიძე ჩემი ბავშვობის მეგობარია. ჩვენ ერთად დავიწყეთ გიორგი დარახველიძის ანსამბლში, ვიყავით ავსტრიაში და წლებია, ერთად მოვდივართ. გულახდილად რომ ვთქვა, „ერისიონი“ ვერ იქნებოდა ისეთი ძლიერ და მაღალ დონეზე, როგორც არის დღეს, თუ არ იქნებოდა რეზო ჭოხონელიძე. ეს ანსამბლი ყოველთვის იყო ძალიან დაბალი დონის, ვერ გადიოდა უცხოეთში და არ იყო წარმატებები. რეზოს შემოქმედებამ, რეჟისურამ, მთელი ეს სპექტაკლი მან დადგა და მოიტანა კიდეც შედეგი. ეს ყველაფერი არის მართლაც უნიჭიერესი, ეროვნული, არაჩვეულებრივი ქორეოგრაფის დამსახურება. უცხოეთში პრესაც აქვეყნებს, რომ ის არის ქართული თეატრის მეტრი, ქართული ცეკვის უძლიერესი დამდგმელი და, ჩემი გადასახედიდან, ის არის ადამიანი, რომელიც ინარჩუნებს ქართულ ცეკვას ისე, როგორც მას ეკადრება, რომელმაც მთელ მსოფლიოში უდიდესი სახელი მოიპოვა. დღეს „ერისიონს“ მთელი მსოფლიო იცნობს. მას ამოუდგნენ მხარში უცხოელი პროდიუსერები, რომლებმაც გააკეთეს პროგრამა, მაგრამ ამას ხომ უნდოდა გაკეთება, ქართული სულის ჩაბერვა. ეს ყველაფერი რეზომ გააკეთა. მის ნიჭს ძალიან დიდ პატივს ვცემ. მინდა, იყოს ძალიან დიდხანს, იღვაწოს თავის საყვარელ საქმეში. ბევრია საქართველოში ქორეოგრაფი, მაგრამ ასეთი ძლიერი, ნიჭიერი, მუსიკალური, დამდგმელი და თავისებური ხედვით, ნამდვილად ცოტანი არიან. არიან ქორეოგრაფები, რომლებიც დგამენ ცეკვებს, მაგრამ არანაირი რეჟისორული ხედვა არ აქვთ. მას შეუძლია, რაღაც ჩაიფიქროს და უმაღლეს დონეზე განახორციელოს. მან შეძლო, აემოძრავებინა ანსამბლი და საოცრად ქართული ცეკვები დაედგა. ორიგინალური მონახაზები და ცეკვის ფრაგმენტები აქვს. ვამაყობ, რომ რეზო ჩემი მეგობარია, ჩემი თანამედროვეა, ასეთი წარმატებულია. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. 75 წლის ხდება და, ამის მიუხედავად, ძალიან ძლიერად მუშაობს, თავდადებულია, სწორი გზით მიდის და ეს მომწონს მასში ყველაზე მეტად. ის ქართულ ნაბიჯებს ადგმევინებს მოცეკვავეებს და მის ცეკვებში ყველაფერი ქართულია, ქართული სულია, ქართული გულია, ქართული ხასიათებია. ჩვენი პატარ-პატარა რეგიონები, სადაც ცეკვა და სიმღერა ერთად არის, მან კარგად იცის. არასოდეს გააკეთებს იმას, რომ რამე გააფუჭოს. არის რაღაცები, როცა უცხოურ და ვერ ხედავ, ქართულია თუ არა, მაგრამ რეზოს ცეკვებში ყველაფერი ქართულია. ის სულით ხორცამდე ქართველია და ყველაფერს აკეთებს ძალიან გულიანად. ჩემთვის ის საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი ქორეოგრაფი და ხელოვანია. ეს ყველაფერი კი ანსამბლზე პირდაპირ აისახება. მათ კონცერტებს დავსწრებივარ საქართველოშიც, საზღვარგარეთაც და უდიდესი წარმატებები ჰქონიათ. ყველაფერი ქართული რომ არის, იმიტომაც მოსწონთ, აბა, ისეთი ცეკვები, როგორიც უცხოელებსაც აქვთ, რატომ მოეწონებათ? ის ხომ აღარ არის ქართული. რეზო ჭოხონელიძე კი არის კაცი, რომელიც ქართულ ცეკვას უვლის და მის სადარაჯოზე დგას. ის დიდხანს უნდა იყოს, ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ, მოვეფეროთ, კარგად გავაცნოთ ყველას. ყველას უხარია, რომ მიულოცავ დაბადების დღეს, როცა შეაქებ, თუკი შესაქებია. თუ ადამიანი შესაქები არ არის და შეაქებ, ეს უკვე დათვური სამსახურია. რეზოს შემთხვევაში კი ის ნამდვილად ქების ღირსია, რადგან უძლიერესი ქართველი ქორეოგრაფია.

**რეზო ჭოხონელიძე, ქორეოგრაფი, იუბილარი:**

– იუბილეები დიდად არ მიყვარს, წლები მემატება და რა არის გასახარი? რაღა დროს ჩემი იუბილეებია, მაგრამ რატომღაც ანსამბლმა გადაწყვიტა, აღენიშნათ და ერთი-ორი სიტყვა ეთქვათ. დიდი იუბილე არ კეთდება და მეც მიხარია. ხომ ხედავთ, ქვეყანა რა დღეშია, რა დროს იუბილეა? ტაშ-ფანდურის დრო ნამდვილად არ არის. როცა საიუბილეოდ გვექნება საქმე, მაშინ კარგი იქნება.

***– ბევრია 75 წელი?***

– პატარა რომ ვიყავი და 30 წლისას გავიგებდი, ვფიქრობდი, აუფ, დაუმთავრებია ცხოვრება-მეთქი. როცა შემოქმედებით საქმეში ხარ ჩართული, წლები მალე გადის და ასაკსაც ვერ გრძნობ. ახლა ახალ ცეკვებს ვდგამ და სიბერეს ფიზიკურად ვერ ვგრძნობ, იდეები მაახალგაზრდავებს.

***– რა ცეკვას დგამთ?***

– ახლა აფხაზურ ცეკვას ვდგამ. ახლახან დავასრულე მუშაობა ცეკვაზე „სნოური“, რომელიც პატრიარქს მივუძღვენი. ისე მოეწონა პატრიარქს ეს ცეკვა, ჩამიყვანა სნოში და ორჯერ შემასრულებინა მშობლიურ კუთხეში. ცოტა დამაგვიანდა ამ ცეკვის დადგმა, მაგრამ ახლა საიუბილეო თარიღები დაემთხვა და საჩუქარივით გამომივიდა. ძალიან გაუხარდა, როცა თავისი კუთხის ცეკვა დაინახა. შემოქმედებითი შრომა დაბერების უფლებას არ მაძლევს. უბრალოდ, სახეზე ცოტა ვიცვლები, წლები მემატება, მაგრამ არა უშავს. მინდა დავდგა ლაზური ცეკვა. გარდა იმ ორი განყოფილებისა, რაც გაკეთებული მაქვს, კიდევ შემოქმედებით პროცესში ვარ და სიბერეს არ ვგრძნობ, უბრალოდ, წლები მემატება. სარკეში რომ ჩავიხედავ, სხვანაირად გამოვიყურები, მაგრამ გული არ ბერდება.

***– ცეკვის დასადგმელად თემებს როგორ არჩევთ?***

– ჩვენი ანსამბლის სახელი „ერისიონი“ ახლა შემოკლებით ბოლო წლებში გამოითქმის, თორემ 125 წელს არის გადაცილებული. ეს ანსამბლი არის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ეს სახელწოდება გვეუბნება იმას, რომ ანსამბლში უნდა იყოს ყველა კუთხის ცეკვა და სიმღერა. არ მქონდა დადგმული აფხაზური ცეკვა და ახლა გამიჩნდა სურვილი, ეს ცეკვა დავდგა. თუკი ოსური ცეკვა გვაქვს, რატომ არ უნდა გვქონდეს აფხაზური? აფხაზეთის ისტორია ვინც იცის, შერვაშიძეები, ემხვარები და წერეთლები ქართველები იყვნენ, ჩვენი წინაპრები იყვნენ. მერე შეიცვალა ყველაფერი, ჩასახლდა ხალხი და მესამე ძალამ აგვიმხედრა ის ხალხი. ბევრი აფხაზი მეგობარი მყავს, ამიტომ შერიგებისკენ გადავდგი ნაბიჯი და ცეკვას ვდგამ. მჯერა, ამ ცეკვას სოხუმშიც ვიცეკვებთ.

***– დაბადების დღეზე გამორჩეული საჩუქარი გაქვთ?***

– ელემენტარული ყურადღება, თუნდაც ვინმეს რომ გავახსენდები, უკვე მიხარია. მაყურებელი რომ ტაშს გვიკრავს, უდიდესი საჩუქარია. ახლახან ვიყავით ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში და ისეთი აღფრთოვანებული გვხვდებოდა მაყურებელი, ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა იყოს. ჩვენ საქართველოს დესპანები ვართ და ჩვენს ქვეყანას, ჩვენს კულტურას, ჩვენს ფოლკლორს წარმოვაჩენთ. საფრანგეთში ჩვენი ანსამბლის მოგზაურობის დროს გამოვდიოდით პარიზში კონგრეს დარბაზში და ისე მოეწონათ, 12 კონცერტი დაგვიმატეს. ასეთი რამ იმ დარბაზში არ ხდება, იქ მსოფლიოს ვარსკვლავები გამოდიან. გაზეთმა „ლე მონდმა“ მიწოდა თანამედროვე მსოფლიო ქორეოგრაფიის მეტრი, ამაზე მეტი ჯილდო რა უნდა იყოს? როცა ჩემი შრომა ღირსეულად ფასდება, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარია.

## განცხადებები

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე, 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მარჯვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ქართული ძალით მოპოვებული გამარჯვება

**საქართველო – პორტუგალია 25:12**

**თბილისი. მიხეილ მესხი. 6.000 მაყურებელი**

**საქართველო:** ლაშა ხმალაძე (ირაკლი ყიასაშვილი 79), თამაზ მჭედლიძე (დავით კაჭარავა 63), თედო ზიბზიბაძე, მერაბ შარიქაძე, ირაკლი მაჩხანელი, მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი ბეგაძე; მიხეილ ნარიაშვილი (დავით ხინჩაგიშვილი 57), შალვა მამუკაშვილი (რევაზ ბელქანია 57), დავით ზირაქაშვილი (ირაკლი მირცხულავა 63), გიორგი ჩხაიძე (ვახტანგ მაისურაძე 48), კონსტანტინე მიქაუტაძე (ბექა ბიწაძე 71), შალვა სუთიაშვილი, მამუკა გორგოძე, დიმიტრი ბასილაია.

**მარქაფა:** ვაჟა ხუციშვილი.

**3 ლელო:** ხმალაძე, ზიბზიბაძე (2)

**2 გარდასახვა:** კვირიკაშვილი

**2 ჯარიმა:** კვირიკაშვილი

**პორტუგალია:** ნუნუ პენია-კოშტა, ადერიტუ ეშტევეში, ფრედერიკუ ოლივეირა, კარლ მარი, გონსალუ ფორუ, პედრუ ლეალი, ფრანსისკო მეგელიანში (ჟოზე ლიმა 71); ენტონი ალვეში (ჟორჟ სეგურადუ 48), ჟოაუ კორეა, ჟუან მური (ტონი მერტინში 48), დევიდ დუშ-რეიში (ტიაგუ ჟირაუ 63), გონსალო უვა, ვაშკუ უვა (ლორან ბალანგი 71), ჟულიან ბარდი, ჟუან სევერიანუ.

**მარქაფა:** მიგელ ვილასი, რაფაელ სიმოეში, ფრანსიშკუ აპლტონი.

**4 ჯარიმა:** ლეალი

მილტონ ჰეიგის გაწვრთნილმა გუნდმა ერთა თასის გათამაშებაში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. მართალია, ანგარიში სოლიდურია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ გამარჯვება იოლად მოვიდა – ჩვენებს კონკრეტულ მონაკვეთში გაუჭირდათ და მატჩის ბედი ბოლომდე გაურკვეველი იყო.

არადა, საწყისი წუთები ისეთი გამოდგა, რომ პორტუგალიელები განადგურებას ვერ უნდა გადარჩენოდნენ. „ბორჯღალოსნებმა" მეტოქე საწყისი წუთებიდანვე მიაჯაჭვეს საკუთარ 22-მეტრიანში და რამდენიმეფაზიანი შეტევა აწარმოეს, რამაც შედეგი გამოიღო და 3-ე წუთზე ხმალაძემ უკვე დაბნეული პორტუგალიელთა ხაზი გაჭრა. კვირიკაშვილმა გარდასახა და 7:0.

ამის შემდეგ მოედანზე ისევ ჩვენები დომინირებდნენ, მაგრამ მცირე ხნით. მე-10 წუთიდან პორტუგალიელებიც გააქტიურდნენ და ლეალმა ჯარიმით სხვაობა შეამცირა. 2 წუთში ამის შანსი კიდევ ერთხელ მიეცათ, თუმცა მათმა დამრტყმელმა ამჯერად ვერ ივარგა.

თამაში ჩვენთვის არცთუ სახარბიელოდ გაგრძელდა, მეტოქის ნახევარზე გადასვლას ვერ ვახერხებდით, მაგრამ თავს კარგად ვიცავდით. 23-ე წუთზე უკვე ჩვენ შევუტიეთ და 5-მეტრიან ზონაში ჯარიმის დარტყმის უფლებაც მივიღეთ. პორტუგალიელებთან წესით ბურთი აუტში უნდა გადაგვეტანა, თუმცა გუნდმა უეჭველ 3 ქულაზე ითამაშა, მაგრამ კვირიკაშვილმა ჯარიმა გააცუდა.

მალევე მეკომ კიდევ ერთი გასატანი ჯარიმა ააცილა, რასაც ცუდად ამოტანილი ბურთი მოჰყვა – თითქოს ქართველთა დამრტყმელი „აიჭრა", რამაც მეტოქეს გააქტიურების საშუალება მისცა. ორჯერ ხუთმეტრიან ზონაში ავართვით თავიანთი შერკინება, ერთხელაც ჩათვლის მოედნის სიახლოვეს დერეფანი მოვუგეთ და ხიფათს გადავრჩით.

მეორე ტაიმი ისევ ჩვენების უპირატესობით დაიწყო, მეტოქეს ყველა კომპონენტში ვჯობდით, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მეტოქის ჩათვლის მოედნის სიახლოვეს დანიშნული ჩვენი შერკინება წავაგეთ და უპირატესობა ქულებში ვერ გარდავსახეთ.

ამის შემდეგ თამაში „პინგ-პონგს" დაემსგავსა და ბურთის იქით-აქეთ გადაგდებაში გაილია. ამან უპირატესობა უფრო პორტუგალიელებს მოუტანა, რომლებმაც ჯარიმის უფლება მიიღეს და სხვაობა ქულამდე შეამცირეს. ზუსტად 5 წუთში გუნდებმა ჯარიმები გაცვალეს – 10:9.

შემდეგ უკვე გადავრჩით – მეტოქემ ჯარიმა ქვედა ძელს გაარტყა და დაწინაურება ვერ მოახერხა.

ბოლო ნაწილი კი უკვე ქართული იყო – თანაც ძველქართული. ჩვენებმა ძალისმიერი შეტევა წამოიწყეს, მოლი ააგორეს, რასაც მამუკა გოროძის ბოლო პასი მოჰყვა, რომელიც თედო ზიბზიბაძემ ლელოდ აქცია. კვირიკაშვილმა გარდასახვა ააცილა – 15:9.

პორტუგალიელებმა სწრაფად გვიპასუხეს ჯარიმით და სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანეს, რაც დამშვიდების საშუალებას არ იძლეოდა. კვირიკაშვილმა საპასუხო ჯარიმა გაიტანა, რამაც მეტოქეს უკვე შტურმისკენ უბიძგა და აქ უკვე ჩვენებმა კარგად დაიცვეს თავი, კონტრშეტევაც წამოიწყეს და ზიბზიბაძემ მეორე შეაღწია მეტოქის ჩათვლის მოედანში – 25:12.

**მატჩის შემდეგ:**

**მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– საწყისი 10 წუთი ისეთი იყო, როგორიც საქართველოს ნაკრებმა უნდა ითამაშოს. ვერ გეტყვით, შემდეგ გუნდს რა დაემართა და ამაზე ბევრი საუბარი მოგვიწევს. შესაძლოა, ბიჭები თვითდაჯერებამ დაღუპა და პირველი ტაიმის ბოლო 20 წუთი საშინლად ვითამაშეთ. ის რაც დასაწყისში გუნდმა ითამაშა, ამაზე ვვარჯიშობთ და ეს უნდა დაინერგოს, გარდა ამისა, გასაუმჯობესებელია დისციპლინა. მართალია, რომ ჯერ გუნდს უჭირს ძველი სათამაშო სტილიდან ახალზე გადაწყობა და ხშირ შემთხვევაში ისე არ გამოგვდის, როგორც ეს გვინდა, მაგრამ ვცდილობთ ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც ამას გეგმის მიხედვით ვისახავთ.

**ეროლ ბრეინი, პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– გვინდოდა სხვა თამაში გვეთამაშა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. ამის საშუალება არც მეტოქემ მოგვცა და წავაგეთ.

**ირაკლი მაჩხანელი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:**

– ჯარიმები კარში იმიტომ ვურტყით, რომ გვინდოდა ყველა ქულა მოგვეპოვებია. მწვრთნელმა მოედანზე გადაწყვეტილების უფლება მომცა და ასე ვარჩიე. ვფიქრობ, ცუდად არ გამოგვსვლია.

**ჟოაუ კორეა, პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი:**

– ერთა თასზე გუნდების დონე მეტნაკლებად გათანაბრდა. ახლა ხელაღებით ვერავინ იტყვის ვინ ვის მოუგებს. ჩვენ რუმინელებთან ტოლსწორად ვითამაშეთ, მაგრამ წავაგეთ. ჯგუფის ფავორიტ საქართველოსთანაც გარკვეული პერიოდი ასევე თანაბრად ჩავატარეთ, თუმცა ვერც აქ მოვახერხეთ შედეგის მიღწევა.



**რუმინეთი-რუსეთი 29:14**

მატჩი სტუმართა აქტიურობით დაიწყო, მაგრამ რუმინელები კარგად იცავდნენ თავს და კონტრშეტევების იმედად იყვნენ. ერთ-ერთი კონტრშეტევისას მათ ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვეს და ფლორიან ვლაიკუმ მე-7 წუთზე ანგარიში გახსნა, რაზეც ექვს წუთში იგორ კლუჩნიკოვმა ასევე ზუსტი დარტყმით უპასუხა. განახლდა თუ არა თამაში, რუსებმა მორკინალებით შეუტიეს და წინ წაიწიეს, მერე ბურთი ხაზზე, საპირისპირო კიდემდე ჩაათამაშეს, სადაც დმიტრი გერასიმოვი გაიჭრა და ლელო გაიტანა. კლუჩნიკოვს რთული გარდასახვა გაუცუდდა – 3:8.

ტაიმის მიწურულს ვლაიკუმ ჯარიმით ჩამორჩენა ორ ქულამდე დაიყვანა, მაგრამ უკვე დამატებულ დროში რუსებმა ჯარიმითვე 5-ქულიანი უპირატესობა დაიბრუნეს (11:6).

მეორე ტაიმის დასაწყისი რუსებს ცუდს არაფერს უქადდა. მართალია, მის დებიუტში ვლაიკუმ ჯარიმით ჩამორჩენა კვლავ 2 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ ორიოდე წუთში მასპინძელთა შერკინების შემკვრელი დანიელ კარპო სინბინით დაისაჯა, ხოლო კლუჩნიკოვმა 5-ქულიანი სტატუს ქვო აღადგინა.

რუსებმა რიცხობრივი მეტობის გამოყენება ვერ მოახერხეს, მერე მასპინძელთა შემადგენლობა შეივსო და უპირატესობას მიაღწია. რობერტ დასკალუმ ლელოთი წონასწორობა აღადგინა, ხოლო ვლაიკუმ მასპინძლები გარდასახვით 58-ე წუთზე 16:14 დააწინაურა.

ამის შემდეგ „მუხის ფოთლები" სრულად დომინირებდნენ და დასკვნით 10 წუთში უპირატესობა ჯერ ვლაიკუს ჯარიმით გაზარდეს, ხოლო ზედ საფინალო სასტვენის წინ იმავე ვლაიკუმ გადაცემა ჩაჭრა, ლელო ძელებსშუა გაიტანა და რეალიზაციის გამოყენებაც აღარ გასჭირვებია – 29:14.

**ბელგია-ესპანეთი 21:21**

საინტერესო და დაძაბული ბრძოლა შედგა ბრიუსელში, სადაც ერთა თასის დებიუტანტმა ბელგიამ ესპანეთს გამარჯვება არ დაანება. მასპინძლებმა ანგარიში პირველივე წუთზე ჯარიმით გახსნეს, მალევე ლელო მიიღეს, თუმცა, მე-7 წუთზე ჯარიმითვე 6:5 დაწინაურდნენ. ტაიმის შუაში ბელგიელებმა საპასუხო ლელო გაიტანეს და გარდასახვაც გამოიყენეს, რაზეც ესპანელებმა შესვენებამდე ერთი ჯარიმით უპასუხეს. მეორე ტაიმის მე-10 წუთზე მასპინძლებმა მეორე ლელო გაიტანეს, მაგრამ გარდასახვა არაზუსტი იყო და უპირატესობამ 10 ქულა შეადგინა – 18:8.

ესპანელებმა ჩამორჩენა ჯარიმებით 4 ქულამდე დაიყვანეს, ხოლო 71-ე წუთზე ლელოთი დაწინაურდნენ და გარდასახვით უპირატესობა 3 ქულამდე გაზარდეს. ახლა ბელგიამ გაიბრძოლა, 75-ე წუთზე ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვა და ანგარიში გაათანაბრა. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს დარჩენილ დროში ორი ჯარიმა გაუცუდდათ და ეს რომ არა, ამ დონეზე პირველ გამარჯვებასაც იზეიმებდნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 48:27 | 8 |
| 2.საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 42:25 | 8 |
| 3.რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 27:38 | 4 |
| 4.ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 34:38 | 3 |
| 5.ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 30:34 | 3 |
| 6.პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | 25:44 | 1 |

**დარჩენილი მატჩები:**

**23 თებერვალი:** რუსეთი-საქართველო; ესპანეთი-რუმინეთი; პორტუგალია-ბელგია;

**9 მარტი:** საქართველო-ესპანეთი; პორტუგალია-რუსეთი; ბელგია-რუმინეთი;

**16 მარტი:** რუმინეთი-საქართველო; ესპანეთი-პორტუგალია; რუსეთი-ბელგია.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# რობერტო კარლოსი: „მოურინიოს ჩემი დახასიათება ნაკლებად სჭირდება"

რობერტო კარლოსს მადრიდის „რეალში"ლეგიონერთაგან ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული და უამრავი ტიტული მოუგია.

კარლოსი რამდენიმე დღის წინ მადრიდში იყო ჩასული და ცხადია, ესპანელი ჟურნალისტები ლეგენდარულ ბრაზილიელს ესაუბრნენ.

კარლოსის ინტერვიუ „რეალის" ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც კიდევ ერთხელ აღმოჩნდით მადრიდის „რეალის" საწვრთნელ ბაზაზე?***

– პირველ რიგში იმით ვარ გახარებული, რომ გუნდში ნამდვილი საქმიანი, საფეხბურთო ატმოსფერო დამხვდა. გამოგიტყდებით, ეს ჩემთვის ცოტათი მოულოდნელიც კი იყო, რადგან პრესიდან ბევრ არასასურველ ინფორმაციას ვიღებდი. გუნდში კი, საპირისპი-

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

# შედეგები

## ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

**მე-3 ადგილისთვის**

მალი-განა ... 3:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ნიუკასლი ... 2:1
ნორვიჩი-ფულემი ... 0:0
სანდერლენდი-არსენალი ... 0:1
სტოკი-რედინგი ... 2:1
სუონსი-ქპრ ... 4:1
ჩელსი-უიგანი ... 4:1
საუთჰემპტონი-სიტი ... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 25 | 20 | 2 | 3 | 60:31 | 62 |
| 2.სიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 48:24 | 53 |
| 3.ჩელსი | 26 | 14 | 7 | 5 | 55:28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 26 | 14 | 6 | 6 | 44:30 | 48 |
| 5.არსენალი | 26 | 12 | 8 | 6 | 50:29 | 44 |
| 6.ევერტონი | 25 | 10 | 12 | 3 | 40:30 | 42 |
| 7.სუონსი | 26 | 9 | 10 | 7 | 38:29 | 37 |
| 8.ლივერპული | 25 | 9 | 9 | 7 | 44:32 | 36 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 10 | 4 | 11 | 34:35 | 34 |
| 10.სტოკი | 26 | 7 | 12 | 7 | 26:31 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:36 | 30 |
| 12.ფულემი | 26 | 7 | 8 | 11 | 36:42 | 29 |
| 13.სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 28:34 | 29 |
| 14.ნორვიჩი | 26 | 6 | 11 | 9 | 25:40 | 29 |
| 15.ნიუკასლი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:46 | 27 |
| 16.საუთჰემპტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36:45 | 27 |
| 17.რედინგი | 26 | 5 | 8 | 13 | 33:48 | 23 |
| 18.ასტონ ვილა | 25 | 4 | 9 | 12 | 23:49 | 21 |
| 19.უიგანი | 26 | 5 | 6 | 15 | 30:51 | 21 |
| 20.ქპრ | 26 | 2 | 11 | 13 | 19:41 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლექპული-მილუოლი ... 2:1
ბოლტონი-ბარნლი ... 2:1
ბრისტოლი-ნოტინგემი ... 2:0
ვულვზი-ლიდსი ... 2:2
მიდლსბრო-ბარნსლი ... 2:3
პიტერბრო-ლესტერი ... 2:1
ჰადერსფილდი-კარდიფი ... 0:0
ჩარლტონი-ბირმინგემი ... 1:1
უენსდი-დერბი ... 2:2
ბრაიტონი-ჰალი ... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ოსასუნა ... 1:1
სელტა-ვალენსია ... 0:1
ლევანტე-მალაგა ... 1:2
დეპორტივო-გრანდა ... 0:3
რეალი-სევილია ... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 19 | 2 | 1 | 72:25 | 59 |
| 2.ატლეტიკო | 22 | 16 | 2 | 4 | 43:21 | 50 |
| 3.რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58:22 | 46 |
| 4.მალაგა | 23 | 11 | 6 | 6 | 34:21 | 39 |
| 5.ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32:35 | 37 |
| 6.ბეტისი | 22 | 11 | 2 | 9 | 31:34 | 35 |
| 7.რაიო | 22 | 11 | 1 | 10 | 31:38 | 34 |
| 8.სოსიედადი | 22 | 9 | 6 | 7 | 35:28 | 33 |
| 9.ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29:35 | 33 |
| 10.ვალიადოლიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:29 | 29 |
| 11.სევილია | 23 | 8 | 5 | 10 | 30:34 | 29 |
| 12.ხეტაფე | 22 | 8 | 5 | 9 | 30:34 | 29 |
| 13.გრანადა | 23 | 7 | 5 | 11 | 22:32 | 26 |
| 14.ბილბაო | 22 | 7 | 5 | 10 | 29:41 | 26 |
| 15.ესპანიოლი | 22 | 6 | 7 | 9 | 26:34 | 25 |
| 16.სარაგოსა | 22 | 7 | 3 | 12 | 21:31 | 24 |
| 17.ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 19:27 | 22 |
| 18.სელტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21:28 | 20 |
| 19.მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23:43 | 18 |
| 20.დეპორტივო | 23 | 3 | 7 | 13 | 27:51 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-საბადელი ... 5:1
ბარსელონა ბ-გვადალახარა ... 0:1
ვილიარეალი-პონფერადინა ... 3:0
ხირონა-ერკულესი ... 1:1
ლუგო-ხიხონი ... 1:2
მურსია-უელვა ... 1:2
რასინგი-უესკა ... 1:0
ხერესი-რეალი ბ ... 0:1
ელჩე-კორდობა ... 0:0

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-ფიორენტინა ... 2:0
ლაციო-ნაპოლი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 24 | 17 | 4 | 3 | 50:16 | 55 |
| 2.ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 46:21 | 50 |
| 3.ლაციო | 24 | 14 | 5 | 6 | 35:26 | 44 |
| 4.მილანი | 23 | 12 | 4 | 7 | 41:29 | 40 |
| 5.ინტერი | 23 | 12 | 4 | 7 | 36:28 | 40 |
| 6.ფიორენტინა | 24 | 11 | 6 | 7 | 41:29 | 39 |
| 7.კატანია | 23 | 10 | 5 | 8 | 31:30 | 35 |
| 8.რომა | 23 | 10 | 4 | 9 | 49:42 | 34 |
| 9.უდინეზე | 23 | 8 | 9 | 6 | 34:33 | 33 |
| 10.პარმა | 23 | 8 | 7 | 8 | 30:31 | 31 |
| 11.ტორინო | 23 | 6 | 11 | 6 | 27:26 | 28 |
| 12.კიევო | 23 | 8 | 4 | 11 | 24:36 | 28 |
| 13.ატალანტა | 23 | 8 | 4 | 11 | 21:33 | 26 |
| 14.ბოლონია | 23 | 7 | 4 | 12 | 32:33 | 25 |
| 15.სამპდორია | 23 | 7 | 5 | 11 | 28:29 | 25 |
| 16.კალიარი | 23 | 6 | 6 | 11 | 25:40 | 24 |
| 17.ჯენოა | 23 | 5 | 6 | 12 | 25:37 | 21 |
| 18.პესკარა | 23 | 6 | 2 | 15 | 19:48 | 20 |
| 19.პალერმო | 23 | 3 | 8 | 12 | 20:37 | 16 |
| 20.სიენა | 23 | 6 | 5 | 12 | 23:33 | 17 |

**შენიშვნა:**

**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ბარი-ვარეზე ... 0:1
ვერონა-ვიჩენცა ... 0:1
კროტონე-გროსეტო ... 1:0
ლანჩანო-ჩიტადელა ... 3:2
მოდენა-რეჯინა ... 1:1
პადოვა-ბრეშა ... 0:0
პრო ვერჩელი-სასუოლო ... 1:3
სპეცია-ასკოლი ... 4:3
იუვე სტაბია-ნოვარა ... 2:4

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ნიურნბერგი ... 0:0
დორტმუნდი-ჰამბურგი ... 1:4
გლადბახი-ლევერკუზენი ... 3:3
ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი ... 1:0
ფიურტი-ვოლფსბურგი ... 0:1
შტუტგარტი-ვერდერი ... 1:4
ბაიერნი-შალკე ... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 17 | 3 | 1 | 55:7 | 54 |
| 2.დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 47:26 | 39 |
| 3.ლევერკუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 41:29 | 38 |
| 4.აინტრახტი | 21 | 11 | 4 | 6 | 38:31 | 37 |
| 5.ჰამბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 26:27 | 31 |
| 6.მაინცი | 20 | 9 | 3 | 8 | 27:24 | 30 |
| 7.გლადბახი | 21 | 7 | 9 | 5 | 31:32 | 30 |
| 8.ჰანოვერი | 21 | 9 | 2 | 10 | 39:39 | 29 |
| 9.შალკე | 21 | 8 | 5 | 8 | 33:35 | 29 |
| 10.ფრაიბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 25:20 | 28 |
| 11.ვერდერი | 21 | 8 | 4 | 9 | 36:38 | 28 |
| 12.ვოლფსბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 22:30 | 26 |
| 13.ნიურნბერგი | 21 | 6 | 7 | 8 | 20:27 | 25 |
| 14.შტუტგარტი | 21 | 7 | 4 | 10 | 23:39 | 25 |
| 15.ფორტუნა | 20 | 6 | 6 | 8 | 26:28 | 24 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 21 | 4 | 4 | 13 | 26:45 | 16 |
| 17.აუგსბურგი | 20 | 2 | 8 | 10 | 16:32 | 14 |
| 18.ფიურტი | 21 | 2 | 6 | 13 | 13:35 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-მიუნხენ 1860 ... 1:3
კოტბუსი-კიოლნი ... 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სენტ ეტიენი-მონპელიე ... 4:1
აიაჩო-ბორდო ... 1:0
ვალანსიენი-ბრესტი ... 2:1
ნანსი-რეიმსი ... 1:2
ნიცა-ლორიენი ... 1:1
ტრუა-სოშო ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 15 | 6 | 3 | 45:13 | 51 |
| 2.ლიონი | 23 | 13 | 6 | 4 | 38:21 | 45 |
| 3.მარსელი | 23 | 13 | 3 | 7 | 30:28 | 42 |
| 4.სენტ ეტიენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36:18 | 40 |
| 5.ნიცა | 24 | 10 | 9 | 5 | 36:28 | 39 |
| 6.ბორდო | 24 | 9 | 11 | 4 | 26:16 | 38 |
| 7.რენი | 23 | 11 | 4 | 8 | 35:30 | 37 |
| 8.ლორიენი | 24 | 9 | 9 | 6 | 39:38 | 36 |
| 9.მონპელიე | 24 | 10 | 5 | 9 | 39:32 | 35 |
| 10.ვალანსიენი | 24 | 9 | 6 | 9 | 34:35 | 33 |
| 11.ტულუზა | 23 | 8 | 7 | 8 | 30:28 | 31 |
| 12.ლილი | 23 | 7 | 10 | 6 | 26:24 | 31 |
| 13.აიაჩო | 24 | 7 | 9 | 8 | 27:32 | 28 |
| 14.ბასტია | 24 | 7 | 5 | 12 | 29:50 | 26 |
| 15.ბრესტი | 24 | 7 | 3 | 14 | 24:35 | 24 |
| 16.რეიმსი | 24 | 5 | 8 | 11 | 21:28 | 23 |
| 17.სოშო | 24 | 6 | 5 | 13 | 22:34 | 23 |
| 18.ევიანი | 23 | 5 | 7 | 11 | 21:35 | 22 |
| 19.ტრუა | 24 | 3 | 9 | 12 | 26:44 | 18 |
| 20.ნანსი | 24 | 3 | 9 | 12 | 22:40 | 18 |

**შენიშვნა:**

**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანტი-არლე ... 1:1

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

დენ ჰააგი-ბრედა ... 2:1
გრონინგენი-ვალვაიკი ... 2:1
ჰერენვენი-ვენლო ... 2:2
ერაკლესი-ტილბურგი ... 4:1
ვიტესი-პსვ ... 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

ეშტორილი-გიმარაეში ... 2:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-სელტიკი ... 1:3
აბერდინი-სტ.მირენი ... 0:0
დანდი-ჰართსი ... 3:1
კილმანროკი-მოზერველი ... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-გრასჰოპერსი ... 0:1
იანგ ბოიზი-ლუცერნი ... 3:2

**ბელგია. პროლიგა**

ბეერსხოტი-გენკი ... 0:2
ბრიუგე-ლეუვენი ... 3:1
კორტრაიკი-გენტი ... 1:0
ლოკერენი-ვარეგემი ... 1:1
მეხელენი-სერკლი ... 2:0
შარლერუა-ლიერსი ... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ვერია ... 0:0
პაოკი-ოფი ... 3:1
ასტერასი-ოლიმპიაკოსი ... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისთანბული-აკჰისარი ... 0:2
გენჩლერი-ესკიშეჰირი ... 0:2
ელაზიგი-ბეშიქთაში ... 1:3
ქარაბუქი-ბურსა ... 0:3

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

კლივლენდი-დენვერი ... 103:111
ფილადელფია-შარლოტი ... 87:76
დალასი-გოლდენ სტეიტი ... 116:91
მილუოკი-დეტროიტი ... 100:105
საკრამენტო-იუტა ... 120:109

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

სან ხოსე-ფინიქსი ... 0:0(0:1ბ)
მონრეალი-ტორონტო ... 0:6
აილენდერსი-ბუფალო ... 2:3
მინესოტა-ნეშვილი ... 2:1(ოტ)
ვაშინგტონი-ფლორიდა ... 5:0
სენტ ლუისი-ანაჰაიმი ... 5:5(0:1ბ)
ვანკუვერი-კალგარი ... 5:1

# სერგო ფარაჯანოვის უნიკალური ექსპონატები საჯაროა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მთავრობა განარისხა, რადგან, მათი აზრით, ფილმი დელიკატურ ნაციონალურ საკითხებს ეხებოდა.

— კულტურის სამინისტრომ მოიწონა ჩემი იდეა და მუშაობა დავიწყეთ მისი ორგანიზებისთვის. თვე-ნახევარი დამჭირდა, რომ მისი ნამუშევრები მომეგროვებინა. ვიცი, კიდევ ბევრი მისი ექსპონატია დაცული სხვადასხვა ოჯახებში, მაგრამ ზოგი მათგანი წასულია საქართველოდან და მათი გამოფენა შეუძლებელი გახდა. მას ისეთი ნამუშევრები აქვს, რომ თითოეული დეტალი ახლოდან უნდა დაათვალიერო, რათა არაფერი გამოგეპაროს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მას ბევრი მიმდევარი ჰყავდა და ცდილობდნენ, მისნაირი ნამუშევრები დაემზადებინათ. მისი ნამუშევრები საკმაოდ ძვირად ფასობს დღეს და ნამდვილად უმაღლესი დონის ნამუშევარია თითოეული მათგანი. მომავალი წელი სერგო ფარაჯანოვისთვის საიუბილეოა, მას 90 წელი უსრულდება, ამიტომ მგონია, რომ ეს გამოფენა დასაწყისისთვის ძალიან კარგია. მომავალ წელს ამ იუბილეს აღნიშვნას უფრო მასშტაბურად ვაპირებთ. ხელოვნების სასახლეში დაგეგმილი გამოფენის გახსნისთვის მუზეუმში წარმოდგენილია საქართველოში შემორჩენილი სერგო ფარაჯანოვის შერეული ტექნიკით შესრულებული ნახატები, ფერწერული ტილოები და მის მიერვე შექმნილი კინო-კოსტიუმები. ნამუშევრები რამდენიმე დღით არის გამოტანილი ოჯახებიდან და კერძო კოლექციებიდან ათდღიანი გამოფენისთვის. ყველა მათგანს აქვს თავისი წარწერა, ავტოგრაფი და აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ მათგანს თავისი შექმნის ისტორია აქვს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სერგო ფარაჯანოვი 1990 წელს გარდაიცვალა და, სამწუხაროდ, აქამდე მისთვის არც ერთი გამოფენა არ მიგვიძღვნია, — განაცხადა გამოფენის კურატორმა ხათუნა ხუნდაძემ.

სერგო ფარაჯანოვის ცხოვრება სავსე იყო წინააღმდეგობებითა და პრობლემებით. რეჟისორმა თათარ გოგონაზე იქორწინა, მაგრამ მალე გოგონა ნათესავებმა უცხოელზე ქორწინებაში დაადანაშაულეს. პირადი ცხოვრების სირთულეების პარალელურად, სერგო ფარაჯანოვი ორ ფილმზე მუშაობდა — იგორ სავჩენკოს „მესამე გაელ-



ვებასა“ და „ტარას შევჩენკოზე“, მოგვიანებით კი მუშაობა დაიწყო ვლადიმერ ბრაუნის „მაქსიმკაზე“. მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მოლდავური ამბავი“ იყო, რაც მოგვიანებით იაკოფ ბაზელიანთან ერთად სრულმეტრაჟიან ფილმ „ანდრიუშად“ გადააკეთა. რეჟისორმა მეორედ იქორწინა უკრაინელ სვეტლანა შერბატიუკზე და შეეძინათ ერთადერთი შვილი, სურენი. სამწუხაროდ, არც ეს ქორწინება აღმოჩნდა მყარი და რეჟისორი მეორე მეუღლესაც გაშორდა, თუმცა მასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა.

— სერგო ფარაჯანოვის ფილმები რომ მსოფლიო მასშტაბის ნამუშევრებია, ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება. მის დაბადების დღეზე ყოველთვის



ეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. ამჯერად დამთვალიერებლის წინაშე წარმოდგენილია ის უცნობი ექსპონატები, რომლებიც კერძო კოლექციებსა და ოჯახებშია დაცული. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მოხარულია, რომ ასეთი გამოფენის ორგანიზებაში მიილო მონაწილეობა, რადგან სერგო ფარაჯანოვის ფილმები და მთლიანი შემოქმედება აბსოლუტურად განსხვავებულია დანარჩენი რეჟისორების ნამუშევრებისგან, — აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

საერთაშორისო აღიარება რეჟისორს მოუტანა ფილმმა „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“. კინომცოდნეები ნამუშევარმა მისი ფერადოვნებით, კოლორიტული კოსტიუმებითა და სოფლის ცხოვრების უცნაური აღწერით აღაფრთოვანა. ამ ფილმმა მრავალი საერთაშორისო კინოჯილდო მოიპოვა, მათ შორის ბრიტანული კინოაკადემიის ჯილდო. მისი ეს ფილმი არ ჯდებოდა საბჭოთა კინოს სტანდარტებში, რის გამოც სერგო ფარაჯანოვი „შავ სიაში“ აღმოჩნდა. რეჟისორმა საქართველო დატოვა და საცხოვრებლად სომხეთში გადავიდა, სადაც გადაიღო დოკუმენტური ფილმი „იაკობ ჰოვნათანიანი“, რასაც მოჰყვა კინოშედევრად აღიარებული „საიათნოვა“. საბჭოთა იდეოლოგიამ ეს ფილმიც დაიწუნა, მოგვიანებით რედაქტირებულ იქნა და გამოვიდა ახალი სათაურით „ბროწეულთა ფერი“.

— ჩვენს მუზეუმში, საბედნიეროდ, დაცულია ისეთი ექსპონატები, რომლებიც სერგო ფარაჯანოვის მოღვაწეობას ასახავს. ეს ექსპოზიცია განსხვავებულია დანარჩენებისგან იმით, რომ აქ წარმოდგენილია ის კოსტიუმები თუ ნივთები, რომლებიც საზოგადოებას აქამდე არ უნახავს. გამოფენა 18 თებერვლამდე გაგრძელდება და იმედს ვიტოვებ, რომ ბევრი მოისურვებს ამ გამოფენის დათვალიერებას, — განაცხადა მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ.

გასული საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს კინორეჟისორად მიჩნეული სერგო ფარაჯანოვი ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით დააპატიმრეს და 5 წლით შრომა-გასწორების კოლონიაში გააგზავნეს. მისი დაპატიმრება მრავალმა ცნობილმა ადამიანმა, ხელოვანმა, მწერალმა თუ რეჟისორმა გააპროტესტა, თუმცა იგი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გაათავისუფლეს ფრანგი სიურეალისტი პოეტის ლუი არაგონის მეოხებით. სანამ თბილისში ცხოვრობდა, მას ფილმების გადაღება აკრძალული ჰქონდა, თუმცა გასული საუკუნის 80-იან წლებში ნება დართეს, გადაეღო „ამბავი სურამის ციხისა“, ასევე „აშუღი ქერიბი“ და დაუმთავრებელი ავტობიოგრაფიული სერია „აღიარებისა“, რომელიც შემდგომში მიხაილ ვართანოვის ფილმის „ფარაჯანოვი, ბოლო გაზაფხული“ ნაწილი გახდა.



სერგო ფარაჯანოვი ერევანში კიბოს დაავადებით გარდაიცვალა. მისი სახლ-მუზეუმი ფუნქციონირებს სომხეთში, საქართველოში კი — არა. ძველ თბილისში დგას მისი ძეგლი. ქართული სახელოვნებო წრე ინიციატივით გამოდის, რომ იმ სახლში, სადაც სერგო ფარაჯანოვი ცხოვრობდა, გაკეთდეს მისი სახლ-მუზეუმი. სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებისა და პიროვნების პოპულარიზაციით აქტიურად არის დაკავებული ფოტოგრაფი იური მეჩითოვი, რომელმაც აღიარებულ რეჟისორს სპეციალური ნამუშევრები მიუძღვნა.

— სერგო ფარაჯანოვი არაჩვეულებრივი და ყველასგან გამორჩეული ადამიანი იყო. ის, საოცარი ფილმების გადაღების გარდა, საოცარ ნივთებსაც აკეთებდა და არავის ჰგავდა. მან მაჩუქა თოჯინა, რომელიც ფარჩებით გაალამაზა და აბსოლუტურად ორიგინალური რამ შექმნა. ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი და მასთან ურთიერთობა მქონდა, — აღნიშნა კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ.

გამოფენა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში 18 თებერვლამდეა დაგეგმილი, თუმცა, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, დამთვალიერებელთა დიდი აქტიურობის გამო, შესაძლებელია, ექსპოზიციამ რამდენიმე დღითაც გადაიწიოს.

# რევაზ მიშველაძემ დავით აღმაშენებლის პრემია მიიღო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალმა საგანგებო პრესკონფერენციაც გამართა, სადაც აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად გამართული კონკურსის შედეგებზე ისაუბრა.

პრემიის დამფუძნებელი და დამფინანსებელი ცნობილი პეტერბურგელი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ალექსანდრე ებრალიძეა. კონკურსი წელს უკვე მეოთხედ გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტები: ბაჩანა ბრეგვაძე, ანზორ აბულაშვილი, სოსო სიგუა, რევაზ მიშველაძე, იგორ კვესელავა, თემურ ქორიძე, მზია ხეთაგური, ციალა არდაშელია, ივანე ჯაფარიძე. პრესკონფერენციაზე ასევე მიწვეული იყვნენ საკონკურსო კომისიის წევრები, რეცენზენტები და კონკურსში გამარჯვებული ავტორები. განხორციელდა სატელეფონო ჩართვა პრემიის დამფუძნებელ ალექსანდრე ებრალიძესთან.

საკონკურსო კომისიის სპეციალური პრიზი 1500 ლარის ოდენობით სხვა ხუთ მონაწილეზე გადანაწილდა. სპეციალური პრიზი რევაზ კვერენჩხილაძეს გადაეცა ქართული მწერლობის მატიანის შედგენისთვის, პაატა კვარაცხელია დავით აღმაშენებელზე შექმნილი ბალადისთვის დაჯილდოვდა, ნოდარ კობერიძე — ისტორიულ თემაზე შექმნილი საგაზეთო სტატიებისთვის, ნინო კობახიძე — წმინდათა ცხოვრების აღწერისთვის, ხოლო ირაკლი ფაღავა დაჯილდოვდა, როგორც კონკურსის ახალგაზრდა მონაწილე.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ კონკურსის გამარჯვებულები. სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამარჯვებულების გამოვლენისას „სკაიპით“ ჩაერთო კონკურსის დამფუძნებელი ალექსანდრე ებრალიძე, რომელმაც კონკურსის მონაწილეებს გამარჯვება მოულოცა და აღნიშნა, რომ საქართველოში დაბრუნება სურს.

# რობერტო კარლოსი: „მოურინიოს ჩემი დახასიათება ნაკლებად სჭირდება“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რო სიტუაცია დამხვდა — მწვრთნელები და ფეხბურთელები ერთ მუშტად არიან შეკრულნი, მონდომებით მუშაობენ, რაც ჩემთვის სასიამოვნო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. „რეალი“ სწორ გზაზეა და ბევრსაც მიაღწევს.

***— მადრიდს მორიგი „ელ კლასიკოს“ დროს ესტუმრეთ. თავად როგორ დაახასიათებთ „რეალისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირებებს და პირადად თქვენ რა მოგონებები დაგრჩათ ამ პაექრობებიდან?***

— კასტილიური და კატალონური გრანდების ნებისმიერი დაპირისპირება მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის მოვლენაა. ეს გუნდები ერთმანეთს ესპანეთის პრიმერა დივიზიონსა და „სამეფო თასზე“, აგრეთვე ჩემპიონთა ლიგაში ხვდებიან და ნებისმიერი მატჩი საფეხბურთო სპექტაკლია საუკეთესო მოთამაშეების შესრულებით ჩატარებული. პირადად ჩემ მოგონებას რაც შეეხება, მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტად გონებაში 2 შეხვედრა ჩამებეჭდა. პირველი მატჩი ბრაზილიის ეროვნული გუნდის რიგებში ჩინელთა წინააღმდეგ გამართული შეხვედრაა. იმ მატჩში პირველი სანაკრებო გოლი გავიტანე. მეორე შემთხვევა კი „ელ კლასიკოს“ უკავშირდება. მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ბარსას“ მეკარე ფრანსისკო არნაუს გავუტანე და ამ გოლმა ჩემი სამომავლო კარიერა დიდწილად განსაზღვრა. მას შემდეგ „რეალში“ დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით გამოვდიოდი.

***— საუბრისას გვერდს ვერც ჟოზე მოურინიოს ირგვლივ დაკავშირებულ საკითხსაც ავუვლით. როგორ გგონიათ, პორტუგალიელი „რეალისთვის“ შესაფერისი მწვრთნელია?***

— მოურინიოს ჩემი დახასიათება ნაკლებად სჭირდება. მან ძალიან კარგად იცის გუნდის მომზადება უახლოესი მატჩისთვის და შორეული პერსპექტივის დასახვა-შესრულებაც შეუძლია. ბევრი ამბობს, რომ სეუ ჟოზე პლანეტის საუკეთესო მწვრთნელია და ამ თვალსაზრისს მეც ვიზიარებ.

***— ბოლო დროს ფეხბურთელთათვის განკუთვნილი ხელფასი საგრძნობლად გაიზარდა. სპეციალისტთა სოლიდური ნაწილი ამ ფაქტს ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეების ზრდის შემაფერხებელ მომენტად თვლის.***

— უაპელაციოდ ამის მტკიცებას არ დავიწყებდი. ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა აქვს, ზოგან თქვენ მიერ ნახსენები პროცესი მოქმედებს, უმრავლესობაში — არა. სწორედ მეორე ნაწილს მიეკუთვნება ბრაზილია. ჩემ სამშობლოში ფეხბურთი ისე ფანატიკურად უყვართ, ფული ბურთის გორების სურვილს ველარასოდეს ჩაკლავს.

***— ევროპელი საფეხბურთო ექსპერტების ნაწილი საპირისპიროს ამტკიცებს. ბრაზილიელი მოთამაშეების მენტალიტეტს კარგად იცნობთ — რატომაა, რომ თქვენი თანამემამულე ფეხბურთელების ნაწილი აღმოსავლეთ ნახევარსფეროში გადაბარგების შემდეგ ნაკლები მონდომებით ვარჯიშობენ და სამშობლოში მიბრუნება უწევთ.***

— ბრაზილიიდან თითქმის 20 წელია წასული ვარ და ამგვარი დასკვნის გაკეთება ჩემთვის ძალიან ძნელია. ისე კი სამშობლოში უკან დაბრუნებულებზე მეტი ბრაზილიელი ფეხბურთელი ევროპაში მკვიდრდება და კარგადაც ასპარეზობს. ასე რომ, ყოველი შემთხვევა ცალკე საუბრის თემაა, განზოგადება კი საჭირო არაა.

# კროსვორდი



1. კაცის სახის მქონე საახალწლო პური; 2. ... აპოლინერი; 3. ნიავი; 4. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 5. ერთეული ვექტორი; 6. დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ხელოვნების დარგი; 8. ნოტი; 9. ვინმესთვის ავის მდომი; 10. ციტრუსი; 11. უბანი თბილისში; 12. თურქი მემამულე (ძვ.); 13. კურცხალი; 14. ბატონი (პოლონურად); 15. ალგორითმული ენა; 16. ესპერანტოს ვარიანტი; 17. საესტრადო ან თეატრალური წარმოდგენა; 18. გარეშეთაგან დაფარული რამ; 19. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 20. მსაჯული ძველ რომში; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. ივლინ ... (მწერალი); 23. ცხენის კუდის ბეწვი; 24. ყვავილი; 25. ... ნოლტი; 26. შხამიანი გველი; 27. გულიანი ხვეული ნამცხვარი; 28. დამსჯელი რაზმების ჩაყენება დასახლებულ ადგილებში; 29. ქუთაისი (ძველად); 30. ... პაჩინო; 31. მუხის ნაყოფი; 32. საყდარი; 33. „დეკამერონის“ ავტორი; 34. შაშის მსგავსი თამაში; 35. ტროპიკული მარადმწვანე მცენარე დიდი, თეთრი ყვავილებით.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარხვა; 2. ნაურუ; 3. ლაკი; 5. პანედა; 6. ფშავი; 7. ფოფოდია; 11. გეიტსი; 13. ბეიძინი; 14. პრიზი; 15. მონარქი; 16. კონსომე; 17. ასკერი; 19. არაყი; 20. ბახი.

**თარაზულად:** 1. მენზულა; 4. სტეპი; 8. კროლი; 9. ნუგა; 10. ხორაგი; 12. კორუნდი; 14. პატი; 15. მამისონი; 16. კრინი; 18. აბაშა; 21. კაფია; 22. მესხეთი; 23. ყურძენი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. ირიტი; 5. ოხრა; 6. მუმბაი; 8. ხეტაფე; 11. ენციკლიკა; 13. კარავაჯო; 14. ბენიასა; 15. ჰერალდი; 19. ნიკე.

**თარაზულად:** 1. ინკვიზია; 4. ბოჭორმა; 7. აგუძერა; 9. ტავერნა; 10. სეიმი; 12. ტრავესტი; 16. ჰეროდოტე; 17. იროკეზი; 18. კინგსტონი; 20. კაქტუსი; 21. პოზა; 22. ოპონენტი.

## მსოფლიოს ყველაზე სახიფათო დასახლებული პუნქტები დასახელდა

ჰონდურასის ქალაქი სან-პედრო-სულა, ზედიზედ მეორედ დედამიწის ყველაზე სახიფათო დასახლებულ პუნქტად აღიარეს. იქ ყოველ 100 ათას მოსახლეზე წელიწადში 169 მკვლელობა ფიქსირდება, – აცხადებს მექსიკური არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საბჭო საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის და მართლმსაჯულებისთვის“.

50 ყველაზე სახიფათო ქალაქის სიაში მეორე ადგილს მექსიკური კურორტი აკაპულკო იკავებს, იტყობინება გამოცემა „ექსელსიორი“. ამ ქალაქზე გადის ნარკოტრაფიკის გზები ცენტრალური ამერიკიდან აშშ-ში, რამაც დიდწილად გამოიწვია ეს მაჩვენებელი – წლის განმავლობაში 128 მკვლელობა ასი ათას მოსახლეზე, – აღნიშნავს „რია ნოვოსტი“.

მესამე ადგილი ვენესუელის დედაქალაქმა კარაკასმა დაიკავა (119 მკვლელობა 100 ათას მოსახლეზე), მეოთხე პოზიციაზეა ჰონდურასის ცენტრალური (დედაქალაქის) ოლქი, მეხუთეზე – მექსიკური ტორეონი.



მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ თითოეულ ქალაქში სიტუაცია დიდწილად დამოკიდებულია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევაზე დანაშაულის აღმოსაფხვრელად და საკუთარი დასახლებული პუნქტების იმიჯის გასაუმჯობესებლად.

მაგალითისთვის, აშშ-სთან საზღვარზე მდებარე მექსიკურმა ქალაქმა სიუდად-ხუერესმა, რომელიც აღნიშნულ სიაში მეორე ადგილს იკავებდა, ამჯერად საკუთარი რეიტინგი მთელი 17 პოზიციით გააუმჯობესა, ასი ათას მოსახლეზე 56 მკვლელობის მაჩვენებლით.

## აშშ ჩრდილოეთ კორეაზე გამაფრთხილებელ დარტყმას არ გამორიცხავს

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი კორეაზე გამაფრთხილებელი დარტყმის შესაძლებლობას დღის წესრიგიდან არ ხსნის, იტყობინება „ინტერფაქსი“.

„ჩვენ დღის წესრიგიდან არაფერს ვხსნით“, – განაცხადა დიპლომატმა ბრიფინგზე, სადაც კითხვა დაუსვეს სამხრეთ კორეასთან ერთად ფხენიანის წინააღმდეგ ერთობლივი ნაბიჯის შესაძლებლობაზე.

ამავე დროს, ნულანდმა ხაზი გაუსვა: „ჩვენ ძალისხმევას მივმართავთ გაეროს უშიშროების საბჭოს 2087-ე რეზოლუციისკენ, რომელიც ეკონომიკური ზეწოლის ზრდას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში თუ ჩრდილოეთ კორეა საკუთარ კურსს არ შეცვლის“.

მსოფლიო თანამეგობრობა სერიოზულად შეშფოთებულია ჩრდილოეთ კორეის მუქარით, რომ მესამე ბირთვულ გამოცდას ჩაატარებს. ფხენიანი ამის გაკეთებას უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საპასუხოდ აპირებს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, მორიგი ბირთვული გამოცდის შემთხვევაში, აშშ ჩრდილოეთ კორეას ტერორიზმის სპონსორი-სახელმწიფოების სიაში დააბრუნებს, იტყობინება „იტარ-ტასი“.



„ბირთვულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მოღვაწეობა ექვსმხრივი მოლაპარაკებისას (კორეის ნახევარკუნძულის ბირთვულ პროგრამაზე) უნდა დარეგულირდეს, – აცხადებს ვიქტორია ნულანდი.

აშშ-მა ასევე ბელორუსის, ჩინეთის, ვენესუალას, სირიის, ირანისა და სუდანის კერძო და იურიდიულ პირებს ახალი სანქციები დაუწესა. ამის შესახებ იტყობინება „იტარ-ტასი“. სიაში მოხვედრილ ფიგურანტებს ბრალი ედებათ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევაში, რომელიც მიმართულია ირანის, ჩრდილოეთ კორეასა და სირიისკენ.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იტყობინება, სანქცია შეეხება ბელორუსის ორ კომპანიას – „ტმ სერვისიზ“ და „რადარი“.

აშშ-ის ხელისუფლების დასკვნით, „ამ კომპანიათა მოქმედება პოტენციურად შეიცავდა განადგურების იარაღისა და ფრთიანი ან ბალისტიკური რაკეტების შემუშავებისთვის მატერიალური ხელისშეწყობის საშიშროებას“. აშშ-ის საგარეო პოლიტიკური უწყება ამ საკითხს ამაზე მეტად არ აკონკრეტებს.

## ბრაუნის უნივერსიტეტი სტუდენტებს სქესის შეცვლის ოპერაციებს დაუფინანსებს

ამერიკაში, ბრაუნის უნივერსიტეტის ჯამრთელობის სადაზღვეო პაკეტში სქესის შეცვლის ოპერაციებიც შევა. ამის შესახებ, ბრაუნის უნივერსიტეტის გამომცემლობა „ბრაუნ დეილი ჰერალდი“ იუწყება.

სადაზღვევო პაკეტში 14 ტიპის ოპერაცია შევა, ისეთები როგორიცაა ვაგინოპლასტიკა მამაკაცებისათვის და მასტექტომია ქალებისთვის.

ბრაუნის უნივერსიტეტის, ლგბტ-ი ცენტრის კოორდიანტორის კელი გარეტის თქმით, ეს ცვლილება სტუდენტების ცხოვრებას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს.



„ჰუმან რაითსის“ ლგბტ ორგანიზაციის ინფორმაციით, ამ სახის სადაზღვეო პაკეტი უკვე ოთხ ამერიკულ უნივერსიტეტს აქვს.

ახალი სადაზღვეო პაკეტი ძალაში 2013 წლის აგვისტოდან შევა.

ბრაუნის უნივერსიტეტი აივი ლიგის უნივერსიტეტია პროვიდენსში, როდ-აილენდი. დაფუძნდა 1764 წელს როგორც როდ-აილენდის კოლეჯი. სიძველით მესამე უმაღლესი სასწავლებელია ახალ ინგლისში, ხოლო მეშვიდე – აშშ-ში. ბრაუნი ამერიკის პირველი კოლეჯი იყო, სადაც ნებისმიერი რელიგიის მიმდევართ შეეძლოთ სწავლა.

ბრაუნი დანარჩენი უნივერსიტეტებისაგან გამოირჩევა ე.წ. „ახალი კურიკულუმით“. მეთოდი შემოღებულ იქნა 1969 წელს და საშუალებას აძლევს სტუდენტებს თვითონ აირჩიონ საკუთარი განათლების კურსი სტანდარტული ეი/ბი/სი შეფასების სისტემის გვერდის ავლით (ნებისმიერი კურსის აღება შესაძლებელია „ჩათვლის/უკრედიტოდ“ საფუძველზე).

ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე წამყვან უნივერსიტეტში მოსახვედრად განსაკუთრებით მძაფრი კონკურსია. მიღების რეიტინგი 14.6%-ია, რაც რიგით მეექვსეა ყველაზე ძნელად მოსახვედრ უნივერსიტეტთა შორის (კარნეგის ფონდისა და იუ.ეს. ნიუს ენდ უორლდ რეპორტის კატეგორიზაციის მიხედვით) აშშ-ში ჰარვარდის, პრინსტონის, კოლუმბიის, იელისა და სტენფორდის შემდეგ. ბრაუნის სტუდენტები 50 შტატიდან და 65 ქვეყნიდან არიან. უნივერსიტეტის ფინანსური დახმარების პროგრამა დაახლოებით 70 მილიონ დოლარს ანაწილებს ყოველწლიურად სტიპენდიების, კვლევის გრანტებისა და სესხების სახით. სტუდენტთა 50%-ზე მეტი რაიმე ფორმით მაინც იღებს ფინანსურ დახმარებას.

2004 წლის შემოდგამოზე მილიარდერმა სიდნი ფრანკმა, რომელმაც ახალგაზრდობაში ბრაუნში მხოლოდ ერთი წელი მოახერხა სწავლა ხელმოკლეობის გამო, უნივერსიტეტს შესწირა 100 მილიონი დოლარი მხოლოდ ნიჭიერ სტუდენტთათვის ფინანსური დახმარებისათვის. ეს იყო უნივერსიტეტის ისტორიაში უმსხვილესი მატერიალური საჩუქარი. ადრე ამავე წელს ფრანკმა უნივერსიტეტს გადასცა 25 მილიონი დოლარი მისივე სახელობის ჰოლის ასაშენებლად, რაც სწრაფად მზარდი ნევროლოგიის, კოგნიტური მეცნიერებისა და ლინგვისტიკის დეპარტამენტებისთვის იქნება განკუთვნილი. 2005 წელს კი მან 5 მილიონი დოლარი გამოყო ნიუ ორლეანში სტიქიით დაზარალებული სტუდენტებისთვის ბრაუნში სასწავლებლად.

სხვა მრავალ სიკეთეთა შორის, ბრაუნი ასევე ცნობილია თავისი უძველესი საინჟინრო პროგრამით აივი ლიგაში (1847), ერთადერთი ეგვიპტოლოგიის დეპარტამენტით დასავლეთ ნახევარსფეროში, და როგორც ერთადერთი უნივერსიტეტი მსოფლიოში მათემატიკის ისტორიის დეპარტამენტით საბაკალავრო კურსებზე. ბრაუნი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მედიის სწავლებაზე, განყოფილებებით თანამედროვე კულტურასა და მედიაში, სადაც სტუდენტები ეცნობიან კინოს, კინო-კრიტიკასა და კრიტიკის თეორიას.

2001 წლიდან ბრაუნის ამჟამინდელი და მე-18 პრეზიდენტია რუთ ჯ. სიმონსი, პირველი შავკანიანი ამერიკელი პრეზიდენტი და მეორე ქალი პრეზიდენტი აივი ლიგის უნივერსიტეტებში.

უნივერსიტეტის ფერებია ყავისფერი, წითელი და თეთრი. ბრაუნის მასკოტი დათვია და მისი სასპორტო გუნდები დათვებად იწოდებიან. ათლეტურ თამაშებზე როგორც წესი კოსტიუმირებული მასკოტი-დათვი სახელწოდებით „ბრუნო“ გამოდის ხოლმე. ეს ტრადიცია სკოლას 1904 წლიდან მოსდევს. უნივერსიტეტთან ასოცირებულ ხალხს „ბრუნონიანებს“ უწოდებენ.

## ირკუტსკში კიდევ ერთი მოსწავლე დაიკარგა



11 წლის ულიანა ალექსეევას დაკარგვით და მკვლელობით შეშფოთებულ ირკუტსკში კიდევ ერთი გოგონა – 14 წლის კრისტინა ცვილიი დაიკარგა. გაკვეთილებზე მისული კრისტინა აღარ დაბრუნებულა, განაცხადეს ოლქის შინაგან საქმეთა განყოფილებაში.

„ახალი ამბების რუსული სამსახურის“ მონაცემებით, გოგონა პერვომაისკის მიკრორაიონში მდებარე სკოლაში მივიდა და სახლში ველარ დაბრუნდა.

მანამდე, ხუთშაბათს ირკუტსკში 11 წლის ულიანა ალექსეევა დაიკარგა. ის გაკვეთილზე შემოქმედთა სახლში მივიდა, ხოლო მოგვიანებით, „ვეტერანების“ ბაღთან მისი გვამი იპოვეს. სიკვდილის სავარაუდო მიზეზი გაგუდვაა.

მოწმეების დახმარებით ირკუტსკის პოლიციამ შეძლო დაედგინა, რომ მეხუთეკლასელის მკვლელობა შეიძლება ჩაედინა მამაკაცს, რომელიც წინა დღეებში გოგონას სახლის გვერდით ნახეს. გამოქვეყნებულია მისი ფოტორობოტი, შსს ძებნაში მოქალაქეებს დახმარებას სთხოვს. გამოძიების მონაცემებით, მამაკაცს ყავისფერი „დუბლიონკა“ ეცვა, შავი შარვალი, შავი ფეხსაცმელი, ასევე ეხურა მუქი ფერის ბეწვის ქუდი. ეჭვმიტანილს აღმოაჩნდა განსაკუთრებული ნიშნებიც – „სიარულის გამოხატული მანერა“, „ის თითქოს ირწევა სიარულის დროს“.

## ინდუსების განბანვის ყოველწლიური დღესასწაული დაიწყო



ინდუსები ერთ-ერთ ყველაზე დიდ რელგიური დღესასწაულს ზეიმობენ. დღეიდან ათობით მილიონი ინდოელი მორწმუნე მდინარე განგში განბანვის რიტუალს შეასრულებს. ინდუსებს სჯერათ, რომ განგში განბანვისას, ისინი ცოდვებისგან გათავისუფლდებიან.

განბანვის რიტუალი და საყოველთაო ზეიმი ინდოეთში 55 დღე გაგრძელდება. ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ქალაქ ალაჰაბადში მდინარე განგში 30 მილიონი ადამიანი განიბანება.

ქალაქ ალაჰაბადში მომლოცველების უსაფრხოებას 7 000-მდე პოლიციელი აკონტროლებს.

განგი, მიუხედავად იმისა, რომ ინდუსებისთვის წმინდა მდინარეა, ძლიერადაა დაბინძურებული საწარმოო ნარჩენებით და ეს წყალი ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათოც შეიძლება იყოს.

განგი ინდოეთის მთავარი მდინარეა; ინდუიზმის სულიერი წყარო, საწყისს იღებს ჰიმალაებში, სადაც ორი მდინარის შეერთება ხდება: ბაგირათხი-განგი და ალანკანდა-განგი.

მდინარე განგს თავისი დელტა აქვს. განგის დელტაში მდებარეობს სახელმწიფო ბანგლადეში.

## ტუნისის პრემიერ-მინისტრმა გადადგომის შესახებ პირობა დადო

ტუნისის პრემიერ-მინისტრი ხამად ალ-ჯიბალი მზადაა გადადგომის შესახებ განცხადება დაწეროს იმ შემთხვევაში, თუ მომავალ კვირამდე ვერ შეძლებს ჩამოაყალიბოს, ახალი „არაპარტიული“ ტექნოკრატების მთავრობა. ამის შესახებ ინფორმაციას ტუნისური მედია ავრცელებს.



„მე შევთავაზებ კაბინეტის ახალ შემადგენლობას ძალიან მოკლე ვადებში, კვირის შუალედში. ყველა მინისტრი დამოუკიდებელი იქნება, მათ შორის შინაგან საქმეთა, იუსტიციის და საგარეო საქმეთა მინისტრები“,– აღნიშნა ტუნისის პრემიერმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ მთავარი კრიტერიუმი კანდიდატების შერჩევისას მათი პროფესიონალიზმი იქნება და არა პარტიული კუთვნილება.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მისი შეთავაზებული მთავრობა არ დამტკიცდება, ის გადადგება.

შეგახსენებთ, რომ ერთი პოლიციელი დაიღუპა და სამართალდამცავი ორგანოების 59 თანამშრომელი დაშავდა ტუნისში რამდენიმედღიანი არეულობის შედეგად, რამაც ქვეყანაში ცნობილი უფლებადამცველის და ოპოზიციონერის, შუქრი ბელიდის მკვლელობის შემდეგ იფეთქა, – იუწყება თანამგზავრული ტელეარხი „ალ-არაბია“.

ტუნისის შსს-ს მონაცემებით, გამოსვლების ჩახშობისას დაკავებულია 375 ადამიანი. დემონსტრანტებმა ოთხშაბათიდან პარასკევამდე პოლიციის ათ განყოფილებაზე შეტევა განახორციელეს. ამასთან, შსს-ში დაშავებულ დემონსტრანტთა რაოდენობა არ დააზუსტეს.

ოპოზიციონერის ხმაურიანმა მკვლელობამ ტუნისში პოლიტიკური კრიზისი გააღრმავა. ბოლო თვეებში, ხელისუფლებაში მყოფ ისლამისტებსა და საერო ძალებს შორის დაპირისპირება არ ნელდება. ქვეყანაში მასობრივი პროტესტი აგორდა და მოქალაქეები მმართველი ისლამისტების დამხობას მოითხოვენ.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი**
**11 თებერვალი**

06.30 დ/ფ „ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო“ 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ადამიანი – პლანეტა“ 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ენრიკო მატეი — კაცი“ რომელიც მომავალს უყურებდა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ 00.00 „საფარი“ 00.30 მხ/ფ „ჩვენი მამების დროშები“

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ბანგკოკი“ 09.00 მხ/ფ „საოცარი მისტერ ბარნანდერი“ 10.45 მხ/ფ ბანზაი“ 12.15 მხ/ფ „ფიქრები თავისუფლებაზე“ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)




07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაძცევა– 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი – 4“ 23.00 მხ/ფ „უკომპრომისო“ (ჯ.სტეტჰემი) 01.00 სერ. „ღვინის გზა“ 01.35 მხ/ფ „მე დევიდი ვარ“ (ბ.ტიბერი) 03.10 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „მოკვეთილი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „სამანიშვილის დედინაცვალი“ 13.30 კონცერტი-ქართული ხმები 14.35 იეღოველთა სექტის სწავლების შეცდომები 14.50, 18.35, 22.55, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ცოლქმარი ბინას დაეძებს“ 16.55 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 17.20 დოკ/ფ „პირიქითა ხევსურეთი“ 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ყვარყვარე“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სადვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ „წმინდა მეფე აშოტ კურაპალატი“ 22.40 დოკ/ფ „თუჯი“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“ გად. IV 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

11 თებერვალი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6561 |
| ევრო | 2,2213 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6095 |
| 100 რუსული რუბლი | 5,4915 |

**ამინდის პროგნოზი 11 თებერვლისთვის**





## 11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები









## მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

# ილია II

## ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


## ფაჩულიამ ტრავმა მოიშუშა

ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა, თორნიკე შენგელია კი ჯერ ბოლომდე მწყობრში არ ჩამდგარა. „ატლანტა ჰოუქსის“ ქართველ ცენტრს აქილევსის მყესი აწუხებდა, რის გამოც 4 მატჩი გამოტოვა და მოედანს „ნიუ ორლეანთან“ მატჩში დაუბრუნდა. ზაზას დაბრუნება ვერ გამოდგა „ჰოუქსისთვის“ ფეხბედნიერი. ატლანტელებმა შინ ლიგის ერთ-ერთ სუსტ გუნდთან წააგეს – 100:111.




ფაჩულია სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 17 წუთით გამოჩნდა. ზაზამ 4-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, რითაც მისმა მონაგარმა 6 ქულა შეადგინა. ფაჩულიამ 3 მოხსნა და თითო პასი, ჩაჭრა და დაფარებაც მიითვალა, ბურთი კი 2-ჯერ დაკარგა. ატლანტელებში საუკეთესო ჯოშ სმიტი იყო: 23 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა.

დამარცხდა თორნიკე შენგელიას „ბრუკლინიც“, ქართველი ფორვარდი კი განაცხადში ისევ არ იყო. შენგელია გამოჯანმრთელებულია და ვარჯიშსაც შეუდგა, თუმცა მწვრთნელები მატჩებში მის გამოყენებას არ ჩქარობენ. ბრუკლინელებმა მორიგი შეხვედრა ვაშინგტონში „ვიზარდსთან“ 74:89 წააგეს.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი

11 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**მშვენიერი დღეა**

**ვერძი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, იაქტიურეთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, თანაც ბევრი, ამ დღეს ელოდით. **ლომი** – დიდი წარმატება გელით. **ქალწული** – სახლში სიახლეა, ყველაფერი მოწესრიგდება. **სასწორი** – ნურავის მისცემთ უფლებას, რომ თქვენი საქმიანობა დააკნინოს. **მორიელი** – სადღესასწაულო განწყობა არ გტოვებთ. **მშვილდოსანი** – ეს დღე მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ. **თხის რქა** – დიდძალი ქონების პატრონი გახდებით, ბედნიერებისგან ცას ეწევით. **მერწყული** – მეგობრები კარგ ამბავს მოგიტანენ, გახარებული ხართ. **თევზები** – გზიდან ვიღაც ჩამოდის, ეს თქვენთვის სიურპრიზია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სერგო ფარაჯანოვის უნიკალური ექსპონატები საჯაროა



ეკა ირემაშვილი

ცნობილი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღეზე საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ორიგინალური გამოფენა გაიხსნა. „ბროწეულისფერი გამოფენა“ – ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით მოეწყო.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ხელოვნების სასახლეში დაცული სამი კოსტიუმი, ფილმებიდან „ბროწეულის ფერი“ და „ამბავი სურამის ციხისა“, ორი ესკიზი და ფარდაგები ამავე ფილმიდან, ფოტოკოლაჟი და თოჯინა. მთლიანობაში გამოფენაზე 50-მდე ნამუშევარი იქნა წარმოდგენილი.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ხათუნა ხუნდაძის ინიციატივითა და ორგანიზებით კერძო კოლექციებიდან შეგროვდა სერგო ფარაჯანოვის მიერ შექმნილი ნივთები, ქუდები, კოლაჟები, მარაო, თოჯინა, ასევე გამოფენილია აფიშები და სცენარები მისი ფილმებიდან და სხვა ძვირფასი ექსპონატები.

ღონისძიებას უამრავი საპატიო სტუმარი, მათ შორის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ბატონი გურამ ოდიშარია დაესწრო. სერგო ფარაჯანოვის უნიკალური ექსპონატები დაათვალიერეს კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინა მიზანდარმა, რეჟისორებმა ლანა ღოღობერიძემ, ელდარ შენგელაიამ, პოეტმა გივი შაჰნაზარმა, ფოტოხელოვანმა იური მეჩითოვმა. მუზეუმის ეზოში საპატიო სტუმრები შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგნენ და სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს.

სომხური წარმოშობის ქართველი და საბჭოთა კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ნამუშევრები ძირითადად კავკასიის ეთნიკურ მრავალფეროვნებას ასახავს. მისი პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი იყო „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“, რომელმაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვა მისი ფერადოვნებით, კოლორიტული კოსტიუმებითა და სოფლის ცხოვრების უცნაური აღწერით, ხოლო ნამუშევარმა „ბროწეულის ფერი“, რომელიც თბილისელი პოეტის საიათნოვას ცხოვრებას ასახავს, საბჭოთა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. მაღალი ბოჭკოვანი მცენარე; 8. ვენის ანთება; 9. სამხედრო მატარებლით ჯარების გადაყვანა; 10. წინდებული, აღნიშნავს რაიმე ბნელს; 12. კომიტეტი უნგრეთში; 13. ბიბლიური პერსონაჟი; 14. კლიმაქტერიული პერიოდი; 19. ანდამატი; 21. ქალაქი საფრანგეთში; 23. ბრინჯიანი საჭმელი; 24. გაზაფხულის თვე; 25. მოყვითალო მწვანე მინერალი; 26. თვალების უნებური მოძრაობა სხვადასხვა მხარეს.

**შვეულად:** 1. ქვითკირის სამარე; 2. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში მგალობლებისთვის; 3. სავარჯიშო მუსიკალური პიესა; 4. ჟურნალ-გაზეთების ერთობლიობა; 5. უმაღლესი თანამდებობის პირი ზოგ სახელმწიფოში; 7. ასო „ფ“-ს სახელწოდება; 11. რისამე სასაცილოდ გამოხატვა; 15. „... ორისთვის“; 16. გრძელი დასაკეცი დანა ესპანეთში; 17. გასანათებელი მოწყობილობა; 18. მაგარ მერქნიანი საშუალო სიმაღლის ხე; 20. ქალაქი იაპონიაში; 22. ემილ ...

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## რევაზ მიშველაძემ დავით აღმაშენებლის პრემია მიიღო

ეკა ირემაშვილი

მწერალმა რევაზ მიშველაძემ დავით აღმაშენებლის პრემია მიიღო. ეს ჯილდო მას საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესმა მიანიჭა. ისტორიულ-ლიტერატურული პრემია „დავით აღმაშენებელი 2013“ ყოველწლიურად იმართება და მასში სხვადასხვა შემოქმედები იღებენ პრემიებსა და ფულად ჯილდოებს.

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესს თბილისში ნანა ჭყოიძე ხელმძღვანელობს. წლევანდელი დაჯილდოების ცერემონიალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ შედგა.

კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, დავით აღმაშენებლის სახელობის სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული კონკურსის პირველი ხარისხის პრემია მიენიჭათ რევაზ მიშველაძეს „რჩეული ხუთტომეულისთვის“, ანზორ აბულაშვილს პოეტური კრებულისთვის „ემოციები ფოტოალბომი“, ბაჩანა ბრეგვაძეს „რჩეული ოთხტომეულისთვის“, იგორ კვესელავას „საქართველოს ისტორიის ქრონიკების ოთხტომეულისთვის“, სოსო სიგუას კრებულისთვის „მოდერნიზმი“ და თემურ ქორიძეს ლიტერატურული კრიტიკის კრებულისთვის „დაუნგრეველი ტაძარი“. ფულადი ჯილდო, 8.000 ლარი, ექვსივე მონაწილემ მიიღო. კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ამავე კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულმა ოთხმა მონაწილემ ფულადი ჯილდოები 5.000 ლარი მიიღო.

მეორე ხარისხის ლაურეატის წოდება და ნომინაცია „ერის ტკივილი ლექსად“ ლექსების კრებულისთვის „ასი ლექსი“ მზია ხეთაგურს მიენიჭა, ნომინაცია „ისტორიული მოთხრობა“ კრებულისთვის „მოდი ნახეს მეციხოვნენი“ ციალა არდაშელიამ მიიღო, ნომინაცია „ქალი საქართველოს ისტორიაში“



მონოგრაფიისთვის „ღვაწლით, ღირსებით სავსე“ – ცისანა ანთაძემ, ივანე ჯაფარიძემ გაიმარჯვა ნომინაციაში „ქართული სპორტის ისტორია“ მონოგრაფიისთვის „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“.

კონკურსის ფარგლებში უკვე მეოთხედ ჟურნალისტური პრემია „თანამოკალმე“ მიენიჭა გაზეთ „მრავალეროვნული საქართველოსა“ და ლიტერატურული ალმანახის რედაქტორ მიხეილ აიდინოვს. ფულად ჯილდოდ მას 5.000 ლარი გადაეცა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალამდე საქართვე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე